

ადრეული ქრისტიანობის ისტორია



ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## მარიკა გევოლდაძე

ადრეული პრისტიანობის ისტორია



თბილისის  
უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

სახელმძღვანელოში წერილობით წყაროებზე, არქეოლოგიურ მასალასა და ეპიგრაფიკულ ძეგლებზე დაყრდნობით განხილულია ადრეული ქრისტიანობის (325 წ. ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრებამდე) ისტორია რომის იმპერიის მაგალითზე. გაანალიზებულია პირველი მსოფლიო მონოთეისტური რელიგიის არსი, გავრცელების არეალი, მისი მიმდევრების დევნის რაოდენობა, მიზეზები, ქრისტიანთა პროცენტული შემადგენლობა რომის იმპერიაში. მოცემულია რომის იმპერატორთა სრული ნუსხა. იგი ქართულ ენაზე დაწერილი პირველი სახელმძღვანელოა ადრეული ქრისტიანობის ისტორიაში, რომელიც განკუთვნილია მსოფლიო ისტორიის (ძველი რომი), ანტიკური კულტურის, რელიგიის ისტორიის შემსწავლელი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების, მაგისტრანტების, ახალი აღთქმის სამყაროთი დაინტერესებული სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

**რედაქტორი      თსუ სრული პროფესორი  
გურამ ლორთქიფანიძე**

**რეცენზინგები:** მიტროპოლიტი  
**ანანია ჯაფარიძე**

**თსუ სრული პროფესორი  
ბეჟან ჯავახია**

**ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი  
გოჩა გუგუშვილი**

## შესავალი

ქრისტიანობას – პირველ მსოფლიო მონოთეისტურ რელიგიას საფუძველი რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინცია პალესტინაში, იუდაიზმის წიაღში ეყრება. თუ არსებობის პირველ წლებში ქრისტიანობა თავის ძირითად პრინციპებს განსაზღვრავდა, სულ მალე იგი ერთ-ერთი იმ ძალთაგანი ხდება, რომელთანაც იუდაიზმს ანგარიშის განევა უხდება.

ნიშანდობლივია, რომ ქრისტიანობა, რომელიც იწყებოდა რა როგორც უმცირესობის რელიგია, სამასი წლის მანძილზე ჯერ რომის ძირითად სახელმწიფო რელიგიად გადაიქცა, რომელსაც პოპულარობით ძლევამოსილი მითრას კულტი თუ შეედრებოდა, შემდეგ კი იმ ქვეყნების წარმმართველ მოძღვრებად, რომლებიც რომის იმპერიის ნაგრევებზე იყვნენ შექმნილნი.

ანტიკური პერიოდის წყაროები, რომლებშიც ქრისტიანობის შესახებ მოგვეპოვება ცნობები, ძირითადად ორ ნაწილად იყოფა – ქრისტიანულად და არაქრისტიანულად. პირველ ჯგუფს განეკუთვნება: ა) ქმნილებები, რომლებიც ეკლესიის მიერ აღიარებულია წმიდათაწმიდათ და შეტანილია საეკლესიო კანონში (ახალი აღთქმა); ბ) ქრისტიანობის აპოლოგეტებისა (სარწმუნოების დამცველები) და ეკლესიის მამების ქმნილებები; გ) ე. წ. აპოკრიფები (სიტყვასიტყვით „საიდუმლო“, „იდუმალი“, „ფარული“) – ქმნილებები, რომლებიც ამათუიმ მიზეზის გამო არ შევიდა საეკლესიო ნაშრომებში, მაგრამ ეკლესიის მიერ მაინც მოწონებულია. აქვე ცალკე ჯგუფად შეგვიძლია გამოვყოთ ქრისტიანული საეკლესიო დოგმების მოწინააღმდეგე ერეტიკოსების მიერ შექმნილი ქმნილებები ან ქმნილებების ნაწილები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს; დ) სხვადასხვა ეპიგრაფიკული ძეგლები, არ-

ქეოლოგიური მონაპოვარი. რაც შეეხება მეორე ჯგუფს, მასში ერთიანდება ახ.წ. პირველი საუკუნეების ბერძნულ-რომაული და იუდეური წყაროები.

ქრისტიანული წყაროებიდან უძველეს ქმნილებად შეგვიძლია მივიჩნიოთ „ახალი აღთქმა“ – მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს სახარება, „მოციქულთა საქმეები“, მოციქულთა წერილები სულ 21 (ეპისტოლე კორინთელთა, კოლაელთა, ეფესელთა...) და იოანეს გამოცხადება (აპოკალიფისი). თორმეტი მოციქულის სწავლება (idache – აღმოჩენილი 1875 წ.), ერმას „მწყემსი“, რომლებსაც უფრო გვიანი ქმნილებები მოჰყვა. კერძოდ, მსოფლიო საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებები, საეკლესიო წერილები და სხვ.

პირველი ავტორი, რომელიც სახარების შესახებ მოგვითხრობს, ისე, რომ ამ ტერმინს არ მოიხსენიებს, არის იუსტინე (Iustinus 100-165 წწ.) – ქრისტიანობის აპოლოგეტი და ფილოსოფოსი, რომლის შემოქმედების დიდმა ნაწილმაც მოაღწია ჩვენამდე. რაც შეეხება ოთხი კანონიკური სახარების („ახალი აღთქმა“) მოხსენიების ფაქტს, იგი პირველად დაფიქსირებულია მეორე საუკუნის უდიდეს მოაზროვნე – ირინეოსთან (ბერძნული – Epihēnaios. ლათ. – Irenaeus). იგივე ავტორი თავის ცნობილ თხზულებაში „ერესების წინააღმდეგ“ (Adversus Haerasas, III, 11) გვაწვდის მეტად ღირებულ ცნობებს ქრისტიანული მწერლობის შესახებ, რომელშიც აღნიშნავს, რომ ოთხი კანონიკური სახარების გარდა კიდევ სხვა სახარებებიც არსებობდნენ, რომლებიც „ახალ აღთქმაში“ არ იყვნენ შეტანილნი.

„მოციქულთა საქმეები“, რომელიც ოთხ კანონიკურ სახარებას მოჰყვება მოგვითხრობს იუდეველებსა და წარმართებს შორის ქრისტეს მონაფეთა პეტრესა და ძირითადად პავლეს მიერ ქრისტიანობის გავრცელებაზე. იგივე „მოციქულთა საქმეებიდან“ ვიგებთ, რომ ახალი მონოთეისტური რელიგიის მიმდევრებისათვის დამახასიათებელი იყო საერთო ქონება, გავრცელებული იყო ქველმოქმედება, ცალკეული თემები ერთმანეთთან იყვნენ დაკავშირებული და ერთმორნმუნებს შორის ადგილი ჰქონდა მიწერ-მოწერას, არსებობდნენ მოციქულები და მქადაგებლები.

ქრისტიანული წყაროებიდან უძველეს ავტორად მიჩნეულია იუსტინი (Iustinus 100-165 წწ.). იგი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ბერძენი ქრისტიანობის აპოლოგეტია. მისი შემოქმედებიდან შემორჩენილია სამი თხზულება – „აპოლოგია“ – პირველი და მეორე ("Apologia prima pro Christianis ad Atoninum Pium", "Apologia Secunda pro Christianis ad Senatum Romanum". პირველი აპოლოგია, შედგენილია 155 წ.-თვის, ხოლო მეორეს დათარიღება ძნელდება) და „საუბარი ტრიფონ იუდეველთან“ ("Cum Tryphone Iudeo Dialogus"). „აპოლოგიაში“, რომელიც მიმართულია იმპერატორების ანტონინუს პიუსისა (138-161 წწ.) და მარკუს ავრელიუსისადმი (161-180 წწ.), იუსტინე მოითხოვდა ქრისტიანები სასამართლო-სათვის გადაეცათ მხოლოდ თავიანთი კონკრეტული დანაშაულისათვის და არა „სახელისათვის“. მისი თხზულებები მნიშვნელოვან წყაროდ გვევლინება ქრისტიანული თემების შესახებ. ნაშრომში „საუბარი ტრიფონ იუდეველთან“, იუსტინე პირველად გვაწვდის ცნობებს იესოს – მესიის შესახებ. ეს მოხეტიალე მქა-დაგებელი და მწერალი მოწამებრივად ადგესარულა რომში 165 წ.

ტატიანე (Tatianus II ს.) – ქრისტიანობის ცნობილი აპოლოგეტი. მისი შემოქმედებიდან შემორჩა ორი თხზულება „სიტყვა ელი-ნების წინააღმდეგ“ ("Oration ad Graecis", 176 წ.) და „დიატესა-რონი“ ("Diatessaron", 165-170 წწ.) პირველში ავტორი აკრიტიკებს ყოველივე ბერძნულს, განსაკუთრებით კი ფილოსოფიას, პლა-ტონსაც კი, ხოლო რაც შეეხება მეორე თხზულებას, იგი წარმო-ადგენს ოთხი კანონიკური სახარების ნაკრებს, რომელიც შემორჩე-ნილია სირიული, არაბული, ლათინური და სომხური თარგმანით.

ათენაგორა (ბერძნული – Πατριάρχης Ἀθηναγόρας. ლათ. Athenagoras Atheniensis II ს.) – ათენელი ქრისტიანი მოღვაწე, იუსტი-ნეს მოწაფე, ავტორი ქრისტიანთა შენყალებისათვის დაწერილი შუამდგომლობისა (თხოვნისა) ("Legatio pro Christianis"), რომელიც შესაძლოა შექმნილი ყოფილიყო 177 წ. წერილი მიმართულია მარკუს ავრელიუსისა და მისი შვილის კომოდუსისადმი (180-192 წწ.). ნაშრომში ავტორი უარყოფს ქრისტიანებისათვის წყენებულ ათეიიზმის ბრალდებას და გამოდის ზნედაცემულობის წინააღმ-

დეგ. ათენაგორა გვევლინება აღდგომის (განახლების) შესახებ ერთი ტრაქტატის ავტორად ("De resurrectione mortuorum", 180 წ.).

ირინეოსი (ბერძნული – Ειρηναῖος. ლათ. Irenaeus, დაახლოებით 120-200 წწ.), გვიანანტიკური ხანის უდიდესი მოაზროვნე, 177-178 წწ. ლიონისა და ვიენის ცნობილი მოვლენების დროს ლიონის ეპისკოპოსი. იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქრისტიანი მწერალი. ირინეოსმა 180 წ. დაწერა დიდი ნაშრომი "Adversus Haereses" (ერესების წინააღმდეგ), ხუთ წიგნად, რომელიც ეკლესიის ისტორიის შესასწავლად უმნიშვნელოვანეს წყაროს ნარმოადგენს. თხზულება შემორჩენილია ლათინური თარგმანით და დიდი მნიშვნელობა აქვს ადრეული ქრისტიანობის (II ს.) გასააზრებლად.

ტერტულიანე (Quintus Septimius Florens Tertullianus დაახლოებით 155/165 – 220/240 წწ.) პირველი ქრისტიანი მწერალია, რომელიც ლათინურ ენაზე წერდა. იგი გვევლინება ორი აპოლოგეტური თხზულების და თითქმის ორმოცამდე მქადაგებლური, დოქტრინალური და პოლემიკური ნაშრომების ავტორად. მისი შემოქმედებიდან მხოლოდ 31 თხზულებაა შემორჩენილი, რომელთა შორის აღსანიშნავია "Apologeticus" (წარმართებისაგან დაცვა) შექმნილი 197-198 წწ. და "De praescriptione haereticorum" (ერეტიკოსების დაგმობა), რომლებშიც ავტორი გვაწვდის ცნობებს იმის შესახებ, რომ დედაეკლესია ჯერ კიდევ ქრისტეს მოციქულების დროს არსებობდა. ტერტულიანემ გაამდირა ქრისტიანული ლექსიკა. შემოიტანა ახალი იურიდიული ცნებები. იგი თავის თხზულებებში ქრისტიანთა დაცვითა და წარმართების მხილებით იყო დაკავებული და არა დოგმატიკის შემუშავებით.

კლიმენტი ალექსანდრიელი (ბერძნული – Κλήμης ο Αλεξανδρεύς. ლათ. – Clemens Alexandrinus 150-215 წწ.) თავის თხზულებაში "Protreptokos pros Ellenas" (წარმართების დარწმუნება (დარიგება), "Paidagogos" (პედაგოგი), "Stromateis" (სტრომატები) და სხვ. ცდილობდა ქრისტიანული სწავლება შეეთანხმებინა ელინისტურ კულტურასთან. აცხადებდა რა, რომ ბერძნული ფილოსოფია ძველ აღთქმასთან თანასწორად ახალი აღთქმისათვის მოსამზადებელ საფეხურს წარმოადგენდა. რაც თავისთავად მოწმობს

ქრისტიანობის გავრცელებას ელინისტური მოსახლეობის შეძლებულ ფენებში.

კლიმენტი ალექსანდრიელი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ არ არსებობს რწმენა ცოდნის გარეშე, როდესაც იგი შეცნებაზე საუბრობს, მხედველობაში აქვს არა ბუნების, არამედ ღმერთის წვდომა, ხოლო შეცნების კრიტერიუმად ყოველთვის რწმენა ევლინება. მისი ნაშრომები ჩვენთვის ღირებულია თუნდაც იმის გამო, რომ მათში ჩართულია 360 ბერძენი ავტორის ქმნილებების ნაწილი, რაც მკვლევართათვის ფასდაუდებელ მასალას წარმოადგენს.

ორიგენე (ბერძნული – Ὁριγένης. ლათ. Origenes Adamantius, 185-254 წწ.) კლიმენტი ალექსანდრიელისა და ამონიუს საკას მონაფე. ორიგენე III ს. ყველაზე პროდუქტიული მწერალი იყო. მისი შემოქმედება რამდენიმე ნაწილად იყოფა: 1. ბიბლიურ-კრიტიკული თხზულებები, რომლებშიც მოცემულია ებრაული წმინდა წერილების ტექსტების შედარებითი შესწავლა; 2. ბიბლიურ-ეგზეგეტიკური თხზულებები, შედგენილი სქოლიოების, საუბრებისა და კომენტარებისაგან; 3. დოგმატური თხზულებები. მაგალითად, „სტრომატები“ და „საწყისებზე“; 4. აპოლოგეტური თხზულებები. მაგალითად „ცელსუსის წინააღმდეგ“ ("Contra Celsum") 8 წიგნად. ჩვენამდე მოლეულია ორიგენეს მიერ ძველ და ახალ აღთქმაზე დაწერილი კომენტარების დიდი ნაწილი. თავის ნაშრომებში ორიგენემ სისტემაში მოიყვანა ქრისტიანული სწავლება და გააგრძელა ქრისტიანული დოგმატიკის შემუშავება. პლატონური ფილოსოფიის ქრისტიანობასთან დაახლოებაში იგი კლიმენტი ალექსანდრიელზე შორს წავიდა.

კიპრიანე (ბერძნული – Κυπριανός Καρχηδόνας. ლათ. – Thascius Caecilius Cyprianus 200-258 წწ.) III ს. ქრისტიანობის ცნობილი აპოლოგეტი, მეორე დიდი მოღვაწე იყო ტერტიულიანეს შემდგომ, ვინც ლათინურად წერდა. მან დიდი ლიტერატურული მექანიზმები დატოვა. ტრაქტატში "Ad Donatum" იგი მიმართავს შეძლებულ ქრისტიანებს და ამტკიცებს ქრისტიანობის უპირატესობას წარმართობასთან მიმართებაში. მისი მრავალრიცხოვანი წერილები (Epistolae) მოგვითხრობენ საეპისკოპოსოს

ერთპიროვნული ძალაუფლების გაძლიერებისათვის ავტორის დაუღალავ ბრძოლაზე. კიპრიანეს თხზულება "De Catholicae Ecclesiae Unitate" (ეკლესიის ერთიანობის შესახებ, 251 წ.) მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის მკვლევართათვის. მასში ავტორმა აზრი გამოთქვა იმის თაობაზე, რომ საჭირო იყო ეკლესიისა და დევნის პერიოდში მისგან განდგომილი ხალხის გაერთიანება. აღიარებდა რა რომის საეპისკოპოსოს წარმმართველ როლს, თვლიდა, რომ მას არ ეკუთვნოდა უმაღლესი სასამართლო ავტორიტეტი დანარჩენ საეპისკოპოსოებზე. სულ მის მიერ დაწერილი წერილების რაოდენობა 81-ით განისაზღვრება. ჩვენამდე 66 წერილმა და 12 ტრაქტატმა მოაღწია.

ევსები კესარიელის (Eusebius Pamphili Caesariensis 260-339 წწ.) შემოქმედებიდან შემორჩენილია ოთხი თხზულება: 1. „ქრონიკა“ (Chronicon) ორ წიგნად – მსოფლიოს მოკლე ისტორია დასაბამიდან თავის პერიოდამდე, რომელშიც დიდი ყურადღება მიაქცია ქრონოლოგიას. 2. „საეკლესიო ისტორია“ ("Historia ecclastistica") ათ წიგნად – ქრისტიანობის დასაწყისიდან 324 წლამდე. 3. „კონსტანტინე დიდის ცხოვრება“ ("Vita Constantini") – ოთხ წიგნად – ძირითად პანეგირიკული თხზულება, რომელიც მოკლებული არ არის ისტორიულ მნიშვნელობას, ვინაიდან მასში ბევრი ოფიციალური დოკუმენტია შესული. 4. „ძველ წამებათა კრებული“ – (საეკლესიო ისტორია, IV, 15).

მისმა შემოქმედებამ დიდი გავლენა იქონია ქრისტიანულ ლიტერატურაზე. იგი, ისევე როგორც ორიგენე, სუბორდინაციის შესახებ სწავლების მომხრე იყო. მკვლევართათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ევსები კესარიელის „საეკლესიო ისტორიას“, რომელშიც თხრობა 324 წლამდე მოდის. ნაშრომში შესულია დოკუმენტები და ამონაწერები ჩვენამდე მოღწეული თხზულებებიდან. მან სწორედ ამ ნაშრომის შექმნის გამო მიიღო „ეკლესიის ისტორიის მამის“ წოდება. ევსები კესარიელი ლიტერატურის შემგროვებლადაც გვევლინება. მას ეკუთვნის "Praeparatio evangelica" (ბერძნული, προπαρασκευή εὐαγγελική) და "Demonstratio evangelica",

რომლებშიც ბევრი ჩვენამდე მოუღწეველი ლიტერატურა შევიდა, მისმა პოლიტიკურ-ფილოსოფიურმა შეხედულებებმა დიდი გავლენა იქონია ბიზანტიის სახელმწიფოზე.

ლაქტანტიუსი (Lucius Caecilius Firmianus Lactantius, 250-325/30 წწ.). მისი შემოქმედებიდან აღსანიშნავია "Divinae Institutiones" (ღვთაებრივი დადგენილება, 303-311 წწ.), რომელიც ლათინურ ენაზე ქრისტიანული სწავლების ძირითადი არსის გადმოცემის პირველ ცდას წარმოადგენდა და "De mortibus persecutorum" (მდევნელთა სიკვდილის შესახებ, 318-321 წწ.), რომელშიც თხრობა მოყვანილია დიოკლეტიანეს იმპერატორობამდე. თავისი თხრობის მდიდრული სტილის გამო ჰუმანისტები მას „ქრისტიანთა ციცერონს“ უწოდებდნენ.

ადრექრისტიანული წყაროების შემდეგ ჯგუფს წარმოადგენს აპოკრიფები, რომელთა რაოდენობაც გაცილებით მეტია, ვიდრე ეკლესიის მიერ კანონიკურად მიღებული თხზულებები. მათ შორის აღსანიშნავია ერმას „მწყემსი“ და „დიდაქე“ (Didache).

ერმას (ბერძნული – Ερμά. ლათ. – Hermas) – „მწყემსი“ ("Ποιμήν". "Pasator"), რომელიც უკვე ძველ დროში ითვლებოდა წმინდა წიგნად, დიდი ხნის მანძილზე ლათინური ტექსტით იყო ცნობილი. მისი ავტორის შესახებ სამი ვერსია არსებობს : 1) ერმა იყო 70-თაგან ერთ-ერთი მოციქული, რომელიც ნახსენებია წმინდა პავლეს ეპისტოლეში რომაელთა მიმართ (რომაელთა მიმართ, 16:14), აქედან გამომდინარე, კლიმენტი, რომელიც ასევე მოხსენიებულია წიგნში, კლიმენტი რომაელთან – რომის ერთ-ერთ პირველ ეპისკოპოსთან (გარდაიცვალა 101 წ.) არის იდენტიფიცირებული. ამის შესახებ პირველად აზრი გამოთქვა ორიგენემ, ამავე თვალსაზრისს იზიარებდა იერონიმე სტრიდინელი (Eusebius Sophronius Hieronymus, 320-419/420 წწ.) კანონიკური ლათინური ბიბლიის ტექსტის შემდგენელი; 2) ერმა არის ეპისკოპოს პიუსის (ეპისკოპოსობის წლები 142-157) ძმა და 3) კომპრომისული ვარიანტი – ერმამ, პიუსის ძმაშ შეავსო და ლათინურად თარგმნა მოციქულ ერმას მიერ დაწერილი ტექსტი.

1922 წელს გამოქვეყნებულ იქნა IV ს. დათარილებული ერთ-ერთი პაპირუსის ნაწყვეტები, რომელიც ემთხვეოდა ბერძნულ ორიგინალს (P.Lond. V, 1783) და შეიცავდა ნაწყვეტებს „მწყემსი-დანაც“ (Mand. IX). „მწყემსი“ საკმაოდ განსხვავდება ჩვეულებრი-ვი ქრისტიანული ნაშრომისაგან. მასში არ არის მოხსენიებული იესოს სახელი, მაგრამ ბევრია საუბარი ეკლესიაზე. თხზულება შედგება სამი ნაწილისაგან, რომლის შინაარსს მონანიების ქადა-გება წარმოადგენს. ავტორი იცნობს გნოსტიკურ ლიტერატურას. იგი საეკლესიო ორგანიზაციის მაღალ ფენას განეკუთვნებოდა. „მწყემსი“, ისევე როგორც „დიდაქე“ გვაძლევს მასალას საეკ-ლესიო ორგანიზაციის საწყის სტადიაზე, როდესაც კლირებთან ერთად ჯერ კიდევ მოქმედებდნენ წინასწარმეტყველები.

„დიდაქე“ (Didache) გვევლინება ქრისტიანული თემების ორ-განიზაციებისა და მათი შიდა ცხოვრების შესწავლის მთავარ წყაროდ. იგი მნიშვნელოვანია ქრისტიანული წესების გააზრების თვალსაზრისითაც. „დიდაქე“ გადმოგვცემს საეკლესიო თემის მდგომარეობას მისი შექმნის პერიოდში. ქრისტიანული წყაროე-ბის მიხედვით (Eusebius), იგი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ახალი რელიგიის მიმდევრებში.

ჩვენ მიერ ცალკე ჯგუფად გამოყოფილ ქრისტიანული ეკლე-სიის დოგმების მოწინააღმდეგებე ერეტიკოსების მიერ შექმნილი თხზულებების რიგში შეგვიძლია გავაერთიანოთ 1946 წ. ლუქ-სოსის მახლობლად (50 კმ) ხენობოსკიონში, სარდაფში, სკივრში, სხვა საგნებთან ერთად აღმოჩენილი გნოსტიკური პაპირუსების ხელნაწერების კოლექცია, რომელიც 44 თხზულებისაგან შედგება.

ხენობოსკიონის დოკუმენტების ნაწილი სწორედ ის გნოსტი-კური თხზულებებია, რომელთაც თავის დროზე ეპაექრებოდნენ ირინეოსი, ორიგენე და ეკლესიის სხვა მამები. აღნიშნულ დო-კუმენტში შესული ზოგიერთი ქმნილების სათაური შეესაბამება აპოკრიფული სახარების სათაურებს, რომელთა შორისაც აღსა-ნიშნავია ეგვიპტელების გნოსტიკური სახარება.

ქრისტიანული თემის ცხოვრების შესწავლის თვალსაზრი-სით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არქეოლოგიურ მო-ნაპოვარს და ეპიგრაფიკულ ძეგლებს, რომლებიც წლების მან-

ძილზე საკმაო რაოდენობით დაგროვდა. მათ შორის დიდი როლი ენიჭება კატაკომბების, ქრისტიანების საცხოვრებლების გათხრასა და ანალიზს. ჩვენ ამ საკითხზე საუბარს აღარ გავაგრძელებთ, ვინაიდან წარმოუდგენელია ყველა მასალის მოტანა. უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ პირველი ქრისტიანების შესახებ მასალა მოპოვებულია პალესტინაში, ეგვიპტეში, რომში და სხვ. ცნობილია რომში გათხრილი ლუცინას, დომიცილას, კალისტას კატაკომბები<sup>1</sup> და სხვ. მათ შორის ლუცინასა და დომიცილას კატაკომბები I ს. II ნახევრით თარიღდება, კალისტასი კი II ს.

1920 წ. აღმოჩენილი ფილადელფოსის (ეგვიპტე) პაპირუსები 41 წ. ანუ კლავდიუსების პერიოდს განეკუთვნება. 1929 წ. გამოქვეყნებულ იქნა ე.წ. ნაზარეთის წარწერა, რომელიც ძვ.წ. 31-ახ.წ. 54 წწ. თარიღდება და მრავალი სხვა.

ბერძნულ-რომაული და ოუდეური წყაროებიდან, რომლებიც ამა თუ იმ ცნობებს გვანვდიან ქრისტიანების შესახებ, აღსანიშნავია, პლინიუს უმცროსი, ტაციიტუსი, ლუკიანე, ცელსუსი, ფილოსტრატე, პორფირიოსი და სხვ., რომელთა უდიდესი ნაწილი ქრისტიანობას სკეპტიკურად უყურებდა. მაგალითად, ტაციტუსი ახალი რელიგიის მიმდევრებს მათი „სისაძაგლეებისათვის“ საძულველ ხალხს უწოდებს, რომლებიც დამღუპველ ცრურნმენას ქადაგებენ და დამნაშავენი არიან კაცთა მოდგმის სიძულვილის გამო. მას ქრისტიანობა წარმოჩენილი აქვს როგორც ბოროტება, რომელიც სხვა სისაძაგლეებთან, უსირცხვილობასთან ერთად მიედინება რომში.

---

<sup>1</sup> კატაკომბა – (იტალიური catacombe, გვიანლათინურიდან, catacumba – მიწიქვეშა აკლდამა) – ხელოვნური ან ბუნებრივი წარმონაქმნის მიწის-ქვეშა ნაგებობა. გვიანანტიკურ ხანაში გამოიყენებოდა როგორც მიცვალებულთა დასაკრძალავი და რელიგიური რიტუალების შესასრულებელი შენობა. ამ მხრივ ყველაზე ცნობილი რომაული კატაკომბებია, რომლებიც ახ.წ. I–IV სს. თარიღდება და რომლებშიც შემორჩენილია ადრექრისტიანული ხელოვნების ნიმუშები და სიმბოლოები. ყველაზე ცნობილი კატაკომბებია: ლუცინას, დომიცილას, კალისტას...

სვეტონიუსის მიხედვით, ქრისტიანები ახალი და მავნე ცრუ-რწმენის მოდგმის ხალხია. პლინიუსი ოფიციალურად აცხადებს, რომ მან მათში (ქრისტიანებში) ვერაფერი იძოვა უხეში და უსაზღვრო, ცრურნმენის გარდა. ცელსუსთან, აპულეიუსთან, ლუ-კიანესთან და სხვ. ქრისტიანობა მიღებულია როგორც მავნე სექტა.

უკვე საუკუნეზე მეტია რაც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ადრეული ქრისტიანობის მეცნიერულ შესწავლას. ნიშანდობლი-ვია, რომ დასავლურ ისტორიოგრაფიაში ადრეული ქრისტიანობა განიხილება ანტიკური კულტურის ჭრილში. ადრეული ქრისტია-ნობის შესწავლის თვალსაზრისით, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა იმ მეცნიერთა გამოკვლევების გაცნობა, რომლე-ბიც ეხებიან ქრისტიანობის გავრცელებას რომის იმპერიის ცალ-კეულ პროვინციებში, რითაც უმნიშვნელოვანესი წვლილი შეაქვთ ზემოაღნიშნული საკითხის გარკვევაში, ვინაიდან იმპერიაში გავრ-ცელებული რელიგიების შესწავლა პროვინციებში არსებული მდგომარეობის გაანალიზების გარეშე შეუძლებლად მიგვაჩნია.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რიგი მკვლევარებისა, ძირი-თადად მარქსისტული მიმართულების, ცდილობდნენ მოეხდინათ რელიგიების კრიტიკული ანალიზი და, ამ მხრივ, განსაკუთრებულ აქცენტს მონოთეისტურ მოძღვრებებზე (იუდაიზმი, ქრისტია-ნობა) აკეთებდნენ. კრიტიკულად სწავლობდნენ ძველ და ახალ აღთქმას. მიუხედავად ამისა, მათ შორისაც იყო მთელი რიგი ნაშრომები, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ ღირებულება.

რომის იმპერიის პერიოდში ქრისტიანულ რელიგიასთან, პირ-ველ ქრისტიანულ თემებთან დაკავშირებული საკითხები აქვთ გაანალიზებული ისეთ მკვლევარებს როგორებიც არიან: ა. ჰარ-ნაკი, პ. ალარდი, პ. შუვენი, გ. დაგრო, ჰ. ლუსტი, ე. გრეგუარი, უ. მორო, ჰ. მორეტინი და სხვ.

ქრისტიანობის, მისი წარმოშობის ისტორიის, პირველი ქრის-ტიანული თემებისადმი რომის იმპერიის დამოკიდებულების თვალსაზრისით მნიშვნელოვან გამოკვლევას წარმოადგენს მ. სი-მონის მონოგრაფია "La Civilisation de l'Antiquité et le Christianisme", Paris, 1972. ნაშრომი ფუნდამენტურ გამოკვლევას წარმოადგენს

ადრექრისტიანული პერიოდის შესწავლის თვალსაზრისით, რაც რომში არსებული რელიგიური სიტუაციის გაანალიზების ფონზე ხდება. ავტორი ფართოდ იყენებს საკითხთან დაკავშირებით არსებულ მემკვიდრეობას.

ადრექრისტიანული პერიოდის შესწავლისათვის მდიდარ მასალას იძლევა რუსული სამეცნიერო ლიტერატურა (ვ. ბოლოტოვი, მ. პოსნოვი, ე. შტაერმანი, ა. რანოვიჩი, ა. კაცი, ნ. გოლუბცოვა, ე. რენანი, ი. სვენციცკაია და სხვ.), რომელშიც მეოცე საუკუნის ბოლოს ხელახლა გაჩნდა ინტერესი ქრისტიანობის პრობლემატიკასთან დაკავშირებით. ამ მხრივ, გვინდა გამოვყოთ, ი. ს. სვენციცკაიას მონოგრაფია "От общин к церкви", М., 1985, რომელშიც დაწვრილებით არის გაანალიზებული ადრექრისტიანული პერიოდის წყაროები, ეპიგრაფიკული ძეგლები და, მათი შესწავლის საფუძველზე, ქრისტიანთა მდგომარეობა რომის იმპერიის პერიოდში, პირველი სამონასტრო მშენებლობების დაწყების პროცესი და სხვ.

საკვლევ საკითხთან დაკავშირებით, მნიშვნელოვან ნაშრომს წარმოადგენს ი. ლევინსკაიას მონოგრაფია "Деяния апостолов на фоне еврейской диаспоры", Санкт-Петербург, 2000. ნაშრომში მეცნიერს გაანალიზებული აქვს „მოციქულთა საქმეების“ პერიოდის რომის იმპერიაში არსებული ისტორიული ფონი. მკვლევარი უახლოეს ეპიგრაფიკულ ძეგლებზე, არქეოლოგიურ მასალაზე და მდიდარ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, ღირებულ დასკვნებს აკეთებს მოციქულთა პერიოდის ქრისტიანული და იუდეური თემების შესახებ. ი. ლევინსკაიას გაანალიზებული აქვს ლუკას ისტორიული კონცეფცია, რომელიც შესატყვისება იმას, რაც ჩვენთვის ცნობილია ქრისტიანობის საწყისი ისტორიის დამოუკიდებელი წყაროებიდან.

ქრისტიანობის პრობლემატიკასთან დაკავშირებით ჩვენთვის ღირებულ ნაშრომებს წარმოადგენს, აგრეთვე, ის მრავალ-ტომეულები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებში გამოდის და ამ მონოთეისტური რელიგიის ისტორიის შესახებ ფუნდამენტურ გამოკვლევებს წარმოადგენს. ამ მხრივ, ჩვენს ყურადღებას იქ-

ცევს ეკლესიის ისტორიის 21 ტომეული "Histoire de l'Eglise depuis les origines jusqu'à nos jour", Paris, 1934-1964, ქრისტიანობის ისტორია წარმოშობიდან დღემდე "Histoire du Christianisme: des origines à nos jour, (22 ტომი), რომლის მეორე ტომი – Naissance d'une chrétienté: 250-430", Paris 1995 ჩვენთვის საინტერესო პერიოდს მოიცავს და სხვ.

დაბოლოს გვინდა აღვნიშნოთ ის მკვლევარები, რომელთა ნაშრომებშიც მსოფლიოში არსებული რელიგიები მოკლედ არიან გაანალიზებულნი და მათ ფონზე ვხვდებით ჩვენთვის საინტერესო მოძღვრების მოკლე მიმოხილვას (ს. ტოკარევი, ლ. ვასილევი, მ. კუბლანოვი და სხვ.).

## თავი 1

### ქრისტიანობის გავრცელება ახ.წ. I-III სს.

#### ადრეული ქრისტიანობა

კლავდიუსების<sup>1</sup> იმპერატორობის ხანა საკმაოდ რთული აღმოჩნდა რომისათვის. რელიგია, რომელიც ამ პერიოდში ვრცელდება კაცობრიობას აუწყებს ახალი მორალური ღირებულებების დამკვიფრებას. უზარმაზარ იმპერიაში მცხოვრებ ხალხს პოლიტიკური იდეალების გარდა კიდევ „სხვა რამ“ ესაჭიროებოდა და სწორედ ამ „სხვა რამედ“ ქრისტიანული მოძღვრება იქცა.

რომში არსებული ყველა რელიგიური სისტემისაგან განსხვავებით, ქრისტიანობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რომელიც შემდგომში მსოფლიო რელიგიად გადაიქცა და რომელმაც მომავალ საუკუნეებს ანტიკური კულტურის რამდენიმე ელემენტი გადასცა.

შეიძლება ითქვას, რომს არ შეეძლო შებრძოლებოდა მის აღმოსავლეთ პროვინციაში ჩასახულ ხალხთა მოძრაობის ახალ ტალღას, მაგრამ უნდოდა კი შებრძოლება? მას ხომ ძირითადად ქვეყნის პოლიტიკური კეთილდღეობა აინტერესებდა, ადამიანს, როგორც საგანს ისე უყურებდა და თავის სიძლიერეს კვლავ ძლევამოსილ ლეგიონებს მიანდობდა.

რომი, როგორც სხვა რელიგიებისადმი დამოკიდებულებაში, ისე პირველი ქრისტიანული თემების მიმართ, ლოიალობას იჩენდა და შემრიგებლურ პოლიტიკას აწარმოებდა. მას ხელს არ

---

<sup>1</sup> რომის პირველი საიმპერატორო დინასტია, რომელიც მართავდა ძვ.წ. 27 – ახ.წ. 68 წწ. შედგენილი რამოდენიმე რომაული გვარისაგან, რომელთაგანაც ძირითადი კლავდიუსების პატრიციული გვარი იყო.

უშლიდა კიდევ ერთი ახალი ღმერთის შემოსვლა თავის სამფლობელოში, თუკი იგი მორჩილი იქნებოდა და შეურიგდებოდა რომის იმპერიაში გაბატონებულ რელიგიური სინკრეტიზმის პროცესს.

რომის პირველ მაგისტრატს,<sup>1</sup> რომლის წინაშეც ჩამოაყალიბეს ქრისტიანული სწავლების არსი, არ ჰქონდა ქრისტიანების დევნის განწყობა, ხსნიდა რა ამ ფაქტს იმით, რომ არ სურდა ქვეყნის თეოლოგიურ საკითხებში მოსამართლის როლის თამაში. რომს არ უნდოდა იმ საერთო რელიგიური შემწყნარებლობიდან, რომელსაც მისი მოქალაქეები იჩენდნენ ყველა კულტის მიმართ, ქრისტიანობის გამორიცხვა. შემდგომში გაჩნდა სურვილი ახალი ღმერთის სხვა ღმერთებთან თანხმობაში მოყვანისა. აპოლონის ორაკულიც კი მოჩვენებით დიდებას მიაგებდა მას, ხოლო ფილო-სოფოს პორტირიოსს (232/233-304/306 წწ.), იყო რა თავგამოდებული წარმართი, არ გაძნელებია ელიარებინა ქრისტეს ღვთაებრიობა. ალექსანდრე სევერუსმა (208-235 წწ.) ბრძანა დაედოთ მაცხოვრის გამოსახულება ორფეოსის და აპოლონ ტიანელის გამოსახულებათა გვერდით, თავის საოჯახო სამლოცველოში, სადაც იგი ყოველდღე ლარებზე სალოცავად მიდიოდა. ამ ფაქტმა საშინლად აღაშფოთა ახალი მოძღვრების მიმდევრები, ვინაიდან მონოთეისტური რელიგიებისათვის (რომის იმპერიაში ასეთ მოძღვრებად ქრისტიანობა და იუდაიზმი გვევლინება) მიუღებელია ყოველგვარი შერწყმა სხვა რელიგიებთან. აქედან გამომდინარე, ეს ორი მოძღვრება რომის საერთო სახელმწიფო კულტებისაგან დამოუკიდებლად არსებობდა და მათი რელიგიური სინკრეტიზმის ასპექტში განხილვა შეუძლებელია.

ქრისტიანობას, როგორც აღვნიშნეთ, კლავდიუსების<sup>2</sup> დინასტიის იმპერატორობის ხანაში, რომის აღმოსავლეთ პროვინციაში

<sup>1</sup> ლათ. *Magistratus* – „უფროსობა“ – ქალაქის მმართველობის ძირითადი ორგანო. ძველ რომში აღნიშნავდა როგორც სახელმწიფო თანამდებობას, ისე ამ თანამდებობაზე მყოფ პირთ.

<sup>2</sup> ავგუსტუსის სიკვდილის შემდეგ, რომელსაც პირდაპირი მემკვიდრე არ დარჩენია და არც ტახტის მემკვიდრეობის შესახებ კანონი შეუმუშავებია, მაშინვე დადგა საკითხი თუ ვის უნდა შეეცვალა იგი. მისი

ეყრება საფუძველი, სადაც იმ დროს საკმაოდ რთული პროცესები მიმდინარეობდა. მაცხოვრის პირველი მიმდევრებიც სწორედ იუდეაში – პალესტინის შემადგენელ ნაწილში, ებრაულ მოსახლეობაში უნდა ვეძიოთ. ნიშანდობლივია, რომ ამ პროცესებისაგან განზე არც სხვა მოდგმის ხალხი დარჩენილა.<sup>1</sup>

სახელწოდება ქრისტიანი, როგორც „მოციქულთა საქმეები გადმოგვცემს“, ქრისტეს მიმდევარს ნიშავს. სიტყვასიტყვით ქრისტე მომდინარეობს ებრაული „მაშიახიდან“ – მიროცხებულის ბერძნული თარგმანიდან, საიდანაც იგი ყველგან, როგორც „მესია“ ისე გავრცელდა.

„მოციქულთა საქმეების“ მიხედვით, ქრისტეს მიმდევრებს ეს სახელი პირველად ანტიოქიის მცხოვრებლებმა შეარქვეს (საქმეები, 11:26). მკვლევართა ნაწილის თვალსაზრისით, ამ ტერმინის საავტორო უფლება რომის ხელისუფლებას ეკუთვნის, რომელიც ქრისტიანს განიხილავდა როგორც დამცინავ ან პოლიტიკური არაკეთილსამედობის მანიშნებელს, შეიძლება ითქვას, მეამბოხეს. ნაწილი კი მიიჩნევს, რომ სიტყვა „ქრისტიანი“ თვითწოდებას წარმოადგენდა. საკუთარი ჰიპოთეზის საწყის წერტილად კი ბერძნული ზმნის ჯრημათიც-ანალიზი მოაქვთ და აღნიშნავენ, რომ ჯრημათიც სწორი თარგმანი იქნებოდა არა როგორც მიღებულია „ენოდებოდათ“, არამედ „საკუთარ თავს უწოდებდნენ“.

---

საოჯახო საქმეები საკმაოდ არეული იყო. ჯერ კიდევ სიცოცხლეში, მას შემდეგ, როდესაც მისი ყველა სისხლით ახლო ხათესავი გარდაიცვალა, რომელთაც ტახტის დაკავების უფლება ჰქონდათ (მათ შორის იულია დომინასთან საერთო შვილები გაიუსი და ლუციუს (ცეზარი), ავგუსტუსმა იშვილა თავისი მესამე ცოლის ლივია დრუზილას შვილი პირველი ქორწინებიდან – ტიბერიუს კლავდიუს ნერონი. რომელიც მისი ოჯახიდან ცოცხლად გადარჩენილი ერთადერთი წარმომადგენელი იყო. სწორედ ტიბერიუსიდან იწყება რომის ახალი დინასტია კლავდიუსები-სა, რომელიც ოთხი იმპერატორით არის წარმოდგენილი 1) ტიბერიუსი (14-37 წწ.), 2) კალიგულა (37-41 წწ.), 3) კლავდიუსი (41-54 წწ.) და 4) ნერონი (54-68 წწ.).

<sup>1</sup> როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ საქართველოში ქრისტიანული რელიგია პირველი საუკუნიდან შემოდის, რაც არქეოლოგიურადაც დასტურდება.

ქრისტიანობის პირველი სამი საუკუნის ისტორია იყო მებრძოლი, რისკიანი. როგორც ეკლესიის ისტორიის მკვლევარი მ. პოსნოვი აღნიშნავდა, ეკლესიის ისტორიის პირველი პერიოდი 30-325 წწ. (ნიშანდობლივია, რომ იგი პირველი პერიოდს 313 წ. ამთავრებს), არის დრო ეკლესიის დაარსებიდან მოყოლებული ქრისტიანობის თანდათანობით გავრცელებამდე ჯერ მხოლოდ იუდეველებში, ხოლო შემდეგ წარმართთა შორის, რომელიც არა თუ ქვეყნის ძალების დახმარებით, არამედ მათი მხრიდან მტრული დამოკიდებულებითა და ღია დევნითაც კი ხდებოდა. ასეთ მდგომარეობაში ეკლესიამ მყარი ნიადაგი მოიმზადა. მტრულ სამყაროზე მან თავისი აპოლოგეტების, ძირითადად კი მქადაგებლებისა და წამებულთა მეშვეობით გაიმარჯვა. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიას ემუქრებოდა სხვადასხვა შეცდომები და დაყოფა, ერთიანობა მაინც შეინარჩუნა.

პირველი საუკუნიდან მოყოლებული, ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებამდე, ქრისტიანობის ისტორია რამდენიმე პერიოდად შეგვიძლია დავყოთ: პირველი ეტაპი მოიცავს 30-125 წწ. ეს არის პერიოდი ქრისტიანობის სწრაფი ექსპანსიისა და ქრისტიანული თემების პროგრესული ემანსიპაციისა იუდაიზმთან მიმართებაში, რომლის გულშიც იგი აღმოცენდა. მეორე ეტაპი გრძელდება 125-250 წწ., რომლის დროსაც შესაძლოა არის ნიშანი ჰატარა სექტების გარდაქმნისა ეკლესიებად და დედაეკლესიასთან მათი შეერთებისა, როდესაც მასებმა გაარღვიეს ინტელექტუალური შეზღუდულობა და გადალახეს ფანატიკური რჩება. გამშედაობა ეყოთ აელოთ დადებითი ელინისტური (ცივილიზაციისგან). ეს არის პირველი დიდი ერესების (გნოსტიციზმი, მარკიონელობა, მონტანიზმი და სხვ.), ქრისტიანობის აპოლოგიტების (კლიმენტი ალექსანდრიელი, ორიგენე და სხვ.) აღმოცენების ეპოქა, როდესაც ეპისკოპოსების, რწმენის კონფესიების, ბიბლიის კანონები წესდება. მესამე ეტაპი მოიცავს 250-325 წწ., რომელიც ქრისტიანობის უბრალო ტრანსფორმაციით ხასიათდება. ამ პერიოდს ემთხვევა ქრისტიანთა საშინელი დევნა რომის იმპერიაში, რომელსაც ადგილი III ს. II ნახევარსა და IV ს. დასაწყისში ჰქონდა. ეს არის ეპოქა, როდესაც ქრისტიანობა ფეხს იყიდებს არა ძარტო რომის იმპერიაში, არამედ სასანიანთა სპარსეთში, სომხეთში, საქართველოში და სხვ.

„ახალი ალთქმის“ წერილები და ადრეული იუდეო-ქრისტიანული ლიტერატურის შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქრისტიანობის პირველი მიმდევრები იუდეველთა რიგებში უნდა ვეძიოთ. მოციქული პავლე კოლაელთა მიმართ მიმართვაში „წინადაცვეთილთაგან“, ანუ ებრაელთაგან ორ პიროვნებას მოიხსენიებს: მარკოზს – ბარნაბას დისწულს და იესოს, რომელსაც იუსტოსს ეძახიან (4:10,11).

ქრისტიანობის წინაშე მდგარ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს | საუკუნის ბოლოს წარმოადგენდა საკითხი იმის შესახებ, ქრისტიანობა დამოუკიდებელ რელიგიას წამოადგენდა, თუ რჩებოდა იუდაიზმის განშტოებად, რაზეც დამოკიდებული იყო, იქნებოდა თუ არა იგი საბოლოოდ იუდაიზმის ერთ-ერთი სექტა, თუ განყვეტდა მასთან ყოველგვარ კავშირს, უარს იტყოდა იუდეველების – რჩეული ხალხის ერთგულებაზე და დაინტებდა ქადაგებას, ფართო პროპაგანდას წარმართებს შორის. სწორედ ამ ნიადაგზე წარმოიშვა ქრისტიანობაში პირველი განშტოება – იუდეო-ქრისტიანობა.<sup>1</sup> ეს მიმდინარეობა იერუსალიმში შეიქმნა, რომლის ძირითად ბირთვს ებიონიტები და ნაზარეველები შეადგენდნენ. „მოციქულთა საქმეებში“ მათი სახელით იაკობი – იესოს ხორციელი ძმა და მოციქული პეტრე საუბრობენ.

დიდ პაექრობას იწვევდა, აგრეთვე, საკითხი, შეეძლოთ თუ არა არაიუდეველებს ქრისტიანობის მიღება. გაისმოდა კითხვები იმის შესახებ, რომ ქრისტიანობის მიღებისათვის საჭირო იყო თუ არა პირველად იუდაიზმი ელიარებინათ, თუ პირდაპირ წარმართობიდან შეეძლოთ ქრისტიანობაზე გადასვლა. სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა ქრისტეს მოციქულთა შეკრება იერუსალიმში (საქმეები, 15). პავლე მოციქული კრებაზე იცავდა იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ქრისტიანობა დამოუკიდებელ რელიგიას წარმოადგენდა და ამ მოძღვრების ზიარება იუდეველების გარდა წარმართებსაც შეეძლოთ. იუდეო-ქრისტიანების ინტერესს, ძირითადად იაკობი – იესოს ხორციელი ძმა იცავდა.

<sup>1</sup> იუდეო-ქრისტიანებს სწამდათ, რომ მესია უკვე მოვიდა, მაგრამ იმავდროულად მისდევდნენ მოსეს კანონებს. ახლადგაჩენილი ქრისტიანობის დამოუკიდებელ მოძღვრებად აღიარება მათთვის მიუდებელი იყო.

მოციქულთა ამ კრებაზე დადგინდა, რომ ქრისტიანობის მიღება შეეძლოთ წარმართებსაც, ე.ი. არაიუდეველებსაც, რის შემდგომაც იუდეო-ქრისტიანობა, შეიძლება ითქვას, სექტად ჩამოყალიბდა, ხოლო იერუსალიმის დანგრევის შემდგომ (70 წ.), არ იღებდნენ რა რომის წინააღმდეგ აჯანყებაში მონაწილეობას, დაკარგეს თავიანთი რელიგიური ცენტრიც. ისინი არსებობას ძირითადად იორდანიაში განაგრძობდნენ. იუდეო-ქრისტიანობა, როგორც იუდეველების, ისე ქრისტიანების მიერ საბოლოოდ განიხილებოდა როგორც ერესი.

ქრისტიანულ რელიგიას კი შეეძლო ზიარებოდა ყველა მოდგმისა და რანგის ადამიანი, „სადაც არ არის არც ბარბაროსი, სკვითი, მონა და თავისუფალი, არამედ ქრისტეა ყოველივე და ყოველივეში“ (კოლაელთა მიმართ, 3:11), რაც შემდგომში ქრისტიანობის მსოფლიო რელიგიად გადაქცევის წინაპირობა ხდება.

მოციქულ პავლეს პოზიცია კარგად ჩანს მისი წერილებიდან, საიდანაც მტკიცდება, რომ იგი აქტიური წინააღმდეგი გამოდიოდა მხოლოდ იუდაური წეს-ჩვეულებების შესრულებისა, ანიჭებდა რა დიდ როლს წარმართებში ქრისტიანობის ქადაგებას. „ახალ აღთქმაშივეა“ მოხსენიებული საკმაოდ დიდი რაოდენობის არაებრაული სახელები, რომელთა პატრონებმაც ქრისტეს რჯული მიიღეს, მათ შორის მონათა და თავისუფალთა ზესახელებიც კი. მაგალითად „ფილოლოგოსი“ (რომაელთა მიმართ, 16:15). ამ ფორმის სახელებს მონათა ინტელიგენციის წარმომადგენლებს ანიჭებდნენ რომში. იმავდროულად, მოციქულმა პავლემ ქრისტიანობაზე მოაქცია რომაელი ცენტრურიონი კორნელიოსი, რომელიც პირველი არაებრაელი ქრისტიანი გახდა (საქმეები, 10).

დიდია პავლე მოციქულის დამსახურება ქრისტიანობის ჩამოყალიბებისა და მისი მსოფლიო რელიგიად გადაქცევის საქმეში. წმინდა პავლემ გაათავისუფლა რა ქრისტიანობა იუდაიზმისაგან, შეიძლება ითქვას ქრისტიანობა გადაიტანა ბერძნულ-რომაულ ცივილიზაციაში. აჩვენა, რომ მაცხოვრის სიკვდილი ძველი აღთქმის დასასრულს წარმოადგენდა, რის შემდეგაც იწყება ახალი აღთქმა. პავლე მოციქული გვევლინება ქრისტიანული ღვთისმსახურების ფუძემდებლად. სწორედ წმინდა პავლემ, სულინმინდის მადლით, პირველმა გამოკვეთილად ჩამოაყალიბა

ქრისტიანული რწმენა. აჩვენა მაცხოვრის სიკვდილისა და აღდგომის მნიშვნელობა, განავითარა ქრისტიანული ღვთისმსახურების, ეთიკის პრინციპები.

იესო მაცხოვრის შემდეგ, პირველი ქრისტიანული თემების აღმოცენება უკავშირდება ქრისტეს მოციქულებს, რომლებიც ახალი მოძღვრების საქადაგებლად მთელ ცივილიზებულ სამყაროში გაიფანტნენ. მათი მეშვეობით ქრისტიანობა ვრცელდებოდა ძირითადად იმ ელინიზებულ ებრაულ თემებში, რომლებიც თითქმის მთელ რომის იმპერიაში, განსაკუთრებით კი მის აღმოსავლეთ პროვინციებში ძლიერ იყვნენ ფეხმოკიდებულნი. „გამოცხადების“ ავტორი ცნობებს გვაწვდის მცირე აზიაში პირველი ქრისტიანული თემების არსებობის შესახებ. ესენია: ეფესოს, სმირნის, პერგამოს, თიატირას, სარდის, ფილადელფიის, ლაოდიკიის თემები. პირველი საუკუნის მეორე ნახევრიდან კი, განსაკუთრებით პირველი იუდეური ომის შემდგომ, ქრისტიანული თემები ფართოდ გავრცელდნენ. ამ პერიოდს განეკუთვნება ე.წ. კრიპტო-ქრისტიანული ძეგლები, რომლებიც საკმაო რაოდენობით დაფიქსირდა არქეოლოგიური გათხრების შედეგად. მაგალითად: ეპიტაფიები, კედლის მხატვრობის ნიმუშები, დასაკრძალვი კატაკომბები და სხვ.

მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის ვია აპიას, ვია ნომენტანასა და მონტევერდეს კატაკომბები, რომლებშიც დაფიქსირებულია მესიანისტური სიმბოლოები: პალმები, ყურძენი, ამფორები და ვაზები ზეთისათვის, ღვინო და წყალი, ჩიტები, რომლებიც ნისკარტით საჭმელს ეძიებენ, ცხვრისა და ხარის ცხოვრების წარმოსახვის მომენტები. ვია რანდანინის (ვია აპია) კატაკომბა, რომელიც I ს. თარიღდება, ცნობილია ისეთი მესიანისტური სიმბოლოებით, როგორიცაა მტრედები, წინილები, მებრძოლი მამლები, ხარის თავი, ცხვარი. მონტევერდეს (ვია ჰორტენზია) კატაკომბაში (I ს.) კი გამოსახულია ჩიტები, რომლებიც საჭმელს ეძიებენ ნისკარტით, პალმები, შანდლები. ხოლო ვია აპია პიგნატელის კატაკომბაში წარმოდგენილია ქრისტიანული სიმბოლო თევზი<sup>1</sup>

<sup>1</sup> ბერძნული სიტყვა IXΘΥΣ (თევზი) ქრისტიანებს მიაჩნდათ შემდეგი სიტყვების სიმბოლოდ „იესო ქრისტე, ძე ღმრთისა, მაცხოვარი“.

პალმებსა და ყვავილებს შორის. მაგრამ ყველაზე მდიდარს მაინც რომის ვია ტორლონიას (ვია ნომენტანა) კატაკომბა წარმოადგენს, რომელიც ॥ ს. თარიღდება, სადაც კედლებზე გამოსახულია მირონცხებისათვის საჭირო ლარნაკი, კედრის ხე და სხვ. რომელივეა ნაპოვნი ყველაზე ადრეული ქრისტიანული წარწერა დათარიღებული ॥ ს. წარმოდგენილი ორი პურითა და ორი თევზით. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ პირველ საუკუნეებში გარდაცვლილ ქრისტიანებს გაფანტულად კრძალავდნენ. მათ არ გააჩნდათ სპეციალური სასაფლაოები.

იმ დროს როდესაც ანტიკურ სინამდვილეში ფიზიკური სრულყოფილება დიდ როლს თამაშობდა (როგორც ცნობილია, კლასიკურ საბერძნეთში მოქალაქის იდეალს ჰარმონიულად განვითარებული ადამიანი წარმოადგნენდა), ქრისტიანები თავიანთ რიგებში ყველას იღებდნენ ვინც ქრისტეს და მის მცნებებს აღიარებდა. მათთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა ადამიანის ფიზიკურ სრულყოფას. საჭირო იყო მხოლოდ ცოდვების მონანიება და სულის სილამაზე – სულის სინმინდე.

ქრისტიანობა წარმოადგენდა არა მხოლოდ სწავლებას, არა-მედ ცხოვრების წესს. მან შეცვალა თავისი მიმდევრების ცხოვრების ყოფა, წესები და კულტურა. წარმართობასთან ბრძოლამ და ძველი აღთქმის ტრადიციებთან კავშირმა საფუძველი ჩაუყარა ახალ – ქრისტიანულ კულტურას, სამყაროს აღქმას და განსაზღვრა მისი განსაკუთრებულობა.

ნიშანდობლივია, რომ ახალი რელიგიის აღმსარებელთათვის დამახასიათებელი იყო ერთმანეთის გვერდით დგომა, ერთმანეთის გატანა, დახმარება, რომლის ნათელ მაგალითს წარმოადგენს პავლე მოციქულის საქმები. მან ბარნაბასთან ერთად ანტიოქიილ ქრისტიანთა ურიცხვი შემონირულობა იუდეაში მცხოვრებ უქონელ ძმებს ჩაუტანა, რადგან, იმ ხანად, კლავდიუსის ზეობაში (41-54 წწ.) იქ დიდი შიმშილობა მდვინვარებდა.

რომის იმპერიაში არსებობდნენ განსხვავებული კოლეგიები, რომლებსაც ქრისტიანები თავიანთი ინტერესებისთვის იყენებდნენ, მათ ეკლესიებს უწოდებდნენ, რაც სიტყვასიტყვით შეკრებას ნიშნავს. ეკლესიები ძველ ბერძნულ ქალაქებში მმართველობის ერთ-ერთ ორგანოს წარმოადგენდნენ, რომელთაც არა რელიგიური, არამედ პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდათ. ბერძნულად

ამ თემებს ტეკლისია ენოდებოდა. კლასიკურ ეპოქაში ანალოგიურად სახალხო კრება აღინიშნებოდა. „ახალი აღთქმის“ ტექსტებში ამ სიტყვას ორმაგი დატვირთვა აქვს. იგი გამოიყენება ან ცალკეული ადგილობრივი ქრისტიანული თემის, ან მთლიანად ეკლესიის აღსანიშნავად, რაც, თავის მხრივ, თეოლოგებს საშუალებას აძლევს დაასკვნან, რომ ქრისტიანული ეკლესია ქრისტიანული თემის თანადროულად იქმნებოდა. სწორედ ამიტომ, პირველყოფილი ეკლესიის ჩანასახი ჩვენ მოციქულთა ეპოქაში უნდა ვეძიოთ, რაზედაც „ახალ აღთქმაში“ შესული თხზულებები მოგვითხრობენ.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ იმ თემების შესახებ, რომლებიც ითანეს გამოცხადების მიხედვით, მცირე აზიაში არსებობდნენ. ამას ემატება სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებული ბითვინიაში ქრისტიანული თემის არსებობის ფაქტი. რაც არც არის გასაკვირი, ვინაიდან იგი ტერიტორიულად ძალიან ახლო იყო ითანეს გამოცხადებაში მოყვანილ ქალაქებთან. როდის აღმოცენდა პირველად საეკლესიო იერარქია და რა მოვლენებთან იყო იგი დაკავშირებული? ამ მხრივ, მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის მოციქულ პავლეს წერილი კორინთელთა მიმართ, რომელშიც აღნიშნულია: „ზოგნი დაადგინა ღმერთმა ეკლესიაში, პირველ რიგში: მოციქულებად, მეორე რიგში: მქადაგებლებად და მესამე მოძღვრებად“... (კორინთელთა, 12:28), რამდენიმე წლის შემდეგ წერილში ეფესელთა მიმართ უფრო რთული იერარქიაა მოცემული: „მან დააყენა ერთნი მოციქულებად, მეორენი ნინას-წარმეტყველებად, ზოგნი მახარებლებად, ზოგნი მწყემსად და მოძღვრებად“ (ეფესელთა, 4:11).

„მოციქულთა საქმეები“ მოგვითხრობს მოციქულებისა და პრესვიტერების შესახებ. მოციქულთა ფუნქციას წარმოადგენდა, მაგალითად ხელდასმა (პავლე), ე.ი. ქრისტიანული თემის პრესვიტერების დანიშვნა. მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ პრესვიტერთა ინსტიტუტი არსებობდა მხოლოდ აღმოსავლეთის პროვინციების რამდენიმე ქალაქში არსებულ ეკლესიებში. იგივე „მოციქულთა საქმეები“ გვამცნობს, რომ არსებობდნენ ნინას-წარმეტყველები და მასწავლებლები. პირველ საუკუნეშივე ჩნდება ქრისტიანულ თემში ეპისკოპოსები და დიაკონები, რაც და-

ფიქსირებულია მოციქულ პავლეს წერილში ფილიპელთა მიმართ (1:1). შესაძლოა ფილიპელთა თემი წარმოადგენდა პირველ თემს, სადაც გაჩნდნენ ეს თანამდებობები. სხვა ადგილებში ეკლესიის მსახურნი „მწყემსის“, „ზედამხედველის“ აღმნიშვნელად იხმარებოდა და არა თანამდებობისა (I პეტრე, 2:25; მოციქულთა საქმეები, 20:28).

ეკლესიების მართვა ატარებდა კოლეგიალურ და არა ერთპიროვნულ ხასიათს. როგორც არაერთი ისტორიული წყარო (მოციქულ პავლეს, პეტრესა და იაკობის წერილები, ნეტარი იერონიმესა და სხვათა თხზულებები) მიგვანიშნებს, ფუნქციებისა და მდგომარეობის მიხედვით, ქრისტიანულ თემებში ეპისკოპოსები და პრესვიტერები ერთმანეთის მიმართ თანასწორები იყვნენ. II ს. დასახყისში ეპისკოპოსებისა და პრესვიტერების რიგებიდან ნელ-ნელა დაიწყო ზოგიერთმა მათგანმა დაწინაურება, რომელიც ყველას სახელით მოქმედებდა. პირველად სწორედ მათ მიმართ გამოიყენებოდა ხოლმე ყველაზე ხშირად სიტყვა „ეპისკოპოსი“, მაშინ როდესაც სხვა ეპისკოპოსები გადავიდნენ პრესვიტერების რანგში. ამის ერთ-ერთი პირველი მაგალითი მისცა იერუსალიმის ეკლესიამ, რომლის სათავეშიც იდგა მაცხოვრის ხორციელი ძმა იაკობი. ასე რომ დაიწყო მსხვილი საეპისკოპოსოების ჩამოყალიბება.

იმპერიის სხვადასახვა ნაწილში ეს პროცესი სხვადასხვანაირად მიმდინარეობდა, მაგრამ ადგილის მიუხედავად, ყველგან საეპისკოპოსო და საპრესვიტერო საბჭოები ჩრდილში დგებოდა. წინა პლანზე ერთი ეპისკოპოსი იწევდა, რომელიც დროთა განმავლობაში ახორციელებდა არა მხოლოდ განმკარგულებელ, არამედ სულიერ ხელისუფლებასაც, რაც გამოწვეული იყო რიგი ეპისკოპოსების დამსახურებით ერესების წინააღმდეგ ბრძოლა-ში, მათი პირადი ავტორიტეტით, მათი ცხოვრების სინმინდით.

განმკარგულებლისა და პედაგოგის ფუნქციების ერთმანეთთან შეთავსების შესახებ ჯერ კიდევ პავლე მოციქული მიუთითებდა. ასე რომ II ს. ერთპიროვნული მმართველობის არსებობა ეკლესიაში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. შედეგად ეპისკოპოსი მართავდა ოლქებს, მხარეებს, რომელთა საზღვრებიც, თავის მხრივ, ემთხვეოდა სახელმწიფოს პროვინციის ად-

მინისტრაციულ საზღვრებს. ეპისკოპოსების ადგილს ცალკეულ თემში იკავებდა პრესვიტერი.

IV ს. ჩამოყალიბდა სამსაფეხურიანი იერარქია (ეპისკოპოსი – პრესვიტერი – დიაკონი). გაჩდნენ, აგრეთვე, დიაკონისაგან ნარმომდგარი (იპოდიაკონი და სხვ.) და ახალი საეკლესიო თანამდებობები – მკითხველები, კატეხიზატორები, ეკზორცისტები და ა.შ. ერთიანი იერარქიული სისტემის ჩამოყალიბებას ამძაფრებდა სახელმწიფოს მხრიდან დევნისაგან თავდაცვის სურვილი. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო დამტკიცებული და ფართოდ გავრცელებული ახალი აღთქმის კანონები, არ იყო მიღებული მრნამსი – მონარქიული საეპისკოპოსოების შექმნა ნარმოადგენდა ქრისტიანობის განვითარების ობიექტურ კანონზომიერებას.

მთელი ქრისტიანული სამყარო II-III სს. შედგებოდა თემები-საგან, რომლებსაც მართავდნენ ეპისკოპოსები. პრესვიტერები ქმნიდნენ საბჭოს და აღმასრულებელ ორგანოს. ორგანიზებულ ქრისტიანულ თემებს ენოდებოდათ პარიკიები (παροικία), ე.ი. ცალკეული, ადგილობრივი საეპისკოპოსო ეკლესიები.

III საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში, კერძოდ დიოკლეტი-ანეს მმართველობის პერიოდში, ქრისტიანული რელიგიის არსებობაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, ჩამოყალიბება დაიწყო ბერ-მონაზნობამ, რომელიც თავისი არსით საკ-მაოდ რთულ მოძრაობას ნარმოადგენდა და ასკეტურ ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული.

ევსები კესარიელი გვევლინება პირველ ქრისტიან მწერლად, რომელიც თავის თხზულებაში „ევანგელური წინასწარმოხაზულობა“ (დაახ. 323 ნ.) გვანვდის ცნობებს იმის შესახებ, რომ ეკლესიამ დაადგინა ქცევის ორი წესი, ორი განსხვავებული ტიპი-სათვის. ერთი მათვის, ვინც უმაღლეს რელიგიურ სათნოებას, ზნეობრიობას აღიარებდა და მისდევდა (უმანკოება, უქორნინებელობის არჩევა, სიმდიდრეზე, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე უარის თქმა, ღვთისთვის საკუთარი ცხოვრებისა და თავის მიძღვნა და სხვ.) და მეორე – მათთვის, რომ-ლებიც ყოველდღიური არსებობის დონეზე რჩებოდა (საოჯახო

კავშირები, ბავშვების დაბადება, სამხედრო და მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულება, მატერიალური მოგების მიღება და სხვ.).

ასკეტური ცხოვრების განდიდება მოცემულია IV-V სს. ლათინური ეკლესიის სამ უდიდეს მამასთან: ამბროსისთან (Ambrosius 340-397 წწ.), იერონიმესთან (Hieronimus 346-420 წწ.) და ნეტარ ავგუსტინესთან (Augustinus 354-430 წწ.).

აბსოლუტური თავშეკავების იდეალი ჩამოყალიბებულ იქნა ოდნავ ადრე, III ს. პირველ ნახევარში ორიგენესა (Origenes Adamantus 185-254 წწ.) და მეთოდე ოლიმპიელის (გარდაიცვალა 311 წ.) მიერ, რომელთა შრომებშიც ტიპური ნეოპლატონისტური მოტივები ჩნდებოდა. პლოტინიც (Plotinus 204/205-269/270 წწ.) ასევე მიიჩნევდა, რომ რელიგიური აქტის პირველ მომენტს რეალურ ცხოვრებასთან კავშირის განყვეტა წარმოადგენდა. მდინარე იორდანეს გალმა მეუდაბნოენი ახ.წ. I ს. მიდიან. მაშინ ისინი ერთეულები იყვნენ.

პირველ ქრისტიან ბერად – მამად (ბერძნული monachos – ერთი) მიჩნეულია წმინდა ანტონ დიდი (Sanctus Antonius Aegyptius 251-356 წწ.) – ეგვიპტელი მეუდაბნოე, რომელიც ას წელს გადაცილებული გარდაიცვალა 356 წ. ანტონ დიდი, როგორც თქმულება გადმოგვცემს, იყო პირველი, რომელმაც „ანახორეტის“ (ბერძნული აνაχორეტის, ის ვინც შორდება საზოგადოებას, რათა მარტოობაში იცხოვროს – განდეგილი) წოდება მიიღო. იგი 270 წ. წავიდა უდაბნოში. ამავე ხანებში პალესტინაში ცნობილი მეუდაბნოე იყო ილარიონ დიდი (Hilarion 288-372 წწ.).

ბერ-მონაზონთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა და მალე ეგვიპტეს გასცდა, ფართოდ გავრცელდა სირია-პალესტინაში, შემდეგ კი იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციების დანარჩენ წანილში. ბერები იზოლაციიდან მხოლოდ ღვთის საქმეებისათვის გამოიდიოდნენ. მათი კელიები კი სულ უფრო დიდი რაოდენობის ხალხს იზიდავდა. ასე იქმნებოდა ბერ-მონაზონბის კიდევ ერთი ტიპი, ე.წ. „სამონასტრო“, „კინობიონური“ (ბერძნული koinobion – ერთიანი, საზიარო ცხოვრება). პირველ ანახორეტულ კატეგორიას ანტონის გარდა, განეკუთვნებოდნენ ასკეტი ბერები პავლე, ილარიონი და ამონიუსი. ბერ-მონაზონბის ერთ-ერთ ფუძემდებლად გვევლინება ეგვიპტური წარმომავლობის ბერი პახომი.

რაც შეეხება იმპერიის დასავლეთ პროვინციებს, მონასტრების მშენებლობა აქ მას შემდეგ დაიწყო, როდესაც იგი აღმოსავლეთში უკვე აღმოცენებული იყო.

## ანტიოქია

რომის იმპერიაში პირველი ქრისტიანული თემის აღმოცენება ანტიოქიაში, ქვეყნის სიდიდით მესამე ქალაქში (რომისა და ალექსანდრიის შემდეგ) უნდა მომხდარიყო.<sup>1</sup>

ანტიოქიის ეკლესია წმინდა პეტრეს მიერ იყო დაარსებული და ამიტომაც მიიჩნეოდა, რომ ანტიოქიის პატრიარქი იჯდა პეტრეს საყდარზე. როგორც „მოციქულთა საქმეები“ მოგვითხრობს, სირიელები იყვნენ პირველი წარმართნი, ვინც ქრისტიანობა მიიღეს და სწორედ ანტიოქიაში უწოდეს პირველად „ქრისტიანები“ ახალი, დამოუკიდებელი რელიგიის მიმდევრებს (საქმეები, 11:19-26). იგივე „მოციქულთა საქმეების“ მიხედვით, ანტიოქიის ეკლესია თავის წარმოშობას რამდენიმე კვიპროსელ და კვირენელ მორწმუნეს უნდა უმადლოდეს – „ზოგიერთი კვიპროსელნი და კვირენელნი იყვნენ, რომლებიც ანტიოქიაში მოსვლისას ელაპარაკებოდნენ ბერძნებსაც და ახარებდნენ უფალ იესოს“ (საქმეები, 11:20). შესაბამისად, ანტიოქიაში ქრისტიანობა ძალიან აღრე გავრცელდა, არა მარტო ებრაელ მოსახლეობაში, არამედ ელინებშიც.

რა თქმა უნდა, იერუსალიმი ყოველთვის დარჩება მსოფლიო რელიგიის დედაქალაქად, მაგრამ ყველა ქრისტიანის ჭეშმარიტი საწყისი პუნქტი მაინც ანტიოქიაა. სწორედ აქ დაარსდა პირველად იუდაიზმისაგან თავისუფალი ეკლესია. აქ დაიწყო მოციქულთა ეპოქის დიდი ქადაგება. აქ საბოლოოდ ჩამოყალიბდა წმინდა პავლეს პიროვნება. ანტიოქიას შეიძლება ქრისტიანობის განვითარების მეორე ეტაპი ვუწოდოთ. ქრისტიანული ეკლესიის

<sup>1</sup> ანტიოქია, რომელიც ძვ.წ. 300 წელს დააარსა სელევკ I, მნიშვნელოვან კულტურულ და სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა, სადაც მოღვაწეობდნენ რიტორები და სოფისტები. აქ არსებობდა იუდეველთა მნიშვნელოვანი კოლონია და სინაგოგა, რომელიც IV ს. ბოლოს ეკლესიად გადაკეთდა.

სიწმინდით მას ვერც რომი, ვერც ალექსანდრია და ვერც კონსტანტინოპოლი შეედრება. გაბატონებულ ენად ანტიოქიის ეკლესიაში ბერძნული იყო. მიუხედავად ამისა, აქ ბევრი მორნმუნე სირიულად საუბრობდა. ანტიოქიაში დიდი იყო მოქცეულ ებრაელთა რიცხვიც. შეიძლება ითქვას, მათ პირველი ნაბიჯი გადადგეს წარმართ-ქრისტიანებთან დასაახლოებლად. ასე რომ, ორონტის ნაპირზე აღსრულდა რასებს შორის რელიგიური კავშირი, რომელზეც იქსო ოცნებობდა.

ქრისტიანული რელიგიის სწავლების შექმნაში დიდი როლი ითამაშა ანტიოქიის საეკლესიო სკოლამ, სადაც არისტოტელეს ლოგიკა სჭარბობდა. მან უარყო ალექსანდრიული სკოლისათვის დამახასიათებელი შეუზღუდავი ალეგორიების გამოყენება ძველი და ახალი აღთქმის კომენტარებში და იცავდა წმინდა წიგნების სიტყვასიტყვით, პირდაპირ გააზრებას. ეს მიმდინარეობა უბრალოდ ხელს უწყობდა ფილოსოფიური თვალსაზრისით ტექსტის უფრო კორექტულ ფორმირებას. ამ სკოლის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი იყო ლუკიანე.

ანტიოქიის მიტროპოლიტი იწვევს საეკლესიო კრებებს (ევსები, საეკლესიო იტორია, VI, 46) და ძალაუფლებაც აქვს, რაც იმაში გამოიხატება, რომ მას ექვემდებარებოდა რიგი ეპისკოპოსებისა. ანტიოქია აღმოსავლეთში ქრისტიანობის ცენტრად იქცა, სადაც III ს. რამდენჯერმე ჩატარდა საეკლესიო კრება, რომელსაც აღმოსავლეთის პროვინციების (პონტო, ეგვიპტე) ეპისკოპოსები ესწრებოდნენ. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი იყო 264-269 წწ. ჩატარებული სამი კრება მიმართული ერესების წინააღმდეგ. კრებაზე დამსწრე აღმოსავლეთის ქრისტიანული თემების იერარქებმა თვალნათლივ დაინახეს ანტიოქიის თემის სიძლიერე.

IV ს. დასაწყისში ანტიოქიის ეპისკოპოსის გავლენაზე მოგვითხრობს ევსები კესარიელი „საეკლესიო ისტორიაში“ (VI,6). ამ დროისათვის, შეიძლება ითქვას, მთელი აღმოსავლეთის ეკლესიების ცენტრი ანტიოქია იყო. მისი სულიერი გავლენა ვრცელდებოდა არა მარტო მცირე აზიაზე, პონტოსა და აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილზე, არამედ შორეულ სპარსეთზე, სომხეთსა და საქართველოზე. ანტიოქიის ეპისკოპოსებს უნდა ეზრუნათ ამ ქვეყნებში ქრისტიანობის გავრცელებაზე, რომელებიც ჯერ დახ-

მარებას უწევდნენ სუსტ ქრისტიანულ თემებს, შემდეგ, საეკლესიო რეცეფციის ძალით, მათზე იმტკიცებდნენ იერარქიულ მდგომარეობას და მათ თავიანთ ხელისუფლებას უქვემდებარებდნენ. ეპისკოპოსთა ერთპიროვნული ძალაუფლების ზრდასთან ერთად ანტიოქიის ეპისკოპოსთა ძალაც იზრდებოდა. ასე გაგრძელდა ნიკეის I საეკლესიო კრებამდე. ამ კრებამ, ანტიოქიის ეპისკოპოსთა შემდგომ გაძლიერებას ზღვარი დაუდო. ნიკეის კრების მეექვსე კანონით, ანტიოქიის ეპისკოპოსის ძლიერება საგრძნობლად შეიზღუდა, მისი ძალაუფლება ამ კანონით მხოლოდ ორ სამოქალაქო პროვინციაზე (Coele Syria და Augusta Euphratiensis) ვრცელდებოდა. ანტიოქიელ საჭეთმცყრობელებს ამ პროვინციების ეპისკოპოსთა ხელდასმის უფლება დარჩათ.

ნიკეის კრების მიერ ეპისკოპოსთა ძალაუფლების შეზღუდვის მიუხედავად, ანტიოქიის ეკლესია აზიაში მაინც პირველობას ინარჩუნებდა. ძველთაგანვე მომდინარე ტრადიციით, რომელიმე საეკლესიო კრებას თუ რომისა და ალექსანდრიის ეპისკოპოსები არ ესწრებოდნენ, კრების თავმჯდომარე ანტიოქიის ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო. მაგრამ თუ კრება იმპერიის აზიურ ნაწილში გაიმართებოდა, მაშინ კრებაზე რომისა და ალექსანდრიის ეპისკოპოსებიც რომ ყოფილიყვნენ, კრებას მაინც ანტიოქიელი ეპისკოპოსი თავმჯდომარეობდა. ასე იყო 314 წელს ანკირის, ნეოკესარიის 315 და 325 წლების ადგილობრივ საეკლესიო კრებზე. ანტიოქიელი ეპისკოპოსი ასევე პირველი ჩანს 341 წლის ანტიოქიის, 343 წლის ფილიპოპოლისის, 363 წლის ანტიოქიის ადგილობრივ, 325 წლის ნიკეის პირველ და 381 წლის კონსტანტინოპოლის მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებებზე. ასევე, რომელიმე საეკლესიო წერილზე თუ ხელს არ აწერდნენ რომისა და ალექსანდრიის ეპისკოპოსები, პირველი ყოველთვის ანტიოქიის ეპისკოპოსის ხელმოწერა იყო.

325 წელს ნიკეაში გამართული პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების აქტებში, ანტიოქიის ეპისკოპოსის ევსტათის ხელმოწერის ქვეშ 22 ეპისკოპოსის ხელმოწერაა. მკვლევართა აზრით, ეს გარემოება იმის დამადასტურებლად არის მიჩნეული, რომ ამ ეპისკოპოსთა სამწყსოები ანტიოქიის ეპისკოპოსის პროვინციები უნდა ყოფილიყო.

## 01 რუსალიგი

წარმატებით ვრცელდებოდა ქრისტიანული სარწმუნოება იერუსალიმში.<sup>1</sup> მოციქულთა თაოსნობით იერუსალიმის ეკლესია მალე იზრდებოდა. როგორც ცნობილია, იერუსალიმის პირველი ქრისტიანული თემის ხელმძღვანელად იაკობი – ქრისტეს ხორციელი ძმა გვევლინება. შესაბამისად, იერუსალიმის პირველ ქრისტიანებს იუდეო-ქრისტიანები წარმოადგენდნენ. არამარტო ამ ქალაქის ქრისტიანული თემი, არმედ საერთოდ პალესტინის ქრისტიანული თემი იაკობის ხელმძღვანელობით იმ იმედით ცხოვრობდნენ, რომ მთელ ებრაელ ერს მოაქცევდნენ. მაგრამ მალე 70 წელს იერუსალიმის დაცემამ მისი ვარსკვლავი ჩააქრო. ძველი ქალაქიდან მხოლოდ სამი კოშკი და ქალაქის კედლის ნარჩენილა შემორჩა.

ძველი ტაძრის ნანგრევებზე იმპერატორის ბრძანებით, აღმართულ იქნა იუპიტერ კაპიტოლიუმის ტაძარი, რის შედეგსაც ბარ-კოხბას (ივრითი – ဈבָבְאַכְבָּרְ ၇၁ წ.) აჯანყება წარმოადგენდა, რომელიც იმპერიამ 135 წელს სასტიკად ჩაახშო. ადრიანეს ბრძანებით იერუსალიმი მეორედ დაანგრიეს, ხოლო იუდეველებს აუკრძალეს იმ ადგილას მიახლოება. იერუსალიმის დაცემის შემდეგ (ახ. წ. 70 წ.), აქ საკმაოდ დიდი ქრისტიანული თემი გაჩნდა, მაგრამ ახლა უკვე წარმართ ქრისტიანებისგან შემდგარი.

ბარ-კოხბას აჯანყების ჩახშობის შემდგომ, წარმართ ქრისტიანების თემში პირველი ეპისკოპოსი იყო მაკარი, რომლის მოღვაწეობასაც ევსები ადრიანეს (117-138 წ.) იმპერატორობის მე-19 წლით ათარიღებს. რა თქმა უნდა, ამ წარმართ ქრისტიანულ თემს აღარ შეეძლო იმ საპატიო ადგილის პრეტენდენტი ყოფილიყო, რომელიც ადრე იერუსალიმის ქრისტიანულ თემს ეჭირა მთელ სამყაროში. თვით პალესტინაშიც კი მთავარი როლი კესარიის ეპისკოპოსზე გადავიდა, მაგრამ მაინც იერუსალიმის

<sup>1</sup> მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი. ძველი იუდეის სამეფოსა და თანამედროვე ისრაელის სახელმწიფოს დედაქალაქი. გვევლინება სამი მონოთეისტური რელიგიის – იუდაიზმის, ქრისტიანობისა და მაჰმადიანობის ცენტრად, სადაც თავმოყრილია ისტორიული და კულტურული ღირებულების მქონე ძეგლების დიდი რაოდენობა.

ქრისტიანული თემის როლი, როგორც დედაეკლესიისა, საკმაოდ მაღალი იყო ქრისტიანთა თვალში. პალესტინაში ზოგიერთი თემი მიმაგრებული იყო იერუსალიმის დედაეკლესიაზე.

## ხელთაშუაზღვისაირათი

„მოციქულთა საქმეების“ ტექსტი გვაუწყებს, რომ უკვე პირველ საუკუნეში ხმელთაშუაზღვიპირეთის ბევრ ქალაქში უნდა ვეძიოთ პირველი ქრისტიანული თემები, პირველი ქრისტიანული ეკლესიები. ამ აზრის განსამტკიცებლად პავლე მოციქულის საქმეები გამოგვადგება. პავლე მოციქულმა ოთხჯერ იმოგზაურა ხმელთაშუაზღვისპირეთსა და მცირე აზიის ტერიტორიაზე ქრისტეს რჯულის საქადაგებლად და პირველი მოგზაურობის დროს (45-46 წწ.) ბარნაბასთან ერთად გაემგზავრა ანტიოქიიდან, მოიარა კვიპროსი, მცირე აზია ინახულა ქალაქები ანტალია, პერგეა, პისიდის ანტიოქია, იკონია, დერვია და ლისტრა. მეორე მოგზაურობის დროს (48-51 წწ.), რომელიც მოიცავდა ოვრამეტთვიან შეჩერებას კორინთოში, გაემგზავრა რა ანტიოქიდან ხმელეთით, სილასთან ერთად, მოინახულა პირველი მოგზაურობისას დაარსებული ეკლესიები. ლისტრაში მათ შეუერთდა ტიმოთე, საიდანაც გაემგზავრნენ ტროაში, შემდეგ გადავიდნენ ჩრდილო საბერძნეთში, ფილიპედან გაიარეს თესალონიკე, ბერეა, ათენი და კორინთო, სადაც დარჩნენ კიდეც. შემდეგ პავლე და მისი თანამგზავრები დაბრუნდნენ კორინთოდან ზღვით, ეფესოსა და კესარიის გავლით ანტიოქიაში. მესამე მოგზაურობისას (დაინყო 53 წ.) პავლემ და მისმა თანამგზავრებმა გაიარეს გალატია და ფრიგია. ორი წელი მათ დაჰყვეს ეფესოში. საიდანაც გადავიდნენ ფილიპეში, კორინთოში და უკან დაბრუნდნენ. ტროადან ზღვით გაემგზავრნენ, მოინახულეს რა ასონი, მილიტენე, მილეტი, როდოსი, ტვიროსი, პატარა და ჩავიდნენ პტოლემაიდაში, საიდანაც კესარიის გავლით მივიდნენ იერუსალიმში. მეოთხე მოგზაურობისას პავლეს თან ახლდა ლუკა, რომლის დროსაც მათმა გემმა განიცადა მარცხი მაღლტის ნაბირებთან, სადაც გამოიზამთრეს კიდეც. სანამ რომში ჩავიდოდა, პავლემ რომაელებს მისწერა წერილი, რომელშიც ჩამოაყალიბა

ქრისტიანული სწავლების საფუძვლები. რომში ჩასულებს მათ ადგილობრივი მოსახლეობა მიეგება. ბოლო ორი წელი, ელოდა რა განაჩენს, პავლე არ წყვეტდა ქრისტეს მოძღვრების ქადაგებას (მოციქულთა საქმეები).

## პონტო-კაპადოკია

ლუკიანეს თხზულებიდან ვიგებთ, რომ პროვინცია პონტო გავსებული იყო ქრისტიანებით (ალექსანდრე, 25). პონტო-კაპადოკიის<sup>1</sup> ეროვნული ეკლესიების ქრისტიანული თემები ერთ-ერთი უძველესი იყო იმპერიაში. აქ იყო ისეთი ცნობილი საეპისკო-პოსოები, როგორიცაა: კესარიისა, თიანისა, კომანისა, კოლონისა, კიბისტრიისა, ამასიისა, ნეოკესარიისა, სეპასტიისა, ტრაპიზონისა, ნაზიანზისა, ნისისა და სხვ. მცირე აზიაში, დაიწყო, აგრეთვე, მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზე შექმნილი ეროვნული ეკლესიების ჩამოყალიბება, რომელთაგან პონტო-კაპადოკიის ეკლესია ერთ-ერთი ძლიერი იყო. ეროვნულ-ეთნიკურ ნიადაგზე შექმნილი საეპისკოპოსოების არსებობა სცნო 314 წლის ანკირაში გამართულმა ადგილობრივმა საეკლესიო კრებამ, რომლის დადგენილების მე-18 კანონით, ზემოთ დასახელებული საეპისკოპოსოები თანასწორად და დამოუკიდებლად გამოცხადდა. ეს დადგენილება დაადასტურა ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების მე-4, მე-5 და ანტიოქიის ადგილობრივი კრების (344 წ.) მე-9, მე-14, მე-15, მე-19 და მე-20 კანონებმა. მაგრამ სამწუხაროდ მათი შენარჩუნება პონტოს ეპისკოპოსებმა ვერ შეძლეს. ისინი III-IV სს. მონაწილეობას იღებენ ანტიოქიის ეპისკოპოსების მიერ მოწვეულ საეკლესიო კრებებში (251, 264 და 269 წწ.). უფრო მეტიც, ანტიოქიის ეპისკოპოსები თავმჯდომარეობდნენ 314 წელს იანვრის და თვით პონტოს საეკლესიო კრებებზე (ნეოკესარიაში 314 და 325 წწ.). მიუხედავად იმისა, რომ ამ კრებებს ანტიოქიელ ეპისკოპოსთა თავმჯდომარეობა მხოლოდ მათი სულიერი გავლენის დამადას-

<sup>1</sup> პონტო (ლათ. Pontus) მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილი. კაპადოკია – აღმოსავლეთ მცირე აზიის მხარის ისტორიული ევროპული სახელწოდება.

ტურქებელი იყო, სულიერი გავლენა კი საეკლესიო იერარქიაში ცოტას არ ნიშნავს.

უნდა აღინიშნოს, რომ მცირე აზიაში ეპისკოპოსების გარდა იყვნენ ქორეპისკოპოსებიც, რაც სოფლის მოსახლეობაში ქრისტიანობის გავრცელებაზე მეტყველებს. ქორეპისკოპოსების ინსტიტუტი განსაკუთრებით იყო თვალშისაცემი კაპადოკიასა და ისავრიაში.

სმელთაშუაზღვისპირეთის აღმოსავლეთ სანაპიროს მთავარ ქალაქებში ქრისტიანობა, როგორც აღვნიშნეთ, მოციქულთა პერიოდიდან გავრცელდა. სირიიდან და პალესტინიდან იგი თანდათან შედის აზიის დასავლეთსა და საბერძნეთში, სემიტურ აღმოსავლეთში, სირიის წინამდებარე ქვეყნებში და ტრანსიორდანულ რეგიონში. მესოპოტამიაშიც, როგორც ჩანს, ახალი რელიგია გავრცელებული იქნა ქრისტიანი მისიონერების მიერ ჯერ კიდევ | ს. ბოლომდე.

IV ს. დამდეგიდან წინა და მცირე აზიაში გამოიკვეთა და თანდათან ჩამოყალიბდა ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული, მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზე შექმნილი ისეთი დიდი საეპისკოპოსოები, როგორებიც იყვნენ: ტარსისა – კილიკიაში, კესარიისა – კაპადოკიაში, ეფესოსი – აზიაში, ტივიროსისა – ფინიკიაში, ედესისა – მესოპოტამიაში, ბოსტრისა – არაბეთში, ნეოკესარიისა – პოლემონის პონტოში, ანკირისა – გალატიაში, იკონისა – ლიკაონიაში და სხვ.

## ალექსანდრია

როგორც იმ პერიოდის ქრისტიანული ლიტერატურა მოგვითხრობს, ქრისტიანობა ეგვიპტეში | ს. შუა ხანებიდან ვრცელდება. | ს. 60-70 წწ. ალექსანდრიაში<sup>1</sup> უკვე არსებობდნენ პირველი ქრისტიანები. ქრისტიანობის გავრცელება ეგვიპტეში პირველად ქვეყნის დედაქალაქში, უდიდეს ქალაქსა და პორტში – ალექსანდრიაში

<sup>1</sup> ქალაქი ნილოსის დელტაზე, ანტიკური ეგვიპტის მთავარი საპორტო ქალაქი, რომელიც 332 წელს დააარსა ალექსანდრე მაკედონელმა. იყო პტოლემაიოსების ეგვიპტის დედაქალაქი.

უნდა მომხდარიყო. შემდგომ ახალი რელიგიის მიმდევარნი სოფ-ლის მოსახლეობაშიც უნდა გაჩენილიყვნენ.

ალექსანდრიაში, რომელიც ეგვიპტისა და ახლომდებარე ქვეყნების ქრისტიანულ ცენტრად გვევლინება, ახალი მონოთე-ისტური რელიგია მარკოზის მიერ იყო შეტანილი (ევსები, საეკ-ლესიო ისტორია, II, 16). ალექსანდრიის ეპისკოპოსი<sup>1</sup> ეყრდნო-ბოდა რა თავის უმაღლეს მდგომარეობას ფაქტობრივად ეგვიპ-ტის, ლიბიისა და პენტაპოლიის ქრისტიანული თემების სათავეში ექცევა. დროთა განმავლობაში კი ფაქტიური ხელისუფლება კა-ნონიერი გახდა.

ეგვიპტეში, იმპერიის ამ აღმოსავლეთ პროვინციაში, სადაც იუდეველთა დიდი ნაწილი ცხოვრობდა და მნიშვნელოვან როლ-საც თამაშობდა, ასევე აღმოცენდა პირველი ქრისტიანული თე-მები, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ალექსანდრიაში ქრის-ტიანობის შესვლა სირთულეებთან ყოფილიყო დაკავშირებული ქვეყანაში საკმაო რაოდენობით არსებული გნოსტიკური სექტე-ბის გამო, რის დადასტურებადაც შეიძლება ჩაითვალოს ეგვიპ-ტეში არსებული სხვადასხვა ფორმის გნოსტიკური თხზულებები. უკვე II ს. ბოლოს კლიმენტი ალექსანდრიელმა იცის ეგვიპტელთა სახარება და პირველი თაობიდან გავრცელებული ერთი იუდეო-ქრისტიანული აპოკრიფი. გნოსტიკურ ლიტერატურას ამდიდ-რებს 1947 წ. ნაგ ჰამადის მახლობლად აღმოჩენილი 30 codices, რომელიც II-III სს. განეკუთვნება.

ძველ ეგვიპტეში დიდი რაოდენობით არსებობდნენ, აგრეთ-ვე, ორთოდოქსალური ქრისტიანობის მიმდევრებიც, რასაც ამ ტერიტორიაზე აღმოჩენილი II საუკუნის დასაწყისით დათარიღე-ბული პაპირუსიც ადასტურებს. ამას ემატება ისიც, რომ ალექ-სანდრიაში არსებობდა ქრისტიანული ფილოლოგიის უმნიშვნე-ლოვანესი ორთოდოქსალური სკოლა, რომელსაც წლების მან-ძილზე სათავეში ედგა უდიდესი პიროვნება, ქრისტიანობის დიდი აპოლოგეტი კლიმენტი ალექსანდრიელი, რომელიც ცდილობდა მრნამსისათვის რაციონალური საფუძველი მიეცა. იგი მიმარ-

<sup>1</sup> ალექსანდრიის პირველი ეპისკოპოსი იყო დიმიტრი.

თავდა ბიბლიის ალეგორიული ახსნის მეთოდს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ალექსანდრიულ სკოლაში უპირატესობა ენიჭებოდა პლატონის მეთოდოლოგიას. ალექსანდრიული თეოლოგიისათვის ცენტრალურ თემას წარმოადგენდა ადამიანსა და ღვთაებრივს შორის ურთიერთობა „შემეცნების“ საფუძველზე.

ევსები კესარიელის „საეკლესიო ისტორია“ (VI, 1-3) გვამცნობს იმის შესახებ, რომ სეპტიმიუს სევერუსის (193-211 წწ.) მიერ ჩატარებული ქრისტიანთა დევნის დროს, ალექსანდრიაში განსაკუთრებულად დიდი რაოდენობის მორნმუნებმა შეიმკეს თავი წამებულთა გვირგვინით. 325 წ. ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, რომლის ინიციატორადაც ალექსანდრე ალექსანდრიელი გვევლინება, ხოლო მისი მოწაფე ათანასე ალექსანდრიელი აღნიშნულ კრებაზე მიღებული რწმენის სიმბოლოს ჩამოყალიბებლად (მფორმირებელი), ეგვიპტიდან მონაწილეობას იღებდა 29 ეპისკოპოსი. ალექსანდრიის ეპისკოპოსი ანტიოქიის, კართაგენისა და რომის ეპისკოპოსებზე ნაკლები გავლენით არ სარგებლობდა.

## რომი

პირველ საუკუნეში ეგეოსის ზღვის გარშემო და ქვეყნის დედაქალაქშიც ქრისტიანთა დიდი თემის არსებობა მტკიცდება. მოციქულ პავლეს მიერ რომაელებისადმი გაგზავნილი ეპისტოლედან ვიგებთ, რომ ქრისტიანები რომში განსაკუთრებულ როლს თამაშობდნენ, რომელთა რიგებში ებრაელებთან ერთად წარმართებსაც ვხვდებით (რომაელთა მიმართ).

რომში ქრისტიანული თემის არსებობის შესახებ ცნობებს გვაწვდის სვეტონიუსი კლავდიუსის (41-54 წწ.) კანონთან დაკავშირებით (იუდეველთა ცნობილი განდევნა რომიდან). მიუხედავად ამისა, იუდეველები მალე დაბრუნდნენ რომში. არ არის გამორიცხული, რომ ქრისტიანები ღვთის მსახურებაში სწორედ მაშინ გამოეყვნენ იუდევურ სინაგოგებს. ტაციტუსი 64 წ. ქრისტიანებს უკვე იცნობს, როგორც ცალკე, განკერძოებულად მცხოვრებლებს (Annal, XV, 44).

პავლე მოციქული დედაქალაქში დაახლოებით 59-60 წწ. ჩავიდა,<sup>1</sup> სადაც დარჩა კიდევ დაახლოებით ოთხი წლის მანძილზე – წამებამდე. პეტრე მოციქული, როგორც ჩანს, ნმ. პავლეს შემდეგ არ უნდა ჩასულიყო რომში – იმპერიის დედაქალაქში, სადაც მოხდა კიდევ მოციქულთა წამება დაახლოებით 62-64 წწ. პეტრე მოციქულის რომში ჩასვლისა და სიკვდილის შესახებ ცნობები დაცულია კლიმენტი რომაელთან, კლიმენტი ალექსანდრიელთან, ირინეოსთან. რომის პრესვიტერი გაიუსი (ახ.წ. 200 წ.) წერს რომში მოციქულ პეტრესა და პავლეს აკლდამებზე.

როგორც სიმეონ მეტაფრასტი გადმოგვცემს, პეტრე მოციქულთან ერთად სხვა მრავალი ქრისტანიც შეიპყრეს, რომელთა შორის იყვნენ კლიმენტი, იროდიონი, ოლიმპი და სხვა მღვდელთმთავრები და სამღვდელონი. მათ ყველას რომაელთა მსაჯულმა მახვილით თავის მოკვეთა მიუსაჯა. პეტრეს კი ჯვარზე სიკვდილი გადაუწყვიტეს, და აი ყველა სიკვდილმისჯილი დასჯის ადგილზე მიიყვანეს. კლიმენტი, როგორც ხელმწიფის ნათესავი, შეინყალეს და გაანთავისუფლეს. იროდიონი და ოლიმპი კი რომელნიც პეტრე მოციქულთან ერთად ჩამოსულიყვნენ რომში და მისი თანამოღვანენი იყვნენ მახვილით მოაკვდინეს. ბევრი სხვა ქრისტიანის მსგავსად მათაც თავები მოკვეთეს. წმინდა პავლე მოციქულის ვნების დროზე საეკლესიო მემატიანეებს განსხვავებული ცნობები მოაქვთ. ნიკიფორე კალისტე (+1350) თავის „საეკლესიო ისტორიაში“ (II ნიგნი, თავი 36) წერს, რომ პავლე მოციქული იმ დღეს და იმ წელს ევნო, როცა პეტრე მოციქული აცვეს ჯვარს. სხვა მემატიანეებიც კი წერენ, რომ პეტრე მოციქულის აღსარებიდან ერთი წლის შემდეგ, იმავე დღეს 29 ივნისს, ევნო პავლე მოციქულიც ნერონის რისხვაც 64 წ. ხომ რომის ქრისტიანებს დაატყდათ თავს, რომლებიც იმ დროისათვის უკვე საკმაო ძალას წარმოადგენდნენ.

<sup>1</sup> წმინდა პეტრესა და პავლეს მიერ რომში ეკლესიის დაარსების შესახებ ცნობებს საეკლესიო გადმოცემებში პირველად ვხვდებით 170 წ. დიონისე კორინთელის მიერ რომის ეკლესიისადმი გაგზავნილ საპასუხო წერილში (ევსები, საეკლესიო ისტორია, II, 25; IV, 29). ამ ფაქტის შესახებ მოგვითხრობს წმინდა ირინეოსიც (ერესების წინააღმდეგ, III, 1; III, 3).

I საუკუნის ბოლოსათვის სულ უფრო მტკიცდებოდა რომის ეკლესიის ავტორიტეტი, რაშიც დიდი როლი მის რიგით მეოთხე ეპისკოპოსს კლიმენტისაც მიუძღვდა (დაახლოებით 92-101 წწ.). თქმულების თანახმად, კლიმენტი რომაელი მოწამებრივი სიკვდილით ალესრულა ქერსონესში (ყირიმი), მას შემდეგ რაც იგი იქ ტრაიანეს მიერ იქნა გადასახლებული. როგორც „კორინთელებისადმი პირველი წერილის“ ავტორს (96 წ.) მას მიაკუთვნებენ მოციქულ მამებს. ამ დროისათვის რომში ქრისტიანების რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ ისინი ქალაქის სხვადასხვა კვარტლებში ქმნიდნენ განსაკუთრებულ თემებს, რაც როგორც ტაციტუსი გადმოგვცემს, კარგად გამოჩნდა ნერონის დევნის დროს (Annal. XV, 44).

რომის ეკლესიის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ევსები კესარიელი „საეკლესიო ისტორიაში“ რომის ეპისკოპოსის კორნელიუსის წერილში ანტიოქიის ეპისკოპოსის ფაბიუსისადმი, რომლის მიხედვითაც, რომში 251 წ. იყო 46 პრესვიტერი, 7 დიაკვანი, 7 იპოდიკვანი, 42 აკოლუფა (მორჩილი), 52 შემლოცველი ადამიანი, მკითხველი, მეკარე და 1500-ზე მეტი ქვრივი და ძაბუნი (უძლური) (საეკლესიო ისტორია, VI, 43). შემდეგ ევსები გვამცნობს, რომ რომში ერესების გამო მოწვეულ იქნა სინოდი, რომელშიც 60 იტალიელი ეპისკოპოსი მონაწილეობდა, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის დედაქალაქში ქრისტიანობის გავრცელებაზე მეტყველებს. მომდევნო საუკუნეებში რომში მათი რიცხვი კიდევ უფრო იზრდებოდა.

დიდი მნიშვნელობა შეიძინეს რომში ეპისკოპოსებმა. სამოციქულო მემკვიდრეობის იდეა პირველად სწორედ რომის ეპისკოპოსებმა წამოაყენეს. რომის ეპისკოპოსი პირველი იყო ეპისკოპოსებს შორის რომელმაც მთელი ძალაუფლება მიიღო. პირველი საეპისკოპოსო კატალოგიც, რომელიც პეტრეთი და პავლეთი იწყება რომში დაიწერა. რომის ქრისტიანული სკოლისათვის დამახასიათებელი იყო ეკლესიოლოგიური (საეკლესიო, საღვთისმსახურებო) პრაგმატიზმი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებდა საეკლესიო წეს-ჩვეულებებსა და ქცევებს, რაც, საორგანიზაციო თვალსაზრისით, უფრო ორიენტაციაა, ვიდრე სკოლა.

იმპერიის დედაქალაქში III ს. შუა ხანებშიც კი ქრისტიანული თემი ბერძნული იყო. ქრისტიანი ავტორები ბერძნულად წერდნენ, რომის პირველი ეპისკოპოსებიც ბერძნები იყვნენ.

გალილეის მეთევზეთა ერთი ჯგუფი ახალი რელიგიის მიმდევრების ხერხემალს შეადგენდა. როცა ქრისტიანობა პალესტინის გარეთ გავრცელდა, ის ენთუზიაზმით იყო მიღებული ძირითადად მონების, მონადყოფილების, ხელოსნების მიერ. რომის არისტოკრატია წარმართობის დასასრულის უკანასკნელ ბასტიონს წარმოადგენდა, ამიტომ, მათი რჩმენის სიმყარეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა რომის იმპერიისათვის. მიუხედავად ამისა, წარჩინებულების ერთი ნაწილი, სულ რამდენიმე წელიწადში იღებს ქრისტიანობას. უკვე წერონის დროს იმპერატორის გარემოცვაშიც ქრისტიანობის მიმართ გააჩნდათ სიმპატიები და, შესაბამისად, დედაქალაქის მაღალი საზოგადოებიდანაც ხდება ახალი რელიგიის მიმდევართა რიცხვის გაზრდა.

## რომის იმპერიის დასავლეთ პროვინციები

„მოციქულთა საქმეების“ მიხედვით, ღვთის სიტყვის ქმედითი, წარმატებული ქადაგებით მოვლო პავლემ რომის იმპერიის დასავლეთ ნაწილი და წმინდა სარწმუნოების ნათელით გააცისკროვნა იქ მცხოვრები წარმართები (მოციქულთა საქმეები).

ქრისტიანობის გავრცელების შესახებ მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული ტაციფუსთან და კლიმენტი რომაელთან, რომლებიც ახალი რელიგიის მიმდევრების შესახებ აღნიშნავენ, რომ ისინი ურიცხვნი არიან ("multitudo ingens"). მეორე საუკუნის მეორე ნახევარში ქრისტეს რჯულის აღმსარებლობაზე საუბრობს ტერტულიანეც. იგი აღნიშნავს, რომ ქრისტე ირწმუნა ყველამ და ჩამოთვლის სხვადასხვა მოდგმის ხალხსა და სახელმწიფოებს, რომელთა შორისაც ჩვენ ვხვდებით მთელ ესპანეთს, გალების სხვადასხვა ხალხს და რომაელებისათვის მიუწვდომელ ბრიტანეთის მხარეებს (Tert., Apolog).

აღნიშნული წყაროებისაგან განსხვავებულ ცნობებს გვაძლევს, არქეოლოგიური მასალა. მისი შესწავლა გვაფიქრებინებს, რომ დასავლეთში ქრისტიანობა ოდნავ მოგვიანებით შედის. უნ-

და ალინიშნოს ის ფაქტიც, რომ ახალი მონოთეისტური რელიგია ამ ტერიტორიაზე უფრო მგრძნობიარეა და ნელა ვრცელდება, განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობაში, რომელიც ქრისტიანობისადმი დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა უგრძნობი. წარმართებში, რომლებიც ახალი რელიგიის მონინააღმდეგებად გვევლინებიან და მთელი ძალით ცდილობენ ხელი შეუშალონ ქრისტეს მოძღვრების გავრცელებას, ფორმირებულ იქნა ახალი სახელი პაგანი (ლათინური – paganus – სოფლის მცხოვრები), რომელიც შემდგომში წარმართობის სინონიმად გადაიქცა.

ჩრდილო აფრიკის მთავარ ქალაქებში, ესპანეთში, გალიაში, ბრიტანეთსა და რაინის სანაპირო რეგიონებში, დუნაისპირეთსა და დალმაციაში, ჯერ კიდევ კოსტანტინემდე მეტნაკლებად ჩანს გავრცელებული ქრისტიანობა და, შესაბამისად, მეტნაკლებად მტკიცდება საეპისკოპოსოების არსებობის ფაქტები.

## ა) ჩრდილო აფრიკა

ქრისტიანული თემების შექმნის საფუძველი ჩრდილო აფრიკაში ჯერჯერობით არ არის გარკვეული. შესაძლოა ახალი რელიგიის მიმდევრები კართაგენის იუდეურ მოსახლეობაში უნდა ვეძიოთ, რომლებსაც სირიისა და ეგვიპტის საზღვაო ცენტრებთან ჰქონდათ სავაჭრო კავშირი.

კართაგენის ახლოს – გამარტაში აღმოჩენილ ებრაულ სა-საფლაოზე დაფიქსირებულია ქრისტიანული წარმომავლობის ძეგლები, რომლებზეც გამოსახულია ქრისტიანული სიმბოლოები: ღუზა, ჯვარი, მტრედები. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ტერტულიანეს დროს, ჩრდილო აფრიკაში ებრაელები ქრისტიანების წინააღმდეგ ყველაზე ძლიერ მებრძოლებად გვევლინებიან, იუდეველებისაგან განდგომა ადგილობრივი მოსახლეობისათვის მძიმე უნდა ყოფილიყო. რომის აფრიკის ისტორიაში ქრისტიანობამ თავი იჩინა მხოლოდ 180 წელს ჩატარებული რეპრესიების დროს, რომლებიც პროვინციებს მოედო მარკუს ავრელიუსის გარდაცვალებიდან ძალიან მალე. ყველაზე ადრინდელი ქრისტიანი წამებული აქ წარმომავლობით ფინიკიელი მონა ნამფანი იყო გადაურიდან. სხვა წამებულების მხოლოდ

სახელებია ცნობილი, სამწუხაროდ უცნობია მათი სიკვდილის ვითარებაც. 197 ნ. აქ ჩატარებული დევნის ამბებს მიუძღვნა ტერტულიანემ თავისი თხზულება „ნამებულები“.

202 ნ. სეპტიმიუს სევერუსის მიერ გამოცემული ედიქტის შემდეგ, ჩრდილო აფრიკის პროკონსულმა მინიციუს ტიმინიუსმა ბრძანება გასცა შეეპყროთ 6 მორწმუნე, რომელთა ამბავიც გადმოცემულია თხზულებაში „წმინდა პერპეტუიას და ფელისიტეს წამება“.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ქრისტიანულმა ქადაგებებმა აქ, როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობაში, ძალიან მალე იპოვა მომხრეები. ტერტულიანემ, რომელმაც ამ პერიოდის ჩრდილო აფრიკაში არსებული სიტუაცია აღწერა, წერს: ჩვენ გამოვჩნდით მხოლოდ გუშინ და უკვე შევავსეთ მიწები და მთელი ჩვენი სამფლობელოები, ქალაქები, გარეუბნები, გამაგრებული პუნქტები, მუნიციპიები, ყაზარმები, კვარტლები, სკოლები, ეზოები, ფორუმი („აპოლოგეტიკა“, XXXVII). ამ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ, ჩვენი აზრით, წყაროს ჩრდილო აფრიკაში არსებული სიტუაცია გაზიადებული ფორმით აქვს წარმოჩენილი, ძნელია ნაწილობრივ მაინც არ ვერწმუნოთ, ვინაიდან საეკლესიო ორგანიზაცია ჩრდილო აფრიკაში ამ დროისათვის, უფრო სოლიდური იყო, ვიდრე იტალიასა და გალიაში. 198 ნ. კართაგენის თემის თავმა აგრიპინემ შეძლო მოეწვია ლათინური ეკლესიის ისტორიაში პირველი კრება, რომელსაც საპროკონსულო აფრიკიდან და მავრიტანიდან 70 ეპისკოპოსი ესწრებოდა და რა გასაკვირია, რომ ამდენ ახლად მოქცეულთა შორის გაჩნდა რელიგიური ეგზალტაციის ზოგიერთი ფორმა, რომელმაც, თავის მხრივ, ნიადაგი მოუმზადა მონტანიზმის გავრცელებას ამ რეგიონში.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სწორედ ჩრდილო აფრიკაში დაინყო ეკლესიის ლათინიზაცია და არა რომში (კათოლიკური ეკლესიის ცენტრი). აფრიკაში, სადაც რომმა დანერგა ლათინური ენა, პირველად ითარგმნა ბიბლია ლათინურად. მკვლევარები ჩრდილო აფრიკაში ქრისტიანობის გავრცელებას ანტონინუსების პერიოდში მიიჩნევენ და თვლიან, რომ იგი იქ რომიდან იქნა შეტანილი და არა აღმოსავლეთის პროვინციებიდან. თუმცა პირველი მქადაგებლების ენად ბერძნული მიაჩნიათ, რომელიც აქ

ისევე იყო გავრცელებული, როგორც ლათინური. მაგრამ მალე ლათინური სჯობნის რა პერძნულს, ჩრდილო აფრიკაში მყარად იკიდებს ფეხს. ასე რომ აფრიკამ ლათინური ეკლესიის პირველი მაგალითი მისცა მსოფლიოს.

ჩრდილო აფრიკის მთავარი ქალაქი კართაგენი III ს. ქრისტიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი იყო. III ს. შუა ხანებზე მოდის კართაგენის ეპისკოპოსის კიპრიანეს მოღვაწეობა, რომელიც სახელმწიფო ეკლესიების ხელმძღვანელობაში რომის ეპისკოპოსის მეტოქედ გვევლინება. 256 წ. კართაგენის საეკლესიო კრებაზე აფრიკიდან, ნუმიდიიდან და მავრიტანიიდან 87 ეპისკოპოსი მონაწილეობდა. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ამ კრებაზე ჩრდილო აფრიკიდან ყველა ეპისკოპოსი არ ჩასულა. ზოგი მათგანი კიპრიანეს მიმართ ოპოზიციაში იმყოფებოდა და კრებაზე არ გამოცხადებულა. ა.პარნაკი ჩრდილო აფრიკაში საეპისკოპოსოების რიცხვს IV ს. დასაწყისში 250 განსაზღვრავს და შესაძლებლად მიაჩნია ამ დროს იქ ამდენი საეპისკოპოსოს არსებობა. 330 წ. კართაგენში მოეწყო დონატისტ ეპისკოპოსთა სინოდი (დონატისტური მოძრაობა IV ს. დასაწყისში დაიწყო), რომელსაც, როგორც ავგუსტინე გვამცნობს, 270 კაცი ესწრებოდა. როგორც ტერტულიანე, ისე არნობიუსი და მისი მონაფე ლაქტანციუსი აღნიშნავდნენ, ქრისტიანები გაბატონდნენ კლასიკურ კულტურაზე.

## გ) ესპანეთი

ესპანეთში ქრისტიანობის ქადაგება, როგორც ჩანს, პავლე მოციქულის დამსახურებაა, მაგრამ იმ პერიოდის არქეოლოგიური და ეპიგრაფიკული ძეგლების უქონლობის გამო, ჩვენ ამ მხარეში ქრისტიანობის გავრცელებას III ს. შუა ხანებამდე ვერ ვივარაუდებთ. პირველი ქრისტიანი რომაელების სარკოფაგები აქ მხოლოდ IV ს. დასაწყისით თარიღდება, თუმცა ირინეოსი და ტერტულიანე სხვას ქადაგებენ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი ლიტერატურული წყაროები ელვირის კრების (306-309 წე. ელვირის კრებაზე ესპანეთიდან მონაწილეობას იღებდა 19 ეპისკოპოსი და 24 პრესვიტერი) კანონებით, წამების რამდე-

ნიმე აქტითა და კიპრიანე კართაგენელის წერილით (ძირითადად მისი 67 წერილით, რომელიც 254-255 წწ. შედგენილი) განისაზღვრება, რომელთა შესწავლის შედეგად, ისტორიკოსთა დიდი ნაწილი იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომ ქრისტიანობა ესპანეთში ჩრდილო აფრიკიდან შევიდა, მაშინ როდესაც მას თავისი სწავლება, თავისი წესები და რიტუალები უკვე შემუშავებული ჰქონდა.

ესპანეთში, ისევე როგორც რომის იმპერიის მთელ რიგ რაიონებში, არსებობდნენ იუდეველთა თემები, რომელებიც ამ ტერიტორიაზე ქრისტიანობის გავრცელების საფუძვლად შეგვეძლო ჩაგვეთვალა, მაგრამ მკვლევართა ნაწილი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას არტეფაქტების არარსებობის გამო. ჯერჯერობით არქეოლოგიურად არ მტკიცდება ირინეოს ლიონელისა და ტერტულიანეს ცნობები იმის შესახებ, რომ II ს. ბოლოსა და III ს. დასაწყისში ესპანეთის ბევრ რეგიონში იყო ეკლესიები, რასაც ვერ ვიტყვით III ს. მეორე ნახევარზე. უკვე IV საუკუნის დასაწყისში ელვირის კრების (306-309 წწ.) მე-16 მუხლი (კანონი) კრძალავდა ახალგაზრდა ქრისტიანის ქორწილს ებრაელზე და ერეტიკოსზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ხუთი წლით იდევნებოდა ეკლესიიდან ამ კანონის დარღვევისათვის. როგორც ვხედავთ, ებრაელი და ერეტიკოსი ერთმანეთთან არის გაიგივებული. კანონის ასეთი სიმკაცრე ჯერ კიდევ წინამორბედ კანონში იყო კონსტატირებული, რომლის მიხედვითაც, იკალებოდა შერეული ქორწილი.

## გ) გალია

გალიაში შესაძლოა ქრისტიანობა მეორე საუკუნემდე არ იყო გავრცელებული. არ არის გამორიცხული, რომ მარსელში,<sup>1</sup> არლში და მათ შემოგარენში ქრისტიანული ქადაგება პირველად ანტონინუსების დროს გაეგოთ, ვინაიდან ახალი რელიგია გალიის ხმელთაშუაზღვისპირეთში სწორედ მარსელის გზით უნდა

<sup>1</sup> ხმელთაშუაზღვისპირეთის მნიშვნელოვანი სასაზღვრო პუნქტი, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმავალ გზაზე შუალედურ როლს წარმოადგენდა.

შესულიყო აღმოსავლეთის პროვინციებიდან, საიდანაც ქრისტიანობამ ქვეყანაში რონადან რაინის ხეობამდე მიაღწია. 177 წ. ლიონის ქრისტიანთა ცნობილი დევნა ადასტურებს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკლესიის არსებობის ფაქტს გალიის ტერიტორიაზე. წმინდა კიპრიანეს ერთი წერილიც გვამცნობს ამ პერიოდში გალიაში მარსელისა და სხვა საეპისკოპოსოების არსებობის ფაქტს, რომლებადაც შეიძლება მოაზრებულ იქნენ: ტრირი, რეიმისი, ტულუზა, ნარბონი და ზემოთ აღნიშნული მარსელი.

გალიის გაქრისტიანების საკითხში გადამწყვეტ ეტაპს წარმოადგენს წმინდა მარტენ ტულუზელის (IV ს. II ნახ.) მისი ონერობის დრო. მანამდე გალიის ეკლესიის პრესტიულის ამაღლებაში დიდი როლი ითამაშა ირინეოს ლიონელმა. 250 წ. კი იმპერატორ დომიციანეს დროს "Historia Francorum" ავტორი, შემდგომში ლიონის – გალიის ყველაზე ძველი ქრისტიანული თემის ეპეისკოპოსი, მისიონერების კრებაზე გალიის მოქცევის შემდეგ გეგმას წარმოგვიდგენს (გეგმა შვიდი მისიონერისთვის იყო დარიგებული) – ტური, არლი, ნარბონი, ტულუზა, პარიზი, კლემონი და ლიმოჟი.

## სხვა მინები

იმის დადგენა თუ როდის შევიდა ქრისტიანობა ბრიტანეთში ძნელდება. ფაქტი ერთია, მისიონერების სურვილი ახალი რელიგიის გავრცელებისა ვერ შეჩერდებოდა ლამანშის სრუტესთან. ბრიტანეთშიც არის გაგებული კეთილი სიტყვის ქადაგება ეკლესიის სიმშვიდემდე. ჩვენთვის შედარებით ბნელით არის მოცული ქრისტიანთა გაბნევის ამბავი ამ კუნძულზე III-IV სს. მაგრამ ცნობილია ახალი რელიგიის მიმდევართა დევნის შემთხვევები დიოკლეტიანეს იმპერატორობის პერიოდში. მათი რიცხვის სიმცირის მიუხედავად, კეისარ კონსტანტიუს I ქლორუსის დროს მაინც ფიქსირდება ქრისტიანთა ნამების სამი შემთხვევა. არლის კრებაზე 314 წელს გაგზავნილნი იქნენ იორკის, ლონდონისა და ლინკოლნის ეპისკოპოსები (Tertullian. Advers jud. c. VIII, Cristo vero subdita). როგორც წყაროები გვამცნობს, რომაელებისათვის მიუწვდომელი ბრიტანთა ქვეყნები, ეხლა მიბარებულნი იყვნენ

ქრისტეს. რაც შეეხება ირლანდიასა და შოტლანდიას ქრისტი-ანობა ამ პერიოდისათვის აქ ნაკლებად იყო გავრცელებული.

თანამედროვე დობრუჯას<sup>1</sup> ტერიტორიაზე არსებულ ანტი-კურ ქალაქებში ქრისტიანობა კონსტანტინე დიდის მეფობამდე ჩანს ფეხმოკიდებული, ხოლო სოფლად ახალი მონოთეისტური რელიგია V საუკუნეში დასრულდებოდა. ქრისტეს მოძღვრება დუნაის მარცხენა სანაპიროზე და ზღვის შენაკადთან გადაშლილ ტერიტორიაზე III ს. შუა ხანებამდე უნდა შესულიყო. ნიშანდობლივია, რომ ქრისტიანობა დობრუჯას სანაპიროზე მდებარე ბერძნულ ქალაქებში, მცირე აზის დასავლეთის მხარის მეტროპოლიას-თან, ეგეოსის ზღვის კუნძულების მნიშვნელოვან ცენტრებთან, კონტინენტურ საბერძნეთთან და ქვემო დუნაისპირეთში დის-ლოცირებულ მრავალრიცხოვან ჯარისკაცებთან ერთად, აღმო-სავლეთიდან ჩანს გავრცელებული I ს. მოგვიანებით, არ არის გამორიცხული ამ ტერიტორიაზე განმარტოებული ქრისტიანე-ბის არსებობის ფაქტიც. დიოკლეტიანეს დროს, როდესაც ქრის-ტიანობა რომის არმიისათვის განიხილებოდა, როგორც ყველაზე დიდი საშიშროება, მცირე სკვითეთში დისლოცირებულ ლეგიო-ნერთა შორის, რომელთა უმეტესობა ადგილობრივი ჯარისკა-ცები იყვნენ, დიდი რაოდენობით ჩნდებიან ახალი რელიგიის მიმდევრები. მცირე სკვითეთის ცნობილ ქალაქებში ქრისტიან მარტვილობებს დაფიქსირებული აქვთ ქრისტიანთა წამების ბევრი შემთხვევა, რომელთა შორისაც ფიგურირებს ლათინური, ბერძნული და აღმოსავლური სახელების მატარებელი ადგილობ-რივი მოსახლეობა. ქრისტეს მიმდევართა დევნა დაფიქსირე-ბულია ტომისში – პროვინციის დედაქალაქი, დუნაის ცნობილ ადგილებში: დუროსტორუმში, აქსიოპოლისში, დინოგეტიაში, ნოვიოდუნუმში და ჰაიმირისში.

როგორც ვხედავთ, ქრისტიანობა „ეკლესიის სიმშვიდემდე“, ანუ კონსტანტინე I დიდის მიერ 313 წ. გამოცემულ მილანის ცნობილ ედიქტამდე და 325 წ. ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო

<sup>1</sup> რუმინულად – Dobrogea, ბულგარულად – Добруджа. ისტორიული მხარე ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთით, თანამედროვე რუმინეთისა და ბულგარეთის ტერიტორიაზე.

კრებამდე, მეტნაკლები სიხშირით მთელ რომის იმპერიაში ჩანს გავრცელებული. ახალი რელიგია ყველაზე ადრე და მეტად რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში იკიდებს ფეხს, საიდანაც იგი რომში და დასავლეთის პროვინციებში აღწევს. მაგრამ IV ს. დასაწყისამდე ჩრდილო იტალიაში, ესპანეთში, ბრიტანეთში, გერმანიაში, დუნაის ოლქებში ქრისტიანობა მნიშვნელოვან როლს არ თამაშობდა.

საერთო სურათი IV საუკუნის დასაწყისიდან ნაწილობრივ იცვლება. ელვირის საეკლესიო კრებამ, რომელიც 306-309 წწ. მიმდინარეობდა და რომელშიც 19 ეპისკოპოსი და 29 პრესვიტერი იღებდა მონაწილეობას, ნათლად დაგვანახა, რომ ესპანეთში, ბეტიკაში და ტარაკონის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ე.ი. დღევანდელ ანდალუზიაში საკმაო რაოდენობის ქრისტიანი ცხოვრობდა.

## ქრისტიანთა პროცენტული შემადგენლობა

ქრისტიანული რელიგია წარმატებით სარგებლობდა, როგორც რომის იმპერიის დედაქალაქში, ისე მისი აღმოსავლეთ პროვინციების ქალაქების მოსახლეობას შორის. ძირითადად ბერძნულ მოსახლეობაში. ასე მაგალითად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, III საუკუნის შუა ხანებში ქრისტიანული თემი რომში ბერძნული იყო, ქრისტიანი ავტორები ბერძნულად წერდნენ. რომის პირველი ეპისკოპოსებიც ბერძნები იყვნენ.

ქრისტეს მიმდევრები დიდი რაოდენობით იყვნენ ზღვის პირას განლაგებულ დიდ ქალაქებში, სადაც ვაჭრობა და ხელოსნობა იყო გავრცელებული. დასავლეთის პროვინციებში გაბატონებული იყო ადგილობრივი ლვთაებების კულტები. მდგომარეობა შეიცვალა მებრძოლი მესიანიზმის ნგრევის შემდგომ, რამაც მოვლენები დააჩქარა და ქრისტიანობამ რომის თითქმის ყველა პროვინციაში მოიკიდა ფეხი, ისე რომ III ს. ახალი მოძღვრება იმპერიაში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ რელიგიას წარმოადგენდა. პოპულარობით მას მხოლოდ იუდაიზმი და მითრას კულტი თუ შეედრებოდა.

რომის იმპერიაში ქრისტიანთა პროცენტული შემადგენლობა კონსტანტინეს იპერატორობის დასაწყისისათვის, ძნელი დასადგენია, ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქრისტიანობა ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე ერთნაირი წარმატებით არ ვრცელდებოდა. სწორედ ამიტომ ქვეყნის მასშტაბით საერთო პროცენტის გამოყვანა შეცდომა იქნებოდა. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. როგორც ქრისტიანული რელიგიის დიდი მკვლევარი ა. ჰარნაკი აღნიშნავდა, ქრისტიანების ნამდვილი პროცენტული შემადგენლობის დადგენა თვითნებური საქმეა. დასაშვებია ვისაუბროთ მხოლოდ მათ რაოდენობაზე იმპერიის სხვადასხვა ნაწილში. ამ მხრივ, მკვლევარი რომს ოთხ ძირითად რეგიონად ყოფს: 1) პროვინციები და ოლქები, სადაც IV საუკუნისათვის ქრისტიანები მოსახლეობის დაახლოებით ნახევარს შეადგენდნენ. ასეთ ტერიტორიებს მიაკუთვნებს დღეგანდელ მცირე აზიას. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ მეჩერად დასახლებული და ყურადღების გარეშე დარჩენილი ოლქები, რომლებიც კულტურული თვალსაზრისით, ყოველთვის ნაკლებად მნიშვნელოვანი იყვნენ. აქვე შედის აფრიკის ნაწილი, სომხეთი, შესაძლოა კვიპროსი და ედესა; 2) პროვინციები, სადაც ქრისტიანები შეადგენდნენ მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, გავლენით სარგებლობდნენ მმართველ წრეებში და ქრისტიანობას შეეძლო მეტოქეობა გაენია სხვა რელიგიებისათვის – ანტიოქია, კელესირია, ალექსანდრია ეგვიპტით და თებეთი, რომი, შუა და ქვემო იტალიის ნაწილი (კონკრეტულად სანაპიროები), საპროკონსულო აფრიკა და ნუმიდია, სამხრეთ ესპანეთი, აქაიის, თესალიის სანაპირო ზოლი, გალიის სანაპირო ზოლი ხეობით; 3) პროვინციები, სადაც ქრისტიანობა ნაკლებად იყო გავრცელებული – პალესტინა, ფინიკია, არაბეთი, მესოპოტამიის ნაწილი, აქაიის, მაკედონიის, თესალიის, ეპირას, დარდანელის, დალმაციის, მეზიის და პანონიის შიდა ოლქები, იტალიის ჩრდილო და შიდა ოლქები და აღმოსავლეთ ზემო იტალია, სამხრეთ საფარნგეთი, ბელგია, გერმანია, მავრიტანია, ტრიპოლიტანია, ესპანეთის ზოგიერთი ცნობილი ოლქები; 4) პროვინციები და ოლქები სადაც ქრისტიანობა საკმაოდ მცირედ იყო გავრცელე-

ბული – ფილისტიმელების ძველი ქალაქები, ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთი, დასავლეთ ზემო იტალია, შუა და ჩრდილო გალია.

ამ საკითხთან დაკავშირებით ოდნავ განსხვავებული თვალ-საზრისი გააჩნია ა. დონინის, რომელიც ასევე ხაზგასმით აღნიშნავს რომის იმპერიაში ქრისტიანობის გავრცელების არათანაბრობას.<sup>1</sup> იგი გამოყოფს ქრისტიანიზაციის ხარისხის სამ ძირითად ზონას: 1) რეგიონებს, სადაც ყველაზე მეტად შეაღწია ქრისტიანობამ. ესენი არიან მცირე აზია, განსაკუთრებით ფრიგია, ბითვინია და პონტო კავკასიონის საზღვრამდე, არმენია – ევფრატიდან დასავლეთის რაიონების ჩათვლით, ეგეოსის ზღვის კუნძულები და ედესას გარკვეული ტერიტორიები; 2) სადაც ქრისტიანობამ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცვა, მაგრამ წარმმართველი მდგომარეობა არ ეკავა: საბრძნეთი, მაკედონია, სირია, პალესტინის ზოგიერთი ბერძნული ქალაქი. რომი და მისი ახლო გარემოცვა, სამხრეთ იტალიისა და სიცილიის სანაპირო ზოლი, ესპანეთი და გალია ცენტრალურ მასივამდე; დაბოლოს 3) ნაკლებად დასახლებული რაიონები, სადაც ევანგელიზაციის პროცესი მხოლოდ იწყებოდა – პალესტინა, არაბეთის ნაწილი და მესოპოტამია, ეპირი, დალმაცია, ცენტრალური და ჩრდილო იტალია, განსაკუთრებით საკონსულო გზების გასწვრივ, დუნაის პროვინციები. მეზია და პანონია, კირენაიკა, ლიბანი და მავრიტანია, აქვე აღნიშნავს, რომ არსებობდნენ იზოლირებული ქრისტიანული თემები ჩრდილო შავიზღვისპირეთში, ოდესასა და ყირიმში. ჩრდილო გალიაში, ბელგიაში რაინის გასწვრივ, რეციასა და ნორიკში, ვინდობონის გარშემო, დღევანდელ ვენაში და ბრიტანეთის კუნძულებზე ჰიბრიდული ირლანდიას.

ქრისტიანობისათვის პირველი საუკუნეები წარმოადგენდა განსაკუთრებით მნიშვნელოვან და საინტერესო პერიოდს. ამ

<sup>1</sup> ჩვენ სამეცნიერო ლიტერატურაში თითქმის არ შეგვხვედრია მკვლევარი, რომელსაც ეს ფაქტი არ აღნიშნოს. აზრთა სხვადასხვაობა, ძირითადად პროცენტულად ქრისტიანობის გავრცელების მიკუთვნებულობაშია.

აზრის განსამტკიცებლად პირველი საუკუნეც კმარა, ვინაიდან შეიძლება ითქვას, რომ ერთი საუკუნის განმავლობაში მან გაიარა განვითარების რთული პერიოდი. ჩაისახა რა იუდაიზმის წიაღში, გახდა დამოუკიდებელი, მთლიანად ჩამოყალიბებული რელიგია, რომელსაც ბევრი მიმდევარი ჰყავდა. ის ფაქტი, რომ ქრისტეს მოძღვრება წარმატებას აღწევს თავისი არსებობის პირველ პერიოდში ბევრის მთქმელია. ვინაიდან ახალ რელიგიას, როგორც აღვნიშნეთ, სხვადასხვა წიადაგი დახვდა უზარმაზარი იმპერიის ტერიტორიაზე, რომელიც სამ კონტინენტზე იყო გადაჭიმული და აქ სხვადასხვა განვითარების, დონისა და კულტურის მატარებელი ხალხი ცხოვრობდა.

## თავი 2

### ქრისტიანობა 30-250 წწ.

#### ქრისტიანთა დევნის რაოდენობა

როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, ქრისტიანობა იუდაიზმის წიაღში აღმოცენდა. იუდეველები კი ქრისტიანებს „შეცდენილ შვილებად“ თვლიდნენ, მიაჩნდათ რა ქრისტიანობა იუდაიზმის ერთ-ერთ სექტად. სწორედ ამის გამო, ახალი რელიგიის პირველ მოწინააღმდეგებად იუდეველები ითვლებოდნენ და, შესაბა- მისად, ქრისტიანთა პირველი დევნაც ეპრაელ მოსახლეობას უკავშირდება. „მათ მალე ქვეპით ჩაქოლეს სტეფანე, ქრისტია- ნები კი გაიბნენ იუდეასა და სამარიაში“ (მოციქულთა საქმეები, 8).

ჩვენ ასევე აღვნიშნეთ, იმპერიის ლიოალური დამოკიდებუ- ლების შესახებაც პირველი ქრისტიანების მიმართ, მაგრამ, ძალიან მალე, რომი მიხვდა რა, რომ შეუძლებელი იყო ახალი მოძღვრების სახელმწიფო დოგმებში ჩასმა, მყისვე შეცვალა მათ მიმართ პოლიტიკა.

ტრადიციის თანახმად, ქრისტიანთა დევნის რაოდენობა რო- მის იმპერიაში ათით განისაზღვრება და ათ იმპერატორს მიე- ნერება: 1) ნერონს (54-68 წწ.), რომელმაც 64 წ. ახალი მოძღვ- რების მიმდევართა დევნას ჩაუყარა საფუძველი, 2) დომიციანეს (81-96 წწ.), 3) ტრაიანეს (98-117 წწ.), 4) მარკუს ავრელიუსს (161- 180 წწ.), 5) სეპტიმიუს სევერუსს (193-211 წწ.) 202 წ. ედიქტი. 6) მაქსიმინე თრაკიელს (235-238 წწ.), 7) დეციუსს (249-251 წწ.). 250 წ. ედიქტი, 8) ვალერიანეს (253-260 წწ.) 257 და 258 წწ. ედიქ- ტები, 9) ავრელიანეს (270-275 წწ.) 275 წ. და 10) დიოკლეტიანეს (284-305 წწ.) 303-304 წწ. გამოცემული ოთხი ედიქტი.

აქვე უნდა ალინიშნოს ის ფაქტიც რომ, პირველი საუკუნიდან მოყოლებული, ქრისტიანობის სახელმწიფო ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებამდე (325 წ.), რომის იმპერიაში ქრისტეს მიმდევართა ბევრ დარბევას ჰქონდა ადგილი. თვით საეკლესიო მწერლებიც კი არ ეთანხმებოდნენ ყოველთვის ქრისტიანთა დევნის ამ რაოდენობას, რომელთა შორისაც, შეიძლება ითქვას, არსებობდა ორი მიმდინარეობა: ერთი სიამოვნებით ზრდიდნენ დევნის რიცხვს და დეციუსამდე ექვს ან შვიდს ასახელებდნენ და მეორენი, რომელნიც მნიშვნელოვანნილად ამცირებდნენ მას. მაგალითად, მელიტონი უარს ამბობს მოათავსოს ქრისტიანების მდევნელ იმპერატორებს შორის ტრაიანე (ევსები, საეკლესიო ისტორია, IV, 26), ტერტულიანე კი ტრაიანეს მარკუს ავრელიუს-საც უმატებს (Apologeticum, 5). ორივე მათგანს ესმოდა რა, რომ დევნა ისეთი იმპერატორების მხრიდან, როგორებიც ზემოთ დასახელებული პიროვნებები იყვნენ, ცუდ ნიშანს წარმოადგენდა ქრისტიანული სწავლებისათვის. ქრისტიანი ავტორები პირიქით იმით ამაყობდნენ, რომ მათი დოქტრინის მტრები მხოლოდ ნერონი და დომიციანე, ე.ი. მთელი კაცობრიობის მტრები იყვნენ.

მკვლევართა ნაწილი ქრისტიანთა დევნის რიცხვის ასეთ სხვაობას იმით ხსნის, რომ პირველ ეტაპზე, უზარმაზარ იმპერიაში დევნა საერთო ხასიათს არ ატარებდა და სამართლიანად მიიჩნევენ ნეტარი ავგუსტინეს სიტყვებს, როდესაც იგი აღნიშნავდა, რომ ვინაიდან დევნა ყველგან იყო გავრცელებული, შეიძლება ისე მომხდარიყო, რომ ერთ ნაწილში ქრისტიანებს დევნიდნენ, ხოლო მეორეში მათ მშვიდად ტოვებდნენ (De civitate Dei., XVIII, 52). იმისთვის, რომ რამდენიმე წლის სიმშვიდის შემდეგ პროვინციებში კვლავ განახლებულიყო ქრისტიანთა დევნა, საჭირო არ იყო რომს მიეცა ბიძგი. უცაბედ მოვლენებს, კერძო ან ადგილობრივ ინტერესებს შეეძლოთ სწრაფად აენთოთ გონება.

რომისათვის ყველაფერი უცხო იყო ქრისტიანებისა, ცხოვრების წესიდან დაწყებული, რელიგიით დამთავრებული. ეს გაუგებრობა გამოიხატებოდა იმაშიც, რომ ისინი ქრისტიანებს მიანერდნენ ყოველგვარ უხამსობას – ჩვილი ბავშვების მკვლელობიდან და სისხლით ზიარებიდან დაწყებული, გარყვნილებით დამთავრებული. რომელიმე უბედურების შემდგომ, „განტევების

ვაცის“ ძიებისას, რომი შორს არ მიღიოდა, ყოველივე ქრისტიანებს ბრალდებოდა. I-II სს. ქრისტიანობის ამკრძალავი სპეციალური კანონი იმპერიაში არ არსებობდა. უბრალოდ, პროვინციის მმართველებს უფლება ჰქონდათ მიცემული საკუთარი შეხედულებების მიხედვით ემოქმედათ და ისინიც არ აყოვნებდნენ. რაიმე გაუგებრობის დროს ყურადღება ისევ ახალი მოძღვრების მიმდევრებზე გადაჰქონდათ და, ხშირ შემთხვევაში, სიკვდილით დასჯასაც კი არ ერიდებოდნენ. ქრისტიანებს უქსევდნენ გარეულ ცხოველებს, წვავდნენ, ქვებით ქოლავდნენ.

ზოგი მკვლევარი ქრისტიანების წინააღმდეგ დაწყებულ რეპრესიებს ჯერ კიდევ იმ პერიოდს მიაწერს, როდესაც ახალი რელიგია იუდაიზმის ერთ-ერთ განშტოებად აღიქმებოდა და იმპერატორები ქრისტიანებთან დამოკიდებულებას განიხილავდნენ იუდეველებთან დამოკიდებულების ასპექტში. მაგალითად კლავდიუსის მიერ 41 წელს რომიდან ეპრაელების განდევნას სვეტონიუსის ნაშრომზე (Nero, 16,2) დაყრდნობით, ქრისტიანებს უკავშირებენ. ალსანიშნავია ის გარემოება, რომ სვეტონიუსს სხვა წყაროებისგან განსხვავებით (დიონ კასიუსი, ლუკა) მოხსენიებული აქვს აგრეთვე, კლავდიუსის მიერ დეკრეტის გამოცემის მიზეზი, რომელიც რელიგიურ მომენტს უკავშირდება. „კლავდიუსმა რომიდან ეპრაელები განდევნა, რომლებიც მუდმივად აღელვებულნი იყვენენ Christum“-ით. (Claudius Iudeos impulsore Christo (sic!) adsidue tumuelteuantes Roma exspulit. ციტატა ამოღებულია ოროზიუსის ნაშრომიდან Historiae adversus paganus, 7.6.15.), რაც საფუძველს აძლევს მკვლევართ Christum იესო მაცხოვართან გააიგივონ. იდენტიფიკაციის მომხრეები, როგორც წესი იმოწმებენ იმ ფაქტს, რომ **Χριστός** და **Χρηστός**, **Χριστιανοί** და **Χρηστιანοί**, **Chrestus** და **Christus**, **Chrestiani** და **Christianı** ადრეულ ეტაპზე მონაცვლეობდნენ თვით ქრისტიანებთანაც კი. ნიშანდობლივია, რომ სინაის კოდექსში, რომლისთვისაც **η** და **ι** არ არის დამახასიათებელი, მხოლოდ ორთოგრაფიული ვარიანტი გვხვდება **Χριστιაνός** (Act. 11:26; 26:28; 1 Pet, 4:16). ტერტულიანე თავის „აპოლოგიაში“ (3,5) ხსნის, რომ წარმართებმა არასწორი ეტიმოლოგიის შედეგად **η** შეცვალეს **γ**. ამასვე მოწმობს მეორე წყარო ლაქტანციუსი, რომე-

ლიც აღნიშნავს, რომ სახელი ქრისტიანი, ისევე როგორც მისი მიმდევრების სახელი ხშირად მახინჯდებოდა.

არც ერთი სერიოზული არგუმენტი არ არსებობს იმის საწინააღმდეგოდ, რომ უკვე კლავდიუსების პრინციპატის პირველ წელს ქრისტიანები გამოჩენილიყვნენ რომში. სავსებით შესაძლებელია ქრესტუსის ქრისტუსთან, ქრესტიანის ქრისტიანთან გაიგივება და რომ სვეტონიუსის პასაჟში ასახულია მღელვარება რომის იუდეულ მოსახლეობაში, რაც პირველი ქრისტიანების გამოჩენით იყო გამოწვეული. მიუხედავად ამისა, ჩვენ ახალი მონოთეისტური მოძღვრების მიმდევრების ფართომასშტაბიანი მისიონერული მოძრაობა პირველი საუკუნის 40-იანი წლების ბოლოსკენ, იერუსალიმის ცნობილი კრების (მოციქულთა საქმეები, 15) შემდგომ უნდა ვივარაუდოთ. სვეტონიუსის ცნობები კი შეგვიძლია განვიხილოთ როგორც რომში ქრისტიანების პირველი ხსენება. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ქრისტიანული თემების არსებობა დამასკოში, ფინიკიაში, ანტიოქიაში, კვიპროსზე... გაცილებით ადრინდელ პერიოდს, ჯერ კიდევ | საუკუნის 30-იან წლებს უნდა მივაკუთვნოთ.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ პირველ საუკუნეში იმპერატორებიც არ გამოყოფდნენ ქრისტიანებს რომში დიდი რაოდენობით არსებული ფარული კულტების მიმდევრებს შორის, რის გამოც, პირველ საუკუნეში ქრისტეს მიმდევართა მდგომარეობა იმპერიაში, ერთი შეხედვით, გაურკვევლად გამოიყურება.

## ქრისტიანთა დევნის მიზანები

სანამ უშუალოდ ქრისტიანობის ისტორიის პირველი პერიოდის განხილვაზე გადავიდოდეთ, რომელიც ახ.ნ. 30-325 წნ. მოიცავს და, თავის მხრივ, იყოფა სამ ეტაპად (1. 30-125 წნ., 2. 125-250 წნ., 3. 250-325 წნ.), შევეცდებით გავაანალიზოთ ქვეყანაში არსებული მეორე მონოთეისური რელიგიის მიმდევარების დევნის მიზეზები, რაც დაგვეხმარება ადრეული ქრისტიანობის ისტორიის, განსაკუთრებით კი მისი განვითარების მესამე ეტაპის უკეთ გაგებაში, როდესაც დეციუსიდან (249-251 წნ.) მოყოლე-

ბული სახელმწიფოს მმართველები (შესაბამისად თვით იმპერია) უკვე ოფიციალურად უპირისპირდებიან ქრისტეს მიმდევრებს.

რომის იმპერიაში ქრისტიანების დევნის მიზეზების შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს. მათი უმეტესი ნაწილი მიახლოებულია გიბონის თვალსაზრისთან, რომელიც ახალი რელიგიის მიმდევრების დევნის ქრისტიანების საზოგადოებრივი ცხოვრებიდან განდგომას და იმპერატორის კულტის უარყოფას უკავშირებს. ანტიკური სახელმწიფო, მიუხედავად თავისი რელიგიური შემწყნარებლობისა, სახელმწიფო რელიგიისადმი ლოიალობას მოითხოვდა და გამონაკლისს მხოლოდ იუდაიზმთან დაკავშირებით უშვებდა. რელიგიისადმი, რომელიც ძველ ნაციონალურ ტრადიციებს ეყრდნობოდა.

მ. პოსნოვი რომის იმპერიაში ქრისტიანთა დევნის 3 მიზეზს გამოყოფს: 1) საზოგადოებრივს, 2) რელიგიურ-სახელმწიფოებრივსა და 3) პოლიტიკურს, რომელთაც ასე ხსნის.

1) ქრისტიანების განდგომა წარმართული საზოგადოებისაგან და მათ მიერ ანტიკური სამყაროს კველა კულტურული მონაპოვრის დაგმობა წარმართებს ეჩვენებოდათ, როგორც ცივილიზაციისაგან განდგომა და ველურ ბარბაროსთა ცხოვრებასთან დაბრუნება, ამიტომ ქრისტიანებს *hostes populi Romani* უწოდებდნენ. აქედან გასაგებია მათი კაცობრიობის მოდგმისადმი, ე.ი. განათლებული ცივილიზებული კლასებისადმი სიძულვილში დადანაშაულება (*odium humani generis*), რამაც უდიდესი როლი შეასრულა ქრისტიანთა დევნაში. საზოგადოება და ხალხი კარაკალამდე, როდესაც მთავრობა იძულებული იყო ქრისტიანების დამცველიც კი გამოსულიყო, განსაკუთრებული სიძულვილით იყო ქრისტიანების მიმართ განწყობილი. შეიძლება ითქვას, რომ ყველა დაკანონებული ცალკეული ედიქტები და ბრძანებები მარკუს ავრელიუსამდე, რომის ადმინისტრაციის მხრიდან, ხალხის განწყობას ითვალისწინებდა და მათი შესრულებისაკენ იყო მიმართული. მაგრამ დრომ თავისი გააკეთა. წარმართები თვალ-ყურს ადევნებდნენ ქრისტიანებს, ახლოს ეცნობოდნენ მათ, ნელ-ნელა ეგუებოდნენ და უყვარდებოდათ კიდეც ქრისტიანები. აი, სწორედ ამიტომ IV ს. დასაწყისში მაქსიმინე დაზას მიერ მათი დიდი დევნის დროს, როგორც წმინდა ათანასე გადმოგვცემს (*Historia ad monachum*, 64), წარმართები მალავდნენ ქრისტიანთ.

2) ქრისტიანებს დევნიდნენ იმიტომ, რომ ისინი ეწინააღმდეგებოდნენ რომის რელიგიურ კანონებს. უძველესი სახელმწიფო იცნობდა მხოლოდ ნაციონალურ რელიგიებს, რომელთაც საკუთარი კულტი ჰქონდათ. რომში სენატი, ხოლო პროვინციებში ადგილობრივი მაგისტრატი და პროკონსულები განაგებდნენ რელიგიურ საქმეებს. რელიგია ატარებდა სახელმწიფო ხასიათს. მათი განმასხვავებელი თვისება კონსერვატიზმი იყო. პირველ ჯგუფში აერთიანებდნენ ნაციონალურ რელიგიებს, მეორეში – საიდუმლო კულტებს და მესამეში აკრძალულ რელიგიებს (*religiones illicitae*) (იუდაიზმი და ქრისტიანობა), მაგრამ ვინაიდან იუდეველების რელიგია ეყრდნობოდა ნაციონალურ ბაზისს და განთქმული იყო სიძველით, ხოლო რომი თაყვანს სცემდა ყოველგვარ სიძველეს, თავისუფლებას ანიჭებდა მათ ღვთისმსახურებაში (*religio licita*), მაგრამ იუდეველებს ეკრძალებოდათ თავიანთი რელიგიის პროპაგანდა რომის მოქალაქეებში.

ეს *nova religion, amis ptava et immodica superstition* (უხეში და უსაზღვრო ცრურწმენა), ქრისტიანების დევნის გარდაუვალობა წარმართი საზოგადოების არსში იდო.

3) უნდა დასჯილიყვნენ არა მხოლოდ იმიტომ, რომ სძულდათ ღმერთები, არამედ იმიტომაც, რომ ახალი ღვთაებების შეტანით, ახალი კანონების შექმნისაკენ აცდუნებდნენ, საიდანაც შემდეგ საიდუმლო კავშირები და შეთქმულებები იქმნებოდა. იმპერიის კერპების თაყვანისცემაზე უარის თქმის შედეგად ქრისტიანები "hostes caesari" და "hostes rei publicae", ე.ო. პოლიტიკური დამანაშავეები ხდებოდნენ.

მეორე საუკუნის ბოლოდან, როდესაც ქრისტიანები დაცალკევებული თემებიდან ეკლესიებში ერთიანდებოდნენ, ცელსუსი აღნიშნავდა, რომ ქრისტიანები კანონგარეშე მყოფ საიდუმლო კავშირებს ქმნიდნენ (*Celsum, I, 1*), ვინაიდან ისინი ვინც სახელმწიფოსაგან ცალკე მდგომ სეპარატულ კავშირში შედიან, გამოხატავენ სახელმწიფო წესებისადმი უკმაყოფილებას და შეურაცხყოფენ "magesta popul Romani". იურიდიული გაგებით, რომელიც ჯერ კიდევ სულამ შეიტანა რომის კანონმდებლობაში, ქრისტიანები იდევნებოდნენ 1) როგორც საიდუმლო კავშირების წევრები,

2) როგორც სახელმწიფო რელიგიის მოწინააღმდეგები (Secretum legium) და 3) როგორც კეისის კულტის არათაყვანისმცემლები (crimen laesat majestatis). საჭიროა ვიცოდეთ, რომ რომის კანონები სჯიდნენ არა რწმენას, არამედ ქმედებებს.

თ. მომზენი აღნიშნავდა, რომ რომის რელიგიური შემწყნა-რებლობა ვრცელდებოდა იმ ხალხზე, ვინც მოქალაქეობის უფლებით არ სარგებლობდა. მოქალაქეებისაგან კი უცხო კულტების (religio externa) უარყოფას მოითხოვდა. იმავდროულად, სახელმწიფო მოსახლეობის რელიგიურ გრძნობებთან შეთანხმებაზე მიდიოდა, ავრცელებდა რა რელიგიო ლისიტას წრეს მოქალაქეობის გავრცელებასთან ერთად. თ. მომზენი ვერ პოულობს რომის სამართალში მუხლს, რომლის მიხედვითაც, ქრისტიანებს ქრისტიანობის გამო შეეძლოთ პასუხი ეგოთ. მათ ცილს მწვალებლობასა და მისი უმაღლესობის შეურაცხყოფაში დებდნენ. შესაბამისად, ცენტრალური ხელისუფლება ქრისტიანებს სჯიდა თითქოს და იმის გამო, რომ უთმობდა მასების ფანატიზმს. თ. მომზენი თვლიდა, რომ მოქალაქეებს გადასულიყვნენ უცხო კულტების თაყვანისცემაზე წინააღმდეგობას უნევდა არამარტო ცენტრალური ხელისუფლება, არამედ მუნიციპიებიც.

საიდუმლო და უცხო კულტების აკრძალვას უკავშირებს ქრისტიანების დევნას რ. რეიცენშტეინი, იგი რომაელ მმართველებს ყოველგვარი საიდუმლო კავშირების არსებობის შიშს მიანერს, რომლებიც შესაძლოა ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულების ხელსაყრელი ფორმა გამხდარიყვნენ.

პ. ლუსტი უარყოფს რომში ყოველგვარ რელიგიურ შეზღუდვას. იგი ამტკიცებს, რომ ჩვენთვის ცნობილი ამა თუ იმ კულტის აკრძალვა გამოწვეული იყო მხოლოდ იმით, რომ მათ რიტუალებში მონაწილეები ეჭვმიტანილნი იყვნენ დანაშაულებებში (ვახკანალიის მონაწილეები), ამორალობასა და თაღლითობებში (ტიბერიუსის დროს ისიდას მიმდევრებისა და იუდეველების დევნა). ქრისტიანები იდევნებოდნენ არა ნაციონალური რელიგიიდან გადახვევისათვის, არამედ მოქალაქეების სახელმწიფო ლოიალურობიდან გადაბირების გამო.

ე. მ. შტაერმანმა და ა. ლ. კაცმა თავიანთ ნაშრომებში გახსნეს კავშირი ქრისტანების დევნასა და პროვინციებში ანტისამთავრობო ხასიათის გამოსვლებს შორის. ე. მ. შტაერმანი აღნიშნავდა, რომ როდესაც რ. რეიცენშტეინი და თ. მომზენი ქრისტიანთა დევნაზე საუბრობდენ, ისინი ანგარიშს არ უწევენ იმ ფაქტს, რომ III ს. კიდევ უფრო ძლიერდება ქრისტიანთა წინააღმდეგ გამოსვლები. მათი დარბევები, იმ დროს, როდესაც უცხო კულტებისა და მის-ტერიების შემოსვლას აღარაფერი ელობებოდა წინ.

ნ. ი. გოლუბცოვას მიხედვით, ქრისტიანობის გავრცელება მით უფრო სწრაფად ხდებოდა, რაც უფრო მძიმე იყო ახალი რე-ლიგის მიმდევრების მდგომარეობა, განსაკუთრებით მცირე აზიის პროვინციებსა და აფრიკაში.

ქრისტიანთა დევნა სხვადასხვა იმპერატორის დროს სხვა-დასხვა მიზეზით იყო გამოწვეული, რომელთა შესახებ მსჯელობისას იმპერატორის ფაქტორთან ერთად გასათვალისწინებელია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა. ბუნებრივად იბადება კითხვა, რომ იმპერიაში ყველა კრი-ზისის შემთხვევაში განტევების ვაცად სწორედ ქრისტიანები რატომ იქცეოდნენ ხოლმე და არა სხვა რომელიმე რელიგიის მიმ-დევრები (იშვიათი გამონაკლისის გარდა). ყოველივე ამის მიზეზი ერთი მხრივ, სახელმწიფო პოლიტიკაში, ხოლო მეორე მხრივ, ქრისტეს მოძღვრების არსში უნდა ვეძიოთ. ვინაიდან ქრისტია-ნობისათვის, მიუღებელია ყოველგვარი შერწყმა სხვა რელი-გიებთან და მისი მიმდევრები რომთან კომპრომისზე წასვლას იმპერიაში არსებული საერთო კულტებისაგან დამოუკიდებლად არსებობას, მათგან განზე დგომას ამჯობინებდნენ.

## ნერონი (54-68 წწ.)

ქრისტიანთა პირველ დიდ დევნას რომის იმპერიაში ადგილი ჰქონდა ნერონის (54-68 წწ.) იმპერატორობის დროს, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო ქრისტიანთა მიმართ რეპრესიების კანონი მი-ღებული. მიუხედავად ამისა, ამ ფაქტს ხელი არ შეუშლია იმპერა-ტორისათვის რომში 64 წ. გაჩენილი ხანძარი, რომელიც პრეტორ

ოფონიუს ტიგელინუსის სახელს უკავშირდება, ქრისტიანები-სათვის გადაებრალებინა. როგორც ტაციტუსი<sup>1</sup> გადმოგვცემს (Annales, XV, 44), რომის 14 კვარტლიდან 10 დაიწვა. ხანძარმა რომელიც 6 დღე და 7 ღამე გრძელდებოდა გაანადგურა დედა-ქალაქის ყველა ძველი შენობა. იმპერატორი ამ დროს რომში არ იმყოფებოდა. იგი დედაქალაქში მხოლოდ ხანძრის ბოლოს და-ბრუნდა და საქმეც იოლად გადაწყდა. ყველაფერი ქრისტიანებს დაბრალდა. ძნელი იქნებოდა უფრო შესაფერისი ობიექტის მო-ძებნა ხალხის უკმაყოფილებიდან ყურადღების გადასატანად – „ადამიანის“ საიდუმლო კულტის თაყვანისცემის მიმდევრები, რომელიც როგორც მონა ისე იყო ჯვარცმული. უცნობი ხალხი, რომლებიც საიდუმლოდ იკრიბებოდნენ კატაკომბებში და უარს აცხადებდნენ წარმართულ რიტუალებში მონანილეობის მიღე-ბაზე (კერძოდ მსხვერპლშენირვაში მონანილეობაზე და იმპე-რატორის კულტის თაყვანისცემაზე). შესაბამისად, ქრისტიანობა „მავნე რელიგიურ სექტად“ ("Genus hominum supertitonis navacac malefical") განიხილებოდა.

„კეთილმა“ იმპერატორმა წინდახედულობა გამოიჩინა, ბრძა-ნა რა დაზარალებულები საზოგადოებრივ შენობებში გადაეყვა-ნათ და საჭირო საგნებით მოემარაგებინათ. „ხანძრის გამჩენები“ კი სამაგალითოდ უნდა დასჯილიყვნენ და მართლაც, ტაციტუსის

<sup>1</sup> ტაციტუსის ანალების ამ ნაწყვეტის უტყუარობის შესახებ სხვა-დასხვა აზრი არსებობს. მაგალითად: რ. ვიპერის მიხედვით, ქრისტეს შესახებ მონათხრობი შემდეგ უნდა ყოფილიყო ჩასმული (Виппер Р. Ю., Рим и раннее христианство, М., 1954). დრევსი მთელი ამ ნაწყვეტის ორი-გინალობას ეჭვევეშ აყენებს (Древс, Миф о Христе, М., 1924, т. II, с. 39-43), რაც ატაცებულ იქნა შემდგომში საბჭოთა შეცნიერების მიერ. ჩვენი აზრით, დრევსი მასალის ანალიზიდან და ინტერპრეტაციიდან კი არ გამოდის, არამედ იმ ფაქტიდან, რომ ნერონის დროს, ქრისტიანობა ჯერ კიდევ იუდაიზმის შემადგენელ ნანილად აღიქმებოდა და თანადროული წაყროები მასზე (ქრისტიანობაზე) ასე დიდ ყურადღებას არ გაა-მახვილებდნენ. მკვლევარი ტაციტუსის ცნობებთან ერთად უარყოფს სვეტონიუსის ცნობებსაც (სვეტონიუსი, ნერონი, XVI) და აღნიშნავს, რომ რელიგიების მიმართ გულგრილი ნერონი არ დასჯიდა ქრის-ტიანებს, რომლებიც ასე მცირედ განსხვავდებოდნენ ებრაელებისაგან.

მიხედვით (*Annales*, XV, 44), ხანძრის დროს პირველად შეპყრობილ იქნენ ყველანი ვინც თავს ქრისტიანად აღიარებდა. შემდეგ დიდი რაოდენობით სხვანი, რომლებიც მხილებულ იქნენ არა იმდენად ხანძართან დაკავშირებით, რამდენადაც როგორც კაცობრიობის მოძულები. მათ წამებას თან ერთვოდა დამცირება და დაცინვა. ქრისტიანებს ფარავდნენ გარეული ცხოველების ტყავით და ძაღლებს აგლეჯინებდნენ, ჯვარზე აკრავდნენ, ცეცხლში წვავდნენ. ნერონმა ამ სანახაობისათვის თავისი პარკიც კი დაუთმო. იგი თამაშობებს მართავდა ცირკში, სადაც პლებებში იყო შერეული... სწორედ ამიტომ (ამ სისასტიკის გამო), აღნიშნავს ავტორი, მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანები თუმცა დამანაშავენი იყვნენ და იმსახურებდნენ უკიდურესად მკაცრ სასჯელს, მათ მიმათ სიბრალულის გრძნობა იბადებოდა, ვინაიდან ისინი ნადგურდებოდნენ არა საზოგადოებრივი სიკეთისათვის, არამედ ერთი ადამიანის სისასტკის გამო. ამავე დროს იმპერატორი რომში დატრიალებული ხანძრის დროს, როგორც ამბობენ, ტროას ხანძარზე ქმნიდა სიმღერას. შედეგმაც არ დააყოვნა, იცოდნენ რა მისი სურვილი აგურის რომის მარმარილოს რომით შეცვლისა, ქალაქში ხმა გავრცელდა, რომელიც იმპერატორს ხანძრის მოწყობაში ადანაშაულებდა. ხმები დადიოდა, რომ მისი მსახურნი ქალაქში ჩირალდნებით ხელში დარბოდნენ და წვავდნენ სახლებს. ამ ხმების გავრცელების საბაბად ე.წ „ოქროს სახლის“ (*domus aurea*), მშვენიერი სასახლის აშენება იქცა, რომელიც ხანძრის შედეგად გათავისუფლებულ ტერიტორიაზე აიგო პალატინისა და ესკვილინის მოედნებს შორის.

ტაციტუსისა და სვეტონიუსის შემდეგ ქრისტიანთა დარბევაზე მოგვითხრობს ტერტულიანე თავის „აპოლოგის“ V თავში, სადაც იგი აღნიშნავს, რომ პირველად სწორედ ნერონმა აღმართა მახვილი ქრისტიანების წინააღმდეგ.

64 წლის ამბავი ქრისტიანების მასიურ დევნად არ უნდა იქნეს განხილული.<sup>1</sup> შეგვეძლო დაგვეშვა, რომ ნერონის გადაწყვე-

---

<sup>1</sup> ნერონის იმპერატორობის დროს იქნენ წამებულნი ქრისტეს მოციქულები პეტრე და პავლე, რაც დაახლოებით 62-64 წწ. მოხდა.

ტილების მიზეზი თვით ქრისტიანებიდან გამომდინარეობდა, ვინაიდან ქრისტიანობისათვის, როგორც მონოთეისტური რელიგიისათვის, უცხოა ყოველგვარი რელიგიური სინკრეტიზმი, შერწყმა სხვა რელიგიებთან, მაგრამ 64 წ. ქრისტიანთა დევნის მიზეზი ეს რომ ყოფილყო, მონოთეიზმიდან გამომდინარე, ნერონი არც იუდეველებს დაინდობდა. ეპრაელების გადარჩენის მიზეზად ჩვენ შეგვეძლო იმპერატორის მეორე მეუღლე პოპია საბინა ჩაგვეთვალა, რომელიც იყო რა კვაზიპროზელიტი იუდეველებს მფარველობდა (იოსებ ფლავიუსი, სიძველენი, XX) და საკმაოდ ზემოქმედებდა კიდეც მეუღლეზე. შესაძლოა მართლაც არსებობდა მისი ფაქტორი, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ნერონის მიერ მოგვიანებით არც პოპია საბინა იქნა დანდობილი. იმპერატორმა მორიგი ნერვული შეტევის დროს ფეხმძიმე დედოფალი მუცელში ფეხის ჩარტყმით სიცოცხლეს გამოასალმა.

მოვლენის ახსნის გასაღები თვით იმპერატორის პიროვნებაში, მის პატივმოყვარეობაში, ეგოიზმში უნდა ვეძიოთ. როგორც ცნობილია, ნერონის დროს აღდგენილ იქნა პროცესები „უდიდებულესობის შეურაცხყოფისათვის“. პასუხისმგებასა და სიკვდილს ეძლეოდნენ სენატორები, წარჩინებული მოქალაქენი, ყველანი, ვისაც არ შეეძლო თუნდაც უბრალოდ აღტაცება გამოეთქვა ნერონის „ღვთაებრივი“ ხელოვნებისა და ხელმწიფობის მიმართ. თუ ჩვენ პარალელს გავავლებთ მონოთეისტური რელიგიების მსოფლმხედველობასთან, მათ იმპერატორის კულტთან დამოკიდებულებასთან და შექმნილ სიტუაციასთან, ძნელი წარმოსადგენი არ იქნება იმის ახსნა, თუ რამ გამოიწვია ნერონის სურვილი, გასწორებოდა ქრისტიანებს. ქრისტეს მიმდევრებისადმი იმპერატორის უარყოფითი განწყობილება გადაცემოდა ადამიანთა გარკვეულ ნაწილს, რომლებიც ცრუ დაბეზღებებით აღწევდნენ მიზანს. პროვინციების გუბერნატორები კი იმპერატორისადმი „ერთგულებას“ იოლად ამტკიცებდნენ ქრისტიანების ხარჯზე.

რაც შეეხება იუდეველების საკითხს, ამ შემთხვევაში არ უნდა დაგვავიწყდეს ეპრაული დიასპორის ფაქტორი, რომელიც იმპერიაში საკმაოდ დიდ და ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა.

## დომიციანე (81-96 წ.)

ქრისტიანების მეორე დიდ დევნას რომის იმპერიაში დომიციანეს (81-96 წ.) მმართველობის დროს ჰქონდა ადგილი, რომელსაც „გაცოცხლებულ ნერონსაც“ კი უწოდებდნენ. ეს ამბავი ყველაზე თვალნათლივ გადმოცემული აქვს ლაქტაციუსს თავის "De mortibus persecutorum" (მდევნელთა სიკვდილის შესახებ), რომელშიც იგი დეციუსამდე მდევნელ იმპერატორთა შორის მხოლოდ ნერონსა და დომიციანეს ასახელებს. სვეტონიუსისა და ლაქტანციუსის მიხედვით, დევნა მხოლოდ იმ არისტოკრატული დაჯგუფებების ნინაალმდევ მძვინვარებდა, რომელთაც უღმერთობასა და იუდეური წესების მიმსგავსებაში ედებოდათ ბრალი. გასამართლებულთა შორის ვხვდებით იმპერატორის ბიძაშვილ კლიმენტსა და მის მეუღლე დომიცილას. კლიმენტს სიკვდილი მიესაჯა, ხოლო დომიცილას კუნძულ პანდატარიაზე გადასახლება.

ა. დონინის მიხედვით, დომიციანე 95 წ. იუდეველებისა და მათთან ახლო მდგომთა ნინაალმდევია იმის გამო, რომ ისინი უარს ამბობდნენ იერუსალიმის დაცემის შემდგომ, იუპიტერ კაპიტოლიუმისათვის განკუთვნილი გადასახადის გადახდაზე, ხოლო პატრიციების ოპოზიციის უკან უცხო კულტების მიღებას არ გამორიცხავს. მკვლევარისათვის არ არის გასაკვირი დაპატიმრებულთა შორის ქრისტიანული იდეოლოგიის გამტარებელი პიროვნებების მოხვედრა, რასაც იმით ხსნის, რომ ძალაუფალნი ჯერ კიდევ ვერ ხვდებოდნენ იუდეველებსა და ქრისტიანებს შორის არსებულ განსხვავებას. შედეგად, აღნიშნავს იგი, როგორც კლიმენტი, ისე დომიცილა უმაღლესი რანგის მოქცეულები გახდნენ, მათი მამულის ტერიტორიაზე არსებული კატაკომბა კი ერთ-ერთ პირველ ქრისტიანულ კატაკომბად გვევლინება.

ის ფაქტი, რომ ორივე წყაროს მიხედვით, დომიციანე ებრძვის უღმერთობას და იუდაური წესების მიმბაძველ არისტოკრატიას, იმაზე მეტყველებს, რომ იმპერატორი სწორედ ქრისტიანებს ებრძოდა. მართლაც, როგორც ავტორი აღნიშნავს, ამ დროისათვის, სახელმწიფო მმართველთა თვალში, ეს მონოთეისტური რელიგია ჯერ კიდევ იუდეველთა ერთ-ერთ განშტოებად, სექტად მოიაზრებოდა (პირველი წყარო, რომელიც აღარ საუბრობს

ქრისტიანებსა და იუდეველებს შორის კავშირზე არის 111-112 წწ. დათარილებული პლინიუს უმცროსის წერილი ტრაიანესადმი, სადაც ქრისტიანობა სექტად, "nomen" მოიხსენიება). აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უღმერთობასა და იუდეველების მიმსგავსებულებაში ჩვენ შეგვიძლია სწორედ ქრისტიანობა მოვიაზროთ, იუდაიზირებულ რომაელებთან ერთად.

### ტრაიანე (98-117 წწ.)

I საუკუნის ბოლოს კლავდიუსების მმართველობა ანტონინუსებისამ შეცვალა. ასე რომ მეორე საუკუნეში რომი ახალი დინასტიით შევიდა, რომელიც თითქმის მთელ საუკუნეს მოიცავდა – 96-192 წწ. ანტონინუსების დინასტიის წარმომადგენლები იყვნენ ნერვა (96-98 წწ.), ტრაიანე (98-117 წწ.), ადრიანე (117-138 წწ.), ანტონინუს პიუსი (138-161 წწ.), მარკუს ავრელიუსი (161-180 წწ.) და მისი შვილი კომოდუსი (180-192 წწ.). იგი შეიძლება ორ პერიოდად დაყყოთ. პირველი ნერვადან ანტონინუს პიუსის ჩათვლით, რომელიც რომის ხელისუფლების მაქსიმალური მდგრადობით გამოირჩევა (ტყუილად როდი უნიდებდნენ მას თანამედროვენი „ოქროს ხანას“) და მეორე მარკუს ავრელიუსისა და მისი შვილის კომოდუსის იმპერატორობის ეპოქა, როდესაც იმპერიას თავს დაატყყდა მწვავე და ხანგრძლივი კრიზისი. მოჩვენებითი აყვავების ეპოქა დასრულდა და ქვეყნის დაშლის ის პროცესები, რომლებიც თითქოს არც კი ჩანდნენ საუკუნის დასაწყისში, ახლა მკვეთრად გამოიხატა.

რაც შეეხება ქრისტიანობის ისტორიას, ანტონინუსების მმართველობის პერიოდზე მოდის ახალი მოძღვრების პირველი ეტაპის დასასრული, როდესაც, შეიძლება ითქვას, რომის იმპერიაში მიმდინარეობდა ქრისტიანობის სწრაფი ექსპანსია და ქრისტიანული თემების პროგრესული ემანსიპაცია იუდაიზმთან მიმართებაში და მეორე ეტაპის დასაწყისი, როდესაც ხდება პატარ-პატარა ეკლესიების ერთ დედაეკლესიასთან გაერთიანება.

ეპოქის სირთულე მდგომარეობს იმაშიც, რომ სწორედ ამ პერიოდზე მოდის ქვეყანაში მთელი რიგი ერესების (იუდეო-ქრისტიანობა, მონტანიზმი, გნოსტიციზმი...) არსებობა. იმავდროულად, სამოღვანეო ასპარეზზე გამოდიან ქრისტიანობის ისეთი

დიდი აპოლოგეტები, როგორებიც არიან ირინეოსი, ტერტულიანე, ათენაგორა და სხვ.

ნერვას ორნლიან მმართველობას ცვლის რომის იმპერიის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნების ტრაიანეს ეპოქა, რომლის იმპერატორობაც რომის პოლიტიკური განვითარების მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს. იგი იყო რომის ყველაზე დიდი და, იმავდროულად, ბოლო დამპურობელი იმპერატორი. მისი თანამედროვენი იყვნენ ფილოსოფიის, ისტორიის, ხელოვნების, მხატვრული ლიტერატურის ღირშესანიშნავი წარმომადგენლები.<sup>1</sup>

ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს ამ პერიოდის ქრისტიანთა მდგომარეობის შესასწავლად წარმოადგენს პლინიუს უმცროსის წერილი ტრაიანესადმი ქრისტიანების შესახებ და ტრაიანეს პასუხი, დათარიღებული 111 ან 112 წე. (X, 96-97).<sup>2</sup> მნიშვნელოვან მომენტს, როგორც მწერლის, ისე იმპერატორის წერილში წარმოადგენს რომის სახელმწიფო მმართველობის დამოკიდებულება ახალი რელიგიის მიმდევრების მიმართ. აქ პლინიუსი აღარ საუბრობს ქრისტიანული რელიგიის მიმდევრების და იუდაელების კავშირზე. მიუხედავად იმისა, რომ წყაროში ქრისტიანობა სექტად (nomen)

<sup>1</sup> დიონ ქრიზოსტომუსი (ოქროპირი, Dio Cocceianus Chrizostomus 40-120 წე.) – ბერძენი ფილოსოფოსი და ორატორი, პლუტარქე (Plutarchus 46-119 წ.-ის შემდეგ) – უდიდესი მწერალი, რომლის „პარალელური ბიოგრაფიები“ ფასდაუდებელ ცნობებს გვაწვდის ანტიკურ ისტორიაზე, ტაციტუსი (Tacitus 55-20 წე.) – უკანასკნელი დიდი რომაელი ისტორიკოსი, რომელიც როგორც მწერალი ცნობილი გახდა დომიციანეს სიკვდილის შემდეგ (96 წ.), ეპიკტეტოსი (Epiktetos 50-130 წე.) – ბერძენი ფილოსოფოს-სტოიკოსი, პლინიუს უმცროსი (C. P. Coecilius Secundus 61-113 წე.) – საზოგადო მოღვაწე, მწერალი, ორატორი, ადვოკატი, პლინიუს უფროსის შვილობილი, იმპერატორის ლეგატის კონსული ბითვინიაში 100, 111-112 წე.

<sup>2</sup> ისტორიოგრაფიაში ამ წყაროს უტყუარობა ეჭვის ქვეშ იყო დაყენებული. ასე მაგალითად: ბ. ბაუერი (Br. Bauer, Christus and die Caesaren ... p. 273) აღნიშნავდა, რომ ქრისტიანებზე პლინიუსის დადებითი გამოხმაურება თხზულებაში გვიანი ჩანართი უნდა იყოს. ა. რანოვიჩი მიიჩნევდა, რომ თხზულებაში ჩართულად შეიძლება ჩაითვალოს პლინიუსის წერილის ბოლო ნაწილი (Ранович А.Б., Античные критики христианства, М., 1935, с. 244) და სხვ.

არის მოხსენიებული, იგი იუდაიზმისგან მაინც ცალკე არსებობს, რაც საშუალებას გვაძლევს ქრისტიანობა ტრაიანეს იმპერატორობის პერიოდში დამოუკიდებელ რელიგიად განვიხილოთ.

ქრისტეს მიმდევართა სამართლებრივი მდგომარეობა I-II სს. გაურკვეველი იყო, მათი ბედი ძირითადად ადგილობრივ მმართველებზე იყო დამოკიდებული, რომელთაც ზოგჯერ შეეძლოთ ყური არ ეგდოთ მასების მოთხოვნისათვის. ზოგჯერ პირიქით, ქრისტიანები სიკვდილითაც კი დაესაჯათ. თითქმის ყველა ისტორიკოსი, ვინც ამ პერიოდზე მუშაობს, ერთხმად აღნიშნავს, რომ ქრისტიანთა დევნა სრულიად შემთხვევით და ლოკალურ ხასიათს ატარებდა. მარკუს ავრელიუსამდე (161-180 წწ.) მაინც ცენტრალური ხელისუფლება მათში მონაწილეობას არ ღებულობდა და რაიმე საერთო სახელმწიფოებრივ განკარგულებას არ იძლეოდა. მაგრამ ფაქტი ერთია, ამ ახალი რელიგიისადმი კუთვნილება დევნის საგანი ხდებოდა. თუ პლინიუს უმცროსისა და ტრაიანეს ცნობილ წერილებს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ქრისტიანებს სწორედ რწმენის გამო სდევნიდნენ. როგორც პლინიუსი აღნიშნავს, იგი მათ ეკითხებოდა იყვნენ თუ არა ისინი ქრისტიანები, ვინც აღიარებდა, მათ დასჯის შიშის ქვეშ მეორედ და მესამედ ეკითხებოდნენ და თუ მაინც აღიარებდნენ ახალი რელიგიისადმი კუთვნილებას – დასასჯელად აგზავნიდნენ. პლინიუს უმცროსი რჩევას სთხოვდა იმპერატორს ამ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც, თავის მხრივ, ქრისტიანების მიმართ მეტ ლოიალურობას იჩენს და პასუხობს, რომ არ იყო საჭირო ქრისტიანების ძებნა. თუ მათ დაასმენენ და ისინი მხილებულ იქნებოდნენ, მხოლოდ ის ქრისტიანები უნდა დასჯილიყვნენ და თუ რომელიმე უარყოფდა ქრისტიანობას და ამას საქმით დაადასტურებდა... უნდა მიეღო შენდობა. დასმენებს ხელმოწერის გარეშე არ უნდა ჰქონოდა არც ერთ საქმეში ადგილი – მიუთითებდა იგი. ეს ძალიან ცუდი მაგალითია და ჩვენი საუკუნის სულს არ შეესატყვისებაო (X,96-97).

მოყვანილი მაგალითიდან ნათლად დასტურდება ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული. ამ შემთხვევაში, წარმართების მხრიდან ხალხის ფანატიკურ რწმენასთან გვაქვს საქმე, რომელშიც, განსაკუთრებულ როლს აღმოსავლური კულტების ქურუმები, მოგ-

ვები, წინასარმეტყველები თამაშობდნენ. ისინი ქრისტიანებში ერთგვარ კონკურენტებს ხედავდნენ. რისი ნათელი დადასტურებაა „მოციქულთა საქმეებიდან“ (XIX, 24:39) ცნობილი ეფესელი ხელოსნების გამოსვლა, რომლებიც ტაძარზე მუშაობდნენ და ეშინოდათ ქრისტიანთა წარმატებას მათი შემოსავალი არ შეემცირებინა. არ სურდათ რა მინიჭებული პრივილეგიებისა და უფლებების გაყოფა, აგულიანებდნენ მოსახლეობას ახალი რელიგიის მიმდევრების წინააღმდეგ, რაც დასმენების რაოდენობითაც მტკიცდება. ტრაიანეს პასუხი მოწმობს, რომ ქრისტიანებს დევნიდნენ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, რათა ხალხის მასების მღელვარება აეცილებინათ თავიდან.

ტრაიანეს, ერთ-ერთ ყველაზე საქმიანსა და რეალისტურად მოაზროვნე რომის იმპერატორს, შესანიშნავად ესმოდა, რომ არც მას და არც მის ადმინისტრაციას არ შეეძლოთ კონტროლი გაენიათ თავიანთი მრავალრიცხოვანი ხელქვეითების აზროვნებისათვის. რეგულირება მოეხდინათ დიდი რაოდენობით არსებული სხვადასხვა რწმერისათვის. მისთვის მთავარი იყო რომის იმპერიის მოსახლეობის ლოიალობა და მისი ბრძანებებისადმი მორჩილება.<sup>1</sup>

## ადრიანი (117-138 წწ.)

ადრიანეს (117-138 წწ.) იმპერატორობის დროს ძალაშია ტრაიანეს მიერ ჩამოყალიბებული პრინციპები. იმავდროულად, ხდება ქრისტიანთა მდგომარეობის გაუმჯობესებაც. ხალხში ქრისტეს მიმდევართა მიმართ არსებული ზიზღის საწინააღმდეგოდ დამატებითი ლონისძიებებია მიღებული. ევსები კესარიელს „საეკლესიო ისტორიაში“ (IV,8) დაცული აქვს ცნობა იმის შესახებ, რომ იმპერატორი ადრიანე სავსებით ეთანხმება აზიის

<sup>1</sup> მიუხედავად ამისა, ტრაიანეს იმპერატორობის პერიოდში ბითვინიაში წამების ორი ფაქტია ცნობილი. სიმეონი, იერუსალიმის ეპისკოპოსი, ჩანს გასამართლებულ იქნა სასიკვდილოდ პროვინციის გუბერნატორის მიერ და ანტიოქიის ეპისკოპოსი იგნასი, რომელიც წამებულ იქნა რომში.

პროკონსულ მინიციუს ფუნდანუსს, რომელიც არასწორად თვლიდა ქრისტიანთა დევნას ყოველგვარი ბრალდებების უქონლობის, მხოლოდ ბრბოს შეძახილების გამო. იგი აღნიშნავს, რომ ქრისტიანთა ბრალდება მხოლოდ ბრბოს მოთხოვნით არასა-მართლიანია და დამსმენთა წახალისება არ იყო საჭირო. ჩვენ ვხედავთ, რომ თუნდაც ხელმოწერილი დასასმენი წერილები ქრისტიანთა წინააღმდეგ აღარ იყო საკამარისი, რომ მათ მიმართ ქმედება დაწყებულიყო. ბრალდებების მოტივაცია უკვე აუცილებელი ჩანს. დანარჩენი კი სიუზერენზე იყო დამოკიდებული. თუ ბრალდება არასწორი აღმოჩნდებოდა, ისჯებოდა დამსმენი. რომი თითქოს ეგუებოდა ახალი მონოთეისტური რელიგიის დამკვიდრებას თავის სამფლობელოში, მაგრამ იმავდროულად, არ ცხრებოდა იუდეველების რისხვა ქრისტიანთა მიმართ. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ 132-135 წწ. ებრაელი ხალხის გმირის სიმონ ბარ-კოხბას მტრული დამოკიდებულება ახალი რელიგიის მიმდევრებისადმი.

### **ანტონიუს პიუსი (138-161 წწ.)**

138 წ. ზაფხულში ადრიანე გარდაიცვალა და იმპერატორად ანტონინუს პიუსი (138-161 წწ.) აკურთხეს. ანტონინუს პიუსის დიდი ხნის მმართველობა ყველაზე წყნარი იყო იმპერიის მთელი არსებობის მანძილზე, რასაც მისი წინამორბედების იმპერატორობაც განაპირობებდა. ანტონინუს პიუსმა, რომელიც არ გამოირჩეოდა აზროვნების ორიგინალობით, გააგრძელა ადრიანეს შიდაპოლიტიკური საქმენი. კერძოდ გააუქმა რამდენიმე ადმინისტრაციული ღონისძიება. მაგალითად, ბატონებს კანონის გზით აუკრძალა მონების მოკვლა, იუდეველებს კვლავ მისცა წინადაცვეთის უფლება და შეწყვიტა ქრისტიანთა დევნა. საერთოდ ანტონინუსებიდან იწყება რომაული სისხლის სამართლის შერბილებაც. მიუხედავად ამისა, ამ პერიოდში ქრისტეს მიმდევრების წამების შემთხვევებიც დასტურდება. პოლიკარპე სმირნის ეპისკოპოსის დასჯის ფაქტი 156 წ. მოცემული აქვს ევსები კესარიელს (საეკლესიო ისტორია, IV, 15), რომელიც ცირკუში შეკრებილი ხალხის მოთხოვნით მოხდა.

რაც შეეხება ანტონინუსების სხვა წამომადგენლებს, ამ პე-რიოდში ახალი მონოთეისტური რელიგიის მიმდევრების მიმართ დამოკიდებულება შესამჩნევად არ შეცვლილა. მათი ბედი კვლავ დამოკიდებული რჩებოდა პროვინციების გუბერნატორებზე, დაინტერესდებოდნენ თუ არა ისინი ბრბოს ბრალდებებით. ევსები კესარიელის „საეკლესიო ისტორიამ“ შემოგვინახა ერთი წერილის ტექსტი. მასში ანტონინუს პიუსი განხილულია აზის პროვინციის კრებისადმი მიწერილი წერილის ავტორად, რომელიც ფაქტობრივად არსებობის უფლებას აძლევდა ქრისტიანობას, ვინაიდან ამ ედიქტის მიხედვით, მხოლოდ ღმერთებს მიენიჭა იმის გადაწყვეტის პრივილეგია, რომ დაესაჯათ ისინი ვინც მათ თაყვანისცემაზე უარს ამბობდნენ, თუ საჭიროდ ჩათვლიდნენ ამას. ამავე თხზულებაში ქრისტიანთა დასაცავად გამოცემული ასეთივე სპეციალური ედიქტების ავტორებად გვევლინებიან ადრიანე (117-138 წწ.) და მარკუს ავრელიუსი (161-180 წწ.). უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მეცნიერთა უმეტესობის აზრით, ეს ედიქტები ნაყალბევია, რაც შეიძლება იმით აიხსნას, რომ იმ პერიოდში ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან, ქრისტიანთა დიდი დევნის ფაქტები არ არსებობდა. იმავდროულად, მარკუს ავრელიუსის დროს ცნობილია ქრისტიანთა სამაგალითო დასჯის შემთხვევებიც, რომლებიც ისევ და ისევ ხალხის მოთხოვნის გათვალისწინებით ხდებოდა.

## მარკუს ავრელიუსი (161-180 წწ.)

მარკუს ავრელიუსის იმპერატორობის ხანა გამოირჩევა იმ-პერიოდის სისუსტით, რაც ქვეყანაში შექმნილი რთული სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობით აიხსნება. მეორე საუკუნის 60-იან წლებში რომი კვლავ ჩაერთო ომის ქარცეცხლში. 161 წლიდან იწყება პართიის (161-165 წწ.) ომი, რომელსაც მოჰყვება კიდევ უფრო მძიმე მარკომანების (167-180 წწ.) ომი. გერმანელმა ტომებმა გერმუნდურებმა, მარკომანებმა, იაზიგებმა, კვადრებმა და სხვ. ისარგებლეს რა რეინ-დუნაის სისუსტით, რაც მათი ნაწილების ევფრატზე გადასროლით იყო გამოწვეული, შეტევა მიიტანეს იტალიაზე. ომი განსაკუთრებულ ძალებს მოითხოვდა. იმ-

პერიას დიდი ზიანი მიაყენა შავმა ჭირმაც (lues, pestis), რომელიც აღმოსავლეთიდან იყო შეტანილი. სადაც კი იმპერიის რაზმი შედიოდა, იქ მაშინვე იწყებოდა ეპიდემია. ყოველივე ეს ხალხის უკმაყოფილებას იწვევდა. შავმა ჭირმა მოიცვა ყველა პროვინცია და იტალია. დაცარიელდა ქალაქები და სოფლები. მარკუს ავრელიუსის დროს იწყება ბუკოლების ცნობილი მოძრაობა ეგვიპტეში, სეკვანების გამოსვლები ესპანეთში, ოვოდიუს კასისუს აჯანყება აღმოსავლეთის პროვინციებში. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანები არ იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას ამ ბრძოლებში, მათი პასიურობაც აუტანელი ხდებოდა სახელმწიფოს მმართველებისათვის. შეიძლება ითქვას, ქრისტიანთათვის რელიგია რომის იმპერიაში არსებული წყობის წინააღმდეგ საპროტესტო გრძნობების გამოვლინების ერთადერთი ფორმა იყო. ვითარების გამოსასწორებლად საჭირო იყო ზომების მიღება და იმპერატორმაც არ დაყოვნა. მან მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა, რასაც ქრისტიანთა მდგომარეობის გაუარესება მოჰყვა. იმპერატორის ბრძანებით, ქრისტეს მიმდევრებს ეკრძალებოდათ ისეთ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მისვლა, როგორიცაა აპანები, ფორუმები და სხვა დაწესებულებები. გაძლიერდა მათი დევნა აზის პროვინციებსა და ეგვიპტეში, სადაც ყველაზე ცნობილი ქრისტიანი მოღვაწენი იყვნენ აყვანილნი.

საინტერესოა რამ აიძულა ტრადიციული რელიგიის მიმდევარი იმპერატორი შეეცვალა თავისი წინამორბედების გეზი ქრისტიანთა მიმართ და მათი დევნა თუ არა დარბევები მაინც დაეწყო ქვეყნის ცალკეულ პროვინციებში. სიტუაცია მართლაც საოცრად დაძაბული იყო. მიუხედავად იმისა, რომ მარკუს ავრელიუსი არავთარ სიმპათიას არ განიცდიდა ახალი რელიგიისადმი, იმპერატორისათვის ხელსაყრელი მაინც არ უნდა ყოფილიყო ქრისტიანების დევნა, მაგრამ გარემოებამ მაინც აიძულა თავისი წინამორბედების პრინციპები ნაკლებად მოქნილად და ნაკლებად შემრიგებლურად გამოეყენებინა პრაქტიკაში. ხალხი შეწუხებული იყო მათ თავს დამტყდარი ამდენი უბედურებით. გაუთავებელი ომებით, შავი ჭირით. მძიმე შედეგი მოჰყვა ტიბრის ადიდებასაც. საჭირო იყო განტევების ვაცის ძიება. პრბო თავისას ითხოვდა. იგი ყველა უბედურების სათავეს ქრისტიანებში

ხედავდა და მოითხოვდა კიდეც მათ დასჯას. საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს წარმოადგენს იუსტინე დიდის გადაცემა დე-დაქალაქის პრეფექტის ტრიბუნალისათვის ფილოსოფოს კინი-კოსის კრესცენციუსის (*Crescens* ან *Crescentius*) ბრალდების გამო 165 წ. და სხვ.

ინდივიდუალური ბრალდებების გარდა უნდა აღინიშნოს უფრო დიდი მაშტაბური დევნა ახალი რელიგიის მიმდევრებისა ეგვიპტესა და მცირე აზიის პროვინციებში (ევსები კესარიელი, საეკლესიო ისტორია, IV, 26). ამავე პერიოდში ხდება გალიის 177 წ. ამბები, სადაც ლიონში ქრისტიანთა დარბევა ჩატარდა, რომელ-მაც ახალი რელიგიის მიმდევართა წინააღმდეგ მიმართულ ყვე-ლა რეპრესიებს გაუსწრო ნერონის შემდეგ (64 წ.).

ეს ამბავი ჩვენთვის ცნობილია იმ წერილის მეშვეობით, რო-მელიც ლინიოსა და ვიენის ქრისტიანულმა თემებმა მისწერეს აზიის თემს. დოკუმენტი შემოგვინახა ევსები კესარიელის „საეკ-ლესიო ისტორიამ“ (V,1). იგი დეტალურად მოგვითხრობს დევნის მიზეზებს. აქაც ყოველივე დაიწყო ისევე, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, რაც ბრბოს მიერ ქრისტიანთა შეურაცხყოფაში გამოიხატა. ახალი რელიგიის მიმდევრებს სცემდნენ, თმებით ათ-რევდნენ და აკეთებდნენ ყველივე იმას, რასაც გაცოფებული ხალხი ჩადის თავისი მოწინააღმდეგების მიმართ. ხალხის ზენო-ლის ქვეშ იმ სიტუაციაში, როდესაც პროვინციის ადგილობრივი მმართველობა ადგილზე არ იყო კოპორტის ტრიბუნმა და მუნი-ციპალურმა მაგისტრებმა ფორუმში მიიყვანეს რამდენიმე ადა-მიანი და დაპატიმრეს. ამასობაში დაბრუნდა ადგილობრივი მმართველობა, რომელმაც ძალაში დატოვა დაპატიმრება და სხვა ქრისტიანების ძებნასაც შეუდგა. ზოგიერთი მათგანი სიკვ-დილით დასაჯეს. წერილი აღნიშნავს, როგორც განსაკუთრებულ ფაქტს, რომ რწმენის უარმყოფი ქრისტიანები მაინც იყვნენ დატოვებულნი ციხეში, ვინაიდან მათ წინააღმდეგ გამოვიდა რამდენიმე წარმართი მსახური, რომელთაც შიშის ქვეშ ძალით ბრალი დასდეს ბატონებს უწმინდურობაში (ქრისტიანობაში).

ქრისტიანებს ინცესტში და ანტროფოფობიაში სდებდნენ ბრალს, რაც საკმაოდ გავრცელებულ ბრალდებას წარმოადგენდა და, შესაბამისად, პროვინციის ხელმძღვანელობამ იგი ძალიან

სერიოზულად მიიღო. დაპატიმრებულთა შორის რომის მოქალაქეებიც იყვნენ, როდესაც ქალაქის მმართველობამ ეს გაიგო წერილით მიმართა იმპერატორს და სთხოვა დირექტივები. იმპერატორის პასუხი ქრისტიანების საწინააღმდეგო იყო (საეკლესიო ისტორია, V, 1). ამის მიუხედავად, მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ II ს. იმპერატორები ქრისტიანობას არ გამოყოფილნენ სხვა ფარული კულტებიდან, რომლებიც, მათი აზრით, საშიშნი იყვნენ საზოგადოებისათვის. ქვეყნის მმართველები სწორედ ამ კულტებს ებრძოდნენ და არა უშუალოდ ქრისტიანობას, აცხადებენ ისინი, რასაც ძირითადად ტერტიულიანეს და სარდის ეპისკოპოსის მელიტონის ნაშრომებზე დაყრდნობით ამტკიცებენ. ეს ჩვენთვის მისაღებ ფორმულირებას არ წარმოადგენს, პირიქით, მასალების შესწავლა გვაფიქრებინებს, რომ ქვეყნის მმართველი „ქრისტიანობის საშიშროებას“ ნათლად ხედავდა და მას უკვე როგორც უბრალო ცრურნმენას ისე აღარ აღიქვამდა. ამ თვალსაზრისის გამოთქმის უფლებას გვაძლევს ის გარემოება, რომ II ს. რომი უკვე აღარ ებრძვის აღმოსავლურ კულტებს. პირიქით, ამ პერიოდისათვის იმპერიაში ინტენსიურად მიმდინარეობს მათი გავრცელება, რასაც სახელმწიფო წინ არ ეღობება.

დაპატიმრებები, წამება და დევნა გრძელდებოდა. მან კულმინაციას აგვისტოს დიდი ზეიმების დროს მიაღწია, როდესაც ლიონში იკრიბებოდა გალიის 3 პროვინციის ადმინისტრაციისა და რელიგიის წარმომადგენლები, რომლებიც გალიის საკითხებს იხილავდნენ და იმპერატორის კულტს ზეიმობდნენ. მმართველმა ტრიბუნალის წინაშე საჯაროდ გამოიყვანა მორნმუნე ქრისტიანები, მათ შორის რომის მოქალაქეებიც, მათ თავი მოკვეთეს, დანარჩენები კი მხეცებს მიუგდეს.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ჩვენთვის ცნობილია რამდენიმე მსხვერპლის სახელი, რომელთა შორის ბევრი აზიური წარმოშობისაა. პოთინი – ლიონის ეპისკოპოსი, ოთხმოცდაათი წლის – მოკვდა ციხეში უხეში მოქცევის შედეგად. ატალპერგამელი, ალექსანდრე – დაბადებული ფრიგიაში. ვიტიუს ეპიგაფუსი, რომელიც გალო-რომაულ ბურჟუაზიას წარმოადგენდა. სანკტუსი – ვიენის დიაკვანი. პონტიკუსი – თხუთმეტი წლის ყმა. ახალგაზრდა მონა ქალი ბლანდინა, რომელმაც თავისი ჯალათის აღფრთოვანება

წერილი, რომელიც ლიონელი ქრისტიანების დევნას აღწერს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაიგზავნა ლიონისა და ვიენის ეკლესიების სახელით. ეს ქალაქები გალიის სხვადასხვა პროვინციებს ლუგუნდუნუმსა და ნარბონს ეკუთვნოდა. ლიონი, ანუ ლუგუნდუნუმი გალიის სამი პროვინციის ცენტრსა და იმავდროულად დედაქალაქს წარმოადგენდა. როგორც ცნობილია, სამი გალია არ იყო გაერთიანებული უმაღლესი მმართველით. რომიდან გალიაში ჩასული იმპერატორები და მისი ოჯახის წევრები, როგორც წესი, ლიონში ჩერდებოდნენ. კართაგენთან ერთად ლიონი იმპერიის ლათინური ნაწილის ერთადერთი ქალაქი იყო, რომელსაც დედაქალაქის მსგავსად გარნიზონი გააჩნდა. იგი 1200 ჯარისკაცისაგან შედგებოდა, რომლის საშუალებითაც, როგორც იოსებ ფლავიუსი (იუდ. ომი, 12,16,4) იუდეის მეფის აგრიპას პირით გადმოგვცემს, დამორჩილებული ჰყავდა მთელი გალია. ლიონი იყო სახელმწიფოს დასავლეთ ნაწილის ერთადერთი ქალაქი, სადაც იმპერიის ხანის დასაწყისში იმპერატორის მონეტა იჭრებოდა. იგი გალიის საბაჟო სისტემისა და საზღვაო კვანძის ცენტრს წარმოადგენდა. აქვე იყო მოთავსებული გალიაში არსებული სახელმწიფო დაწესებულებებიც, სადაც ყოველწლიურ რელიგიურ დღესასწაულებს იხდიდნენ. ასე რომ, ლიონმა ძალიან მალე მიაღწია წარმატებას.

რაც შეეხება ნარბონს იგი გრაკეუსების პერიოდში დაარსდა. კეისრისა და ტიბერიუსის დროს პროვინცია შევსებულ იქნა ახალი გადასახლებულებით, რის შედეგადაც ყველგან ადგილობრივი კელტები ადგილს საქალაქო თემს უთმობენ. ვიენი, კეისრის მიერ რონის სანაპიროზე დაარსებული კოლონია იყო, როგორც გადასატვირთი ნავსადგური.

ორივე ქალაქი-პროვინცია გალიის მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ ამ რეგიონში ქრისტიანობის გავრცელება ბევრის მთქმელია. მიუხედავად ორივე ქალაქის

---

გამოიწვია. ყოველივე ამის შედეგს გაუგებარი სისასტიკით მოკლული მორნმუნე ქრისტიანები წარმოადგენდნენ, რომელთა გვამები დაწვეს, ფერფლი კი მდინარე რონას (ბერძ. Rhodanos, ლათ. Rodanus) მოაპნიეს, რათა მათ აღდგომის იმედი აღარ ჰქონდათ.

სტრუქტურისა, იოლი შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ქრისტეს მოძღვრება არა მარტო რომაულ, არამედ ადგილობრივ კელტურ მოსახლეობაშიც იყო გავრცელებული. რომ არაფერი ვთქვათ ამ ქალაქებში მცხოვრებ აზიური წარმომავლობის ხალხზე. როგორც აღვნიშნეთ, ახალი რელიგია აქ სწორედ იმპერიის აზიური ნაწილიდან უნდა იყოს შესული.

ლიონის ეკლესიას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა აზიის პროვინციებთან, რომელთა დახმარებითაც იგი სასწრაფოდ იქნა აღდგენილი (აშენებული) წმინდა ირინეოს ეპისკოპოსის მიერ.

177 წლის ლიონის ამბების ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ ეს დევნა არ ატარებდა განსაკუთრებულ ხასიათს. იგი უფრო წააგავ-და პროვინციის მუნიციპალური მმართველების გადაწყვეტილებას ჭკუა ესნავლებინათ ადგილობრივი ქრისტიანებისათვის, რომელ-ნიც საკმაოდ მძლავრად იყვნენ წარმოდგენილნი ქალაქში.

ჩვენ არ მოგვეპოვება საბუთი იმის მტკიცებისათვის, რომ ქრისტიანთა დარბევა მეზობელ პროვინციებშიც გავრცელდა. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ მან მხოლოდ გამოხმაურება ჰპოვა სასოფლო რეგიონებსა და ვიენაში. არსებობს მეორე ვერსიაც. ამ ვერსიის მიხედვით, ვიენელმა მორწმუნებმა გაიგეს რა ლიონის ამბები მყისვე იქ გაჩნდნენ თავიანთ დიაკვან სანკტუსთან ერთად, რომელმაც თავის მხრივ, დიდი სიმამაცით გამოიჩინა თავი.

სიმკაცრის მიუხედავად, დევნამ ვერ მოიცვა მთლიანად ლიონის ქრისტიანობა. მორწმუნების საკმაოდ დიდი ნაწილი გადარჩა. ამ შემთხვევაში, სოციალურთან ერთად არ არის გამორიცხული ქვეყნის პოლიტიკური ფაქტორიც. ლუგუნდუნუმი ხომ სწორედ იმ სეკვანების პროვინციის მნიშვნელოვან ქალაქს წარმოადგენდა, რომელშიც ხალხთა დიდი გამოსვლები ჩაახშო მარკუს ავრელიუსმა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ აჯანყებაში ქრისტიანთა მონაწილეობას არც ერთი წყარო არ ადასტურებს.

მარკუს ავრელიუსის დამოკიდებულება ახალი რელიგიის მიმდევრებისადმი გვაფიქრებინებს, რომ II ს. II ნახევრიდან იმპერატორების ე.წ. ლოიალური დამოკიდებულება ქრისტიანებისადმი ნელ-ნელა იცვლება და აშკარად განსხვავდება ტრაიანეს ცნობილი პასუხისაგან პლიზიუს უმცროსისადმი.

## პომოდუსი (180-192 წწ.)

მარკუს ავრელიუსის გარდაცვალების შემდგომ ქვეყნის სა-თავეში მისი შვილი კომოდუსი (180-192 წწ.) მოდის. ამ პერიოდში იგი მხოლოდ 19 წლისა იყო. როგორც ჩანს, მას არავითარი სიმპატია არ გააჩნდა ქრისტიანებისადმი. მიუხედავად ამისა, იგი უშუალოდ არ იღებდა თავზე ამ მონოთეისტური რელიგიის მიმ-დევრების დევნის ინიციატივას. მისი იმპერატორობის დროს სარჩმუნოა ქრისტეს მიმდევართა რამდენიმე წამების ფაქტი. კერძოდ, 180 წ. აფრიკის ქალაქ სცილიუმში დატრიალებული ტრაგედია, როდესაც თორმეტი ქრისტიანი აწამეს, რის შემდე-გაც ეკლესიას რამდენიმე წელი დასჭირდა დაძაბულობის მოსახ-სნელად. ეს ფაქტი კომოდუსის იმპერატორობის საზომადაც კი შეგვიძლია გამოვიყენოთ. იგი, შეიძლება ითქვას, უანგაროდ ას-რულებდა ბრძოს მოთხოვნას, რომელმაც, თავის მხრივ, გადა-წყვიტა მშვიდად ეცხოვრა ქრისტიანების გარეშე. ერთადერთი ეპიზოდი, რომელიც კომოდუსისადმი სიმპატიით განგვაწყობს არის ის, რომ მისი ფავორიტი მარცია, რომელიც ქრისტიანულად არ იყო მონათლული, გულითა და ადათ-წესებით ქრისტიანი იყო და იმპერატორის გვერდით მყოფიც კი იესო ქრისტეს მიმდე-ვართა მხარეს იღწვოდა. მან მიაღწია რამდენიმე კატორდა-მისჯილი ქრისტიანის შეწყალებას, მათ შორის აღსანიშნავია მო-ნადყოფილი კალისტე, რომელიც შემდეგში რომის ეპისკოპოსი გახდა (217-222 წწ.). მის სახელს ატარებს ვია-აპიას ერთ-ერთი უდიდესი სასაფლაო (კატაკუმბა). იგი ამ დასაკრძალავი მიწის-ქვეშეთის ერთ-ერთ პირველ მმართველად გვევლინებოდა.

ტერტულიანემ (Tertull., De pudicitia, C,1) შემოგვინახა ცნობა კალისტეს მიერ რომში გამოცემული ედიქტის შესახებ, რომ-ლითაც საეკლესიო კანონიკურად ცხადდებოდა პატრონსა და მონას შორის ქორწილი, რის მიზეზადაც ევსები კესარიელი იმ-პერიის უმაღლესი წრეების ქალებში ქრისტიანობის ფართო გავრცელებას მიიჩნევს (ევსები, საეკლესიო ისტორია, V).

აღნიშნული მასალის შესწავლა საშუალებას გვაძლევს და-ვადგინოთ, რომ II ს. მეორე ნახევარში ქრისტიანობის მიმდევ-რები იყვნენ რომში არსებული ყველა ფენის წარმომადგენლები.

რისი მტკიცების უფლებასაც გვაძლევს, აგრეთვე, 177 წ. ლიონში წამებულ ქრისტიანთა ვინაობის დადგენა, სადაც მონებთან ერთად გალო-რომაული ბურჟუაზიის ფენების წარმომადგენლებსაც ვხვდებით.

ქრისტიანების წინააღმდეგ ჩატარებულ რეპრესიებს მორნმუნენი, ხშირ შემთხვევაში, დუმილით ხვდებოდნენ. იესოს მიმდევრები მხოლოდ იმ პრივილეგიებით სარგებლობას მოითხოვდნენ, რომლებიც იმპერიაში სხვა მონოთეისტური რელიგიის მიმდევრებს – იუდეველებს გააჩნდათ და შესაძლოა თვითონაც სარგებლობდნენ მანამ, სანამ იუდაიზმს გამოეყოფოდნენ. ეს იყო სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლება, იურისპრუდენცია იმ საქმეებისა, რომლებიც რელიგიურ კავშირებს ეხებოდა, საკუთარი კულტის თავისუფლად გავრცელება, რაც, თავის მხრივ, ქრისტიანების მიერ ოფიციალური კულტიდან გადახვევის დამოწმებას ნიშნავდა. ამავე დროს ქრისტიანობის აპოლოგეტები, იცავდნენ რა თავიანთ სარწმუნოებას, აღიარებდნენ მხოლოდ ამ მოძღვრების ჭეშმარიტებას და რელიგიურ საკითხებში არავითარ დათმობაზე არ მიდიოდნენ.

## სეპტიმიუს სევარუსი (193-211 წწ.)

რომი III ს. დასაწყისისათვის, შეიძლება ითქვას, მიხვდა, რომ ქრისტიანული ეკლესია სულ უფრო ძლიერდებოდა და სახელმწიფოში სახელმწიფოს წარმოადგენდა, რაც იმპერიის მამების აზრით, ქვეყნის ძლიერებას არყევდა. მათ უნდა ემოქმედათ და არც აყოვნებდნენ. ქრისტიანთა დევნას ადგილი პროვინციებში, როგორც აღვნიშნეთ, რომის წინააღმდეგ ხალხთა გამოსვლის ჩახშობის შემდეგ ჰქონდა. ახლა უკვე სირიასა და პალესტინაში აჯანყების ჩახშობის შემდეგ, 202 წ., სეპტიმიუს სევერუსის (193-211 წწ.)<sup>1</sup> სპეციალური კანონით აიკრძალა ორ მონოთეისტურ

<sup>1</sup> სეპტიმიუს სევერუსმა (193-211 წწ.) რომის იმპერიაში ახალ დინასტიას ჩაუყარა საფუძველი. სევერუსების დინასტიას ეკუთვნოდნენ, აგრეთვე, მისი შვილი კორაკალა (211-217 წწ.), ჰელიოფაბლუსი (218-222 წწ.) და ალექსანდრე სევერუსი (222-235 წწ.). 217-218 წწ. იმპერა-

რელიგიაზე – იუდაიზმზე და ქრისტიანობაზე გადასვლა "Judeos fieri sub gravipoena vetuit idem etiam Christianis sanxit". სევერუსის ბრძანების ტექსტში, რომელიც სპანციანუსს აქვს მოყვანილი ("ავგუსტუსების ისტორიის" ერთ-ერთი ავტორი) ნათქვამია: მკაცრი დასჯის შიშის გამო იუდაიზმზე მოქცევა აკრძალულია და ამავეს ვბრძანებ ქრისტიანობის მიმართაც. დეკრეტით აკრძალვა იყო დადებული წინადაცვეთაზეც (გამონაკლის იუ-დეველების შვილები წარმოადგენდნენ). სევერუსის ეს ბრძანება ქრისტიანების დევნის ისტორიაში საყოველთაო ხასიათის მქონე პირველი ოფიციალური დოკუმენტია.

გადმოცემის თანახმად, სეპტიმიუს სევერუსის მმართველობის ხანაში, ქრისტიანთა წამების მრავალი შემთხვევაა ცნობილი, რაც ცარიელ ადგილზე არ აღმოცენდებოდა, ვინაიდან სეპტიმიუს სევერუსის იმპერატორობის დროს წყაროებში მართლაც ფიქსირდება მეორე მონოთეისტური რელიგიის მიმდევრების დევნის შემთხვევები. მაგალითად, 202 წ. კართაგენში (აფრიკა) მორჩმუნების პერპეტუიას, ფელესიტეს და მათი ოთხი თანამოაზრის წამების ამბავი. როგორც პერპეტუია, ისე ფელესიტე სიკვდილის შემდეგ წმინდანებად შერაცხეს.

განსაკუთრებული ზიანი ქრისტიანების დევნამ ალექსანდრიის საღვთისმეტყველო სკოლას მიაყენა. სეპტიმიუს სევერუსის დევნას გაექცა უდიდესი მოაზროვნე კლიმენტი ალექსანდრიელი, რომელმაც ცხოვრების უკანასკნელი წლები კაპადოკიაში გაატარა. ალექსანდრიაში გარდაიცვალა ქრისტიანობის დიდი აპოლოგეტის ორიგენეს მამა და სხვ.

ქრისტიანთა რეპრესიები არ ცხრებოდა გალიასა და ჩრდილო აფრიკაში. ამ უკანასკნელში ქრისტეს მიმდევრების დევნა ახალი ძალით წარმოებდა პროკონსულ სკაპულას დროს 211-212 წწ., რომელმაც ნუმიდიასა და მავრიტანიამდე მიაღწია და მხოლოდ სკაპულას გარდაცვალების შემდგომ შეწყდა. ამ დროიდან მოყოლებული, შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანობაზე რეაქცია უფ-

---

ტორად მაკრიონი თავის დროზე მონადყოფილი კაცი გვევლინება. სევერუსების მმართველობის ხანა ახალ ფურცელს შლის რომის იმპერიის ისტორიაში. ინცეპტა რომის არმიის ბატონობის ხანა.

რო სამხედრო და სახელმწიფო მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი, ვიდრე რელიგიური და მორალური თვალსაზრისით.

ფრიად საყურადღებოა სეპტიმიუს სევერუსის იმპერატორობის მეორე მხარეც, რომლითაც ვლინდება, რომ იგი მტრულად არ უნდა ყოფილიყო განწყობილი ქრისტეს მიმდევრების მიმართ. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც იგი, როგორც ტერტულიანე გადმოგვცემს, ავადმყოფობისაგან ქრისტიანმა პროკლემ განკურნა. მომდევნო იმპერატორებიც – კარაკალა (211-217 წწ.) და მახლობელალმისავლური, სირიული ღვთაების ჰელიოგაბალის (ბაალის) კულტის თაყვანისმცემელი ჰელიოგაბალუსი (218-222 წწ.), არ უნდა ყოფილიყვნენ ქრისტიანობის წინააღმდეგნი.

### ალექსანდრე სევერუსი (222-235 წწ.)

რომის იმპერიაში მცხოვრები ხალხი მანამდე არასოდეს სარგებლობდა ისეთი დიდი რელიგიური თავისუფლებით, როგორც ალექსანდრე სევერუსის (222-235 წწ.) – ამ ღმერთების თაყვანის-მცემელი და პატიოსაანი იმპერატორის მმართველობის დროს. „არ არის საჭირო შეუწყნარებლობა, დაე იყოს მშვიდობა ყველა რელიგიას შორის“ – აცხადებდა იგი, რაც იმდენად დაბეჯითებით ულერდა, რომ თაობებმა ლამის იმპერატორის ქრისტიანული აღმსარებლობაც კი ირწმუნეს. მართლაც, ალექსანდრე სევერუსის დროს, ქრისტეს მიმდევრები არა თუ გულგრილობას, გულითად სიმპათიასაც კი ხვდებოდნენ. ისინი საკმაოდ იყვნენ საიმპერატორო კარზეც (ევსები, საეკლესიო ისტორია, VI, 28). მაგრამ, იმავდროულად, რომის იმპერიის ტერიტორიაზე ფიქ-სირდება ქრისტიანთა წამების შემთხვევები, რაც ისევ და ისევ ადგილობრივი მმართველების ხელდასმით ხდებოდა. იმპერატორი კი ისე იყო გაუძლენთილი ტოლერანტობით, რომ შეუძლებლად მიაჩნდა რომელიმე ღვთაებისათვის მიენიჭებინა უპირატესობა და დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ ერთი კულტის ჩარჩოებით.

რას შეიძლება მივაწეროთ ალექსანდრე სევერუსის ეს თვისება? საიდან მოდის იგი?

ახალგაზრდა იმპერატორის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა მისმა დედამ იულია მამეამ, რომელიც თვალყურს ადევ-

ნებდა რა საკუთარი შვილის სულიერ განვითარებას, ქრისტიანობის მხარეზე განაწყო იგი. რაც არც არის გასაკვირი, ვინაიდან იულია მამეა წარმომავლობით იმ ქვეყნიდან იყო, სადაც ქრისტეს მიმდევრები უკვე დიდი ხანია საკმაო რაოდენობით ცხოვრობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ იგი წარმართი ქურუმის ოჯახიდან იყო გამოსული, სადაც ბაალის კულტს სცემდნენ თაყვანს,<sup>1</sup> მას ნათელი, ყოველგვარი ცრურნებისაგან თავისუფალი გონება ჰქონდა. ცნობილმა მოაზროვნემ ორიგენემ იგი ქრისტიანობის სიბრძნეს აზიარა,<sup>2</sup> რასაც უკვალოდ არ ჩაუვლია და ყველაზე მეტად იმპერატორის პიროვნებაზე აისახა. მაგრამ ქრისტიანებისათვის სრული თავისუფლების მიცემა იმას როდი ნიშნავდა, რომ ალექსანდრე სევერუსი ახალი მონოთეისტური რელიგიის აღმსარებელი იყო.

რა დამოკიდებულება ჰქონდა სინამდვილეში ქრისტიანებთან იმპერატორს? შეეძლო კი მას კონსტანტინე I დიდამდე ერთი საუკუნით ადრე მისი როლი შეესრულებინა და ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად გამოეცხადებინა რომში?

ამ კითხვაზე დადებითი პასუხის მიღება ძნელდება. ალექსანდრე სევერუსი მართლაც სუფთა, პატიოსანი, სულით ტოლერანტი იმპერატორი იყო. ცნობილი ფაქტია, რომ მან თავის კერძო სამლოცველოში, სადაც ყოველდღე ლარებზე სალოცავად მიდიოდა აპოლონ ტიანელის, აბრაამის, მოსეს, ორფეოსის და ალექსანდრე დიდის გამოსახულებათა გვერდით, ქრისტეს გამოსახულებაც დაადგმევინა. ეს ფაქტი კი ბევრის მთქმელია, გამოდის, რომ მაცხოვარს იმპერატორი აღიქვამდა არა როგორც ღმერთს, არამედ როგორც უდიდეს პიროვნებას. წინააღმდეგ შემთხვევაში მის გამოსახულებას არ დაადგმევინებდა უბრალო მოკვდავთა გვერდით, იქ სადაც ადგილი არ ქონდა ღმერთებს.

ალექსანდრე სევერუსი მეტი სიმპათიით იყო განმსჭვალული უშუალოდ ქრისტესადმი, როგორც პიროვნებისადმი, ვიდრე

<sup>1</sup> მისმა ოჯახმა იმპერიას ოთხი არაჩეულებრივი ქალი მისცა: იულია დომინა, სეპტიმიუს სევერუსის მეუღლე, მისი და იულია მესა და მისი ორი ქალიშვილი – იულია სემია და იულია მამეა – ალექსანდრე სევერუსის დედა.

<sup>2</sup> იულია მამეასა და ირგვენეს შეხვედრის ზუსტ თარიღს ევსები კესარიელი (საეკლესიო ისტორია, VI, 21) არ იძლევა.

ღმერთისადმი და საერთოდ ქრისტიანობისადმი, როგორც რელიგიისადმი. ღმერთების თაყვანისმცემელი იმპერატორი ერთი მხრივ, მზად იყო ტაძარი აღმართა მაცხოვრისათვის, ხოლო მეორე მხრივ, არ სურდა ქრისტიანობას შეეცვალა სხვა კულტები და გაბატონებული მდგომარეობა დაეკავებინა. იგი ერთდღოულად თაყვანს სცემდა ისიდასა და სერაპისს, უყვარდა კაპიტოლიუმის ტაძრების მონახულება, სურდა დიდი დედის დღესასწაულის გადახდა და არ თვლიდა ეპრაელებს უნმინდურებად. მას არ გააჩნდა ის მტკიცე ნებისყოფა, რაც მკვეთრი ღონისძიების ჩასატარებლად ესაჭიროება მმართველს, რომელიც ნათლად გამოვლინდა კონსტანტინე | დიდის პიროვნებაში.

შედეგად, რომის იმპერიაში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადება თითქმის ერთი საუკუნით გადაიდო. სწორედ იმ საუკუნით, რომლის დროსაც ქრისტეს მიმდევრები საკუთარი არსებობის მანძილზე ყველაზე დიდ დევნასა და შევიწროებას განიცდიდნენ. ახლა არა მხოლოდ ადგილობრივი მმართველებისა და ხალხის ბრძოსაგან, არამედ იმპერატორების მხრიდანაც, რაც ედიქტებით მტკიცდებოდა.

## მაქსიმიე თრაკიელი (235-238 წწ.)

როგორი იყო ქრისტიანთა მდგომარეობა ალექსანდრე სევერუსიდან დეციუსამდე? ანუ ქრისტეს მიმდევართა წინააღმდეგ ჩატარებულ პირველ ოფიციალურ დევნამდე? ალექსანდრე სევერუსის იმპერატორობიდან სულ მალე, როდესაც ეკლესია ტკბებოდა ლრმა სიმშვიდით, კაპადოკია და პონტო განადგურებულ იქნა მიწისძვრებით. ხალხმა, ჩვეულებრივ, ყველაფერში ქრისტიანები დაადანაშაულა და კვლავაც გაიმეტა ისინი სხვადასხვა სახის წამებისათვის. ეს დაბეჭედები, ამ შემთხვევაშიც, არ მოდიოდა ხელისუფლებისაგან. მაგრამ ფაქტი ერთია, ძლიერნი ამა სოფლისანი დამნაშავეებს არ იჭერდნენ და არ სჯიდნენ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამ ფაქტების შესახებ ცნობები წყაროებიდან არ მოგვეპოვება.

ევსები კესარიელი (VI, 28) ახსენებს მაქსიმინეს (235-238 წწ.) მიერ ქრისტეს მიმდევრების დევნას, მაგრამ კონკრეტულ შემთხ-

ვევებზე არ ჩერდება. არაფერს ამბობს ამის თაობაზე ლაქტან-ციუსიც,<sup>1</sup> რაც მეცნიერთა ნაწილს აფიქრებინებს, რომ დევნას ადგილი შესაძლოა არც კი ჰქონია. ისინი აღნიშნავენ, რომ მაქ-სიმინეს მიერ ახალი მოძღვრების წინააღმდეგ ჩატარებულ დევ-ნას ადგილი რომ ჰქონოდა, ამის შესახებ სხვა წყაროებშიც იქნე-ბოდა აღნიშნული. ნაწილი კი არ უარყოფს მაქსიმინე თრაკიელის დროს ქრისტიანების წინააღმდეგ მოწყობილ დევნას და აღნიშ-ნავს, რომ 235 წ. ბალკანეთსა და დუნაიზე გოთური ტომების ზეწოლის შთაბეჭდილების ქვეშ მყოფმა იმპერატორმა მართლაც განაახლა ქრისტიანთა დევნა, რომელიც უპირველეს ყოვლისა, სასულიერო პირების წინააღმდეგ იყო მიმართული. ამ ფაქტის სარწმუნოება ძნელი გასარკვევია სხვა რაიმე ხელშესახები მასა-ლის უქონლობის გამო. ერთადერთ წყაროს, როგორც უკვე აღვ-ნიშნეთ, ევსების „საკლესიო ისტორია“ წარმოადგენს.

მართლაც, არ არის გამორიცხული მაქსიმინეს, ამ „ჯალათი ჯარისკაცის“ იმპერატორობის დროს ქრისტიანების დარბევის შემთხვევებს ჰქონოდა ადგილი. მაშინ, როდესაც მთელ იმპე-რიაში მიმდინარეობდა მძიმე ფინანსური გადასახადების გაწერა, ქალაქებისა და საგანძურთა, მოსახლეობის ქონების კონფისკა-ცია. ძარცვა, სიკვდილით დასჯა ჩვეულებრივ მოვლენად ითვ-ლებოდა. ყოველივე ამის ფონზე ნამდვილად იყო შესაძლებელი ქრისტიანთა დევნასაც ჰქონოდა ადგილი, მაგრამ ეს უბრალოდ ქრისტეს მიმდევრებისადმი ზიზღით არ უნდა ყოფილიყო გა-მოწვეული. მაქსიმინეს, ხომ ყველაფერთან ერთად თვით ქვეყნის დედაქალაქიც სძულდა. ცნობლ ფაქტს წარმოადგენს ისიც, რომ თავისი იმპერატორობის მანძილზე იგი ერთხელაც არ ჩასულა რომში. ჩვენ შეგვიძლია ვერწმუნოთ ან არ ვერწმუნოთ ევსების, მაგრამ ფაქტი ერთია, მაქსიმინეს მიერ ქრისტიანთა დევნას ადგილი კიდეც რომ ჰქონოდა, იგი მაინც არ გამოიყოფოდა იმ საერთო საშინელი მდგომარეობიდან, რომელიც ქვეყანაში იყო გამეფებული.

<sup>1</sup> ლაქტანციუსი თავის თხზულებაში "De mortibus persecutorum" – ქრის-ტიანთა მდევნელ იმპერატორებიდან დეციუსამდე მხოლოდ ნერონს და დომიციანეს აღნიშნავს.

## ଓଡ଼ିଆ ଲେଖକ (244-249 ମେ.)

ქრისტეს მიმდევართა ცნობილი დევნა მოხდა ფილიპე არაბის (244-249 წწ.) იმპერატორობის დროსაც, რომელიც, დიონისე ალექსანდრიის წერილის მიხედვით (ევსები, საეკლესიო ისტორია, VI, 21), დაიწყო მოგვების თუ პოეტის წაეჭებით. ეს ისტორიული წყარო ნათლად გვიხატავს ქრისტიანთა დარბევის სურათს.

ფილიპე არაბი არ გამოირჩეოდა ქრისტეს მოძღვრების  
მიმდევართა მიმართ ცუდი დამოკიდებულებით. მას მიმოწერაც  
კი ჰქონდა ორიგენესთან. მაშინ უნდა ყოფილიყო გამოწვეული  
ის ფაქტი, რომ მისი იმპერატორობის ბოლო წელს 248 წ. ბოლოსა  
და 249 წლის დასაწყისში, ალექსანდრიაში მოხდა ძლიერი ანტი-  
ქრისტიანული გამოსვლა, რომლის დროსაც ქრისტეს მიმდევ-  
რების საშინელ შეურაცხყფას ჰქონდა ადგილი (ევსები, საკლე-  
სიო ისტორია, VI, 21). ყოველივე ამის სათავე ჯერ კიდევ წინა  
საუკუნეში ქვეყანაში დაწყებულ კრიზისში უნდა ვეძიოთ, რო-  
მელმაც III ს. ახალი ძალით იფეთქა. იმპერატორების ხშირი ცვლა  
(ძირითადად სამხედრო წოდებისა), პოლიტიკური და სოცია-  
ლური კრიზისი, შიმშილი, გაუთავებელი ომები, გამოსვლები  
პროვინციებში. ყოველივე ეს არ შეიძლება არ ასახულიყო მეორე  
მონოთეისტური რელიგიის მიმდევრებისადმი ხალხის დამოკი-  
დებულებაზე, რომლებიც გაწამებულნი იყვნენ და უკვე მე-  
რამდენედ ჯოხი ქრისტიანებზე გადატყდა, რასაც ჩვენ დიონისე  
ალექსანდრიელის წერილის ის მონაკვეთი გვაფიქრებინებს, სა-  
დაც დაცულია ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ ცდილობდა  
ხალხი გაეძარცვა თავისი მეზობელი და გაეტაცებინა მისი ქო-  
ნება. ამ შემთხვევაში, საქმე ბრძოს მოქმედებასთან უფრო გვაქვს,  
ვიდრე რელიგიურ ფანატიზმთან. იმპერატორს, ქრისტიანების  
სახელმწიფო სისტემაში ჩასმა და ოპოზიციის განადგურება  
სურდა, რათა სახელმწიფოსათვის ძეველი დიდება დაეპრუხებინა.

ფილიპე არაბის მმართველობის დასასრულით, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ ვამთავრებთ ქრისტიანობის ისტორიის ორ ეტაპს, რომელიც 30-250 წწ. მოიცავს.

## თავი 3

ძრისფიანობა 250-325 წწ.

დეციუსი (249-251 წწ.)

პირველმა ორმა ეტაპმა, შეიძლება ითქვას, საფუძველი მოუმზადა მესამეს, როდესაც უკვე იმპერატორთა ოფიციალური ბრძანებით ხდებოდა ქრისტიანების დევნა სახელმწიფოს მიერ, რაც გაფორმებული იყო კიდეც შესაბამისი ედიქტებით.

პირველი იმპერატორი რომის ისტორიაში, რომელმაც ღიად გაილაშქრა ქრისტიანული რელიგიისა და მისი მიმდევრების წინააღმდეგ გახლდათ დეციუსი<sup>1</sup> (249-251 წწ.). იგი სენატორული ორიენტაციის მმართველად გვევლინება და, შესაბამისად, გამოხატავდა კიდეც იმ პარტიის ინტერესებს, რომლის მეშვეობითაც ქვეყნის სათავეში მოვიდა. რომის ისტორიის შესწავლა გვიჩვენებს, რომ სენატორთა წრიდან გამოსული იმპერატორები დიდად არ წყალობდნენ ქრისტიანებს. დეციუსის გარდა მათ რიცხვს განეკუთვნებიან მარკუს ავრელიუსი და ვალერიანე, რომელთა დამოკიდებულება ახალი რელიგიის მიმდევრების მიმართ, ყოველთვის მტრული იყო, რაც კარგად ჩანს ამ ფენის იდეოლოგების ტაციტუსის, სვეტონიუსისა და სხვათა შემოქმედებაში.

III ს. პირველ ნახევარში სენატორთა კლასიდან გამოსულ იმპერატორთა ეს ორიენტაცია არ შეცვლილა, რაც ნათლად შეგვიძლია დავინახოთ დიონ კასიუსის მიერ დაწერილი მეცენატის სიტყვიდან ავგუსტუსისადმი, რომელშიც გარკვევით იძლევა რჩევას ყველანაირად იბრძოლონ უცხო კულტების წინააღმდეგ. ან-

<sup>1</sup> დეციუსის ბიოგრაფია სამწუხაროდ შემორჩენილი არ არის, მის შესახებ ცნობებს მხოლოდ ვალერიანეს ბიოგრაფიიდან ვიღებთ.

ტაგონიზმი სენატის პარტიასა და ქრისტიანებს შორის მკვეთრად გაიზარდა III ს. შუა ხანებში, რასაც ვერ ვიტყვით ანტისენატორული ორიენტაციის იმპერატორებზე, რომლებიც, შეიძლება ითქვას, მეტნაკლებად წყალობდნენ კიდეც ამ მონოთეისტური რელიგიის მიმდევრებს.

დეციუსი საკმაოდ ენერგიული პიროვნება იყო. მას რომის ნაციონალური ტრადიციების დაცვა და იმპერიის კრიზისიდან გამოყვანა სურდა, რომელიც მისი იმპერატორობის მომენტისათვის კიდევ უფრო გაიზარდა და ახალ ფაზაში შევიდა, რომლის მნიშვნელოვან საკითხს რომსა და პროვინციებს შორის ურთიერთობა წარმოადგენდა. თუ მარკუს ავრელიუსის (161-180 წე.) დროს ჩვენ შეგვიძლია შხოლოდ ბუნდოვნად ვივარაუდოთ კავშირი პროვინციებში ოპოზიციონერობის ზრდას, ქრისტიანობის გავრცელებასა და მათი მთავრობის მიერ დევნას შორის, უკვე III ს. შუა ხანებში ეს კავშირი გაცილებით საგრძნობია. ახალი მონოთეისტური რელიგია ხდება პროვინციის საშუალო მიწათმფლობელების, მუნიციპალური ზედა ფენისადმი უკმაყოფილების გამოვლენის ერთ-ერთი ფორმა. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანული წყაროების მიხედვით, მათ არავითარი კავშირი არ ჰქონდათ ამ მოვლენებთან, მაინც ეპისკოპოს პავლე სამოსატელის კავშირი პალმირას დედოფალ ზინობიასთან, რომელიც რომს ებრძოდა, საწინააღმდეგოს ამტკიცებს.

დეციუსის იმპერატორად კურთხევისას ქვეყანა მძიმე მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი. მდ. რეინისა და მდ. დუნაის ნაპირებთან მიმდინარეობდა ბარბაროსების ჯარების თავმოყრა, რომელთაც გამუდმებული იერიშები მიჰქონდათ ქვეყნის სასაზღვრო პუნქტებზე. სულ უფრო და უფრო იზრდებოდა აჯანყების კერების რაოდენობა პროვინციებში, რაც ადგილებზე ახალ-ახალი იმპერატორების გაჩენით მთავრდებოდა. ყოველივე ამას ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური დაუძლურებაც ემატებოდა და, რაც ყველაზე საზარელია, შავი ჭირი, რომელიც იმპერიაში დაახლოებით თხუთმეტი წელი მძვინვარებდა. ქვეყნისათვის „საშიში სიმპტომები“ შეიმჩნეოდა სასულიერო ცხოვრებაშიც, რომელიც ახალი რელიგიების გაძლიერებაში გამოიხატებოდა. იმპერიაში გაბატონებული მდგომარეობა ახლა აღმოსავლურ

რელიგიებსა და კულტებს ენიჭებოდათ. მათ შორის წარმმართველი იუდაიზმი და ქრისტიანობა იყო, რომელთაც არ ჩამოუვარდებოდა მითრას, კიბელას, დიდი დედის, სერაპისის და ისიდას კულტები. ახ. 6. II ს. მოყოლებული უკვე თვალნათლივ გამოჩნდა თვით რომაული რელიგიის უსუსურობა, რომელიც, შეიძლება ითქვას, მარცხდებოდა ახალ კონკურენტებთან ბრძოლაში და მეორე პლანზე იწევდა.

ქვეყნისათვის ამ გაუსაძლის პირობებში ქრისტიანობა ძლიერდებოდა. რაც უფრო რთული ხდებოდა მდგომარეობა პროვინციებში, მით უფრო მაღე ვრცელდებოდა იქ ახალი მოძღვრება (განსაკუთრებით აზიასა და აფრიკაში). ფართოვდებოდა ეკლესიის გავლენა მოსახლეობაზეც. სწრაფად იცვლებოდა ქრისტიანული თემის შემადგენლობაც. სიმძიმე ახლა უკვე შეძლებულ ფენებზე გადადიოდა. III ს. რომაელ მებრძოლთა დიდი ნაწილი ქრისტეს მიმდევარი გახდა, რაც, თავის მხრივ, ქრისტიანთა რიცხვის ზრდასთან ერთად, აფართოებდა ახალი რელიგიის გეოგრაფიულ არეალს. რომს უკვე აღარ შეეძლო ქრისტიანობის იგნორირება. ქვეყნის სოციალურ სიმშვიდეს „საშიშროება“ ემუქრებოდა.

ფილიპეზე გამარჯვებიდან სამი თვის შემდეგ, დაახლოებით 249 წლის დეკემბრის ბოლოსა და 250 წ. იანვარში დეციუსმა გამოსცა ბრძანება, რომელიც ძირითადად ქრისტიანების წინააღმდეგ იყო მიმართული. ამ ცნობილი ედიქტის ტექსტი სამწუხაროდ შემორჩენილი არ არის, მაგრამ შესაძლებელია მისი შინაარსის აღდგენა დიონისე აღექსანდრიელის წერილებით, რომელიც შემონახულია ევსები კესარიელთან, კიპრიანეს წერილებითა და ტრაქტატის "De lapsis" (დაცემულები) და ბოლოს ორმოციოდე ეგვიპტური პაპირუსის საშუალებით.

ტექსტის მიხედვით, იმპერიის ყველა დაასახლებულ პუნქტში, როგორც ჩანს, დგებოდა კომისია ხუთი წევრისაგან, რომელთა მიზანს წარმოადგენდა სასამართლოსათვის წარედგინა ყველა მოქალაქე, რათა თითოეული მათგანისაგან მიეღწია ოფიციალური ღვთაებებისათვის მსხვერპლის შენირვა და იმპერატორის თაყვანისცემა. ამ ნაბიჯით იმპერიას სურდა ქრისტიანების გამოაშკარავება, ვინაიდან ქრისტიანული ეკლესიის კანონები კრძალავდა წარმართულ რიტუალებში ქრისტეს მიმდევრების

მონაწილეობას, რომელიც ჯერ კიდევ იერუსალიმის ცნობილ საეკლესიო კრებაზე იქნა მიღებული. ამავე კრებაზე დადგინდა თავშეკავება კერპებისათვის შენირული საზრდოსაგან (საქმეები, 15). ისინი ვინც დანიშნულ თარიღამდე არ შეასრულებდნენ აღნიშნულ რიტუალს, გასამართლებული იქნებოდნენ პასუხისმგებელი კომისიების მიერ, რომლებიც, თავის მხრივ, დაშინების, ციხეში ჩასმისა და წამების მეთოდებით, ქრისტიანებისაგან, სარწმუნოებისაგან განდგომას მოითხოვდნენ. მათ ვინც იმპერატორის ბრძანებას შეასრულებდა სპეციალური მოწმობა Libelli ექლეოდა, რომელშიც მათი ვინაობა იყო დაფიქსირებული. ედიქტით, როგორც ჩანს, სახელმწიფოს არ სურდა არავითარი რელიგიური კომპრომისი. დეციუსი ცდილობდა უზრუნველეყო პროვინციების დამორჩილება და ქრისტიანობის ამოძირვა, რომელიც რეგიონებს საშუალებას აძლევდა გადაეხვიათ სახელმწიფო ვალდებულებისაგან.

250 წლის ქრისტიანთა დევნა მეტნაკლები წარმატებით რომის ყველა პროვინციას შეეხო. სწორედ დეციუსის მიერ ქრისტეს მიმდევართა დარტევის პერიოდში ჩნდება პირველად ქრისტიანულ სინამდვილეში ახალი ტერმინი "lapsi"<sup>1</sup> – დაცემული, რომელიც მათ მიმართ იხმარებოდა, ვინც წამებას ვერ გაუძლო და შიშის ქვეშ იმპერატორის ბრძანება შეასრულა. „მსხვერპლინი“ ეწოდებოდათ მათ ვინც საკურთხეველზე საკმევლის დაწვით შემოიფარგლა და ცხოველების მსხვერპლშეწირვაში არ მიიღო

<sup>1</sup> კიპრიანეს ეპისკოპოსობის დროს კართაგენში ცნობილია შვიდი საეკლესიო კრება, რომლებიც ჩატარდა 251 წლის აღდგომის შემდგომ 252 წლის მაისში, 253-254 წწ. შემოდგომაზე, 254,255 და 256 წლების 1 სექტემბერს. პირველმა ოთხმა კრებამ განიხილა დეციუსის მიერ ჩატარებული დევნის დროს ნარმოქმნილ „დაცემულთა“ (lapsi) საკითხი, ხოლო სამმა კი ერეტიკოსების ნათლობა. მერვე კრების საკითხები, რომელიც 252 წელს იყო მოწვეული შედარებით უცნობია (P. Moceaux, Histoire de l'Afrique chrétienne, t. 2: 41-65. V. Saxe, Vielitur Frühjahr 257?, 251-253) პირველ ოთხ კრებაზე განსაზღვრულ იქნა „დაცემულთა“ რამდენიმე კატეგორია და მონანიების რამდენიმე ხარისხი, რომლის შემდგომაც ისინი კვლავ იქნებოდნენ მიღებულნი დედაეკლესის მიერ.

მონაწილეობა. „ტურიფიკატნელები“ – ბერძნული "thuri" – ეზო, ეზოდან განდევნილები, მათ ვინც შეძლეს აღმინისტრაციისა და მოსამართლების მოქრთამვის გზით ეყიდათ აუცილებელი დოკუმენტი Libelli – წიგნაკი. ისინი ვინც გმირულად იცავდნენ საკუთარ მრნამსს, თავის მხრივ, სხვადასხვა კატეგორიებად იყოფოდნენ. მათ ვინც უმაღლესი წამება – სიკვდილი მიიღეს „წამებულები“ ენოდებოდათ. ვინც საპყრობილები მოხვდა, ოღონდ სისხლი არ დაღვარა „აღმსარებლები“, ხოლო ვინც შიშს გაუძლო, იმ მომენტისათვის ყოველგვარი შედეგის გარეშე „დარჩენილები“ (გადარჩენილები).

მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ დევნას დასავლეთ პროვინციებში, გალიასა და ესპანეთში, არ ჰქონდა ის მრისხანე ხასიათი, როგორც აღმოსავლეთ პროვინციებში. ჩვენ შეგვიძლია ნაწილობრივ დავეთანხმოთ ამ მოსაზრებას, ვინაიდან, ერთი მხრივ, სარწმუნოებისათვის წამებულთა სახელები რომის დასავლეთ პროვინციებიდან გაცილებით ცოტაა შემონახული. მეორეს მხრივ, კართაგენის ეპისკოპოსის წერილიდან ჩვენ ვიგებთ, რომ გალია და ესპანეთი არ იყო დაცული დევნისაგან. პირიქით, ქრისტიანთა დევნა გალიაში შემოვიდა მთელი სიგრძე-სიგანითო – აღნიშნავს იგი. აქ მას იმდენად მკაცრი ხასიათი ჰქონდა, რომ მორწმუნეთა დაცემა ფართოდ გავრცელდა, ისევე როგორც ესპანეთში. მაგალითად ესპანეთში ლეონისა და ასტორგას ეპისკოპოსი ბასილიდი ყიდულობს მსხვერპლის შეწირვის მოწმობას (ბილეთს), ხოლო მისმა კოლეგამ მერიდიდან მარციალმა მსხვერპლი შეწირა კერპებს.

იმის გამო, რომ ქრისტიანთა რაოდენობა დასავლეთის პროვინციებში პროცენტულად გაცილებით ცოტა იყო აღმოსავლეთის პროვინციებთან შედარებით, გალიისა და ესპანეთის მაშტაბით დევნას პროცენტულად მცირე რაოდენობის მოსახლეობა განიცდიდა. რაც შეეხება ედიქტის გატარების სიმკაცრეს, ქრისტიანთა დევნის მეთოდები და ფორმები, პროვინციის გუბერნატორებზე იყო დამოკიდებული.

იტალიაში, ისევე როგორც საბერძნეთში, ანატოლიასა და სხვა პროვინციებში წამების უამრავი შემთხვევაა დაფიქსირებული. რომში ეპისკოპოსი ფაბიენი წამებულ იქნა 250 წ. 20 იანვარს.

ამასთანავე, დაჭერილ იქნა რამდენიმე მორწმუნე ქრისტიანი – დიაკვანი ნიკოსტრატუსი და სასულიერო პირები მაქსიმუსი და მოსე. ამას ემატება იმპერიის მსახურების მსხვერპლთა სახელები ცელერიუსისა და პართენიუსის სახით, რომლებიც ძველი მარტვილოლოგების შრომებში ფიგურირებენ.

ევსები კესარიელის „საეკლესიო ისტიორიამ“ (VI, 43) შემოგვინახა რომის ეპისკოპოსის კორნელიუსის წერილი ანტიოქიის ეპისკოპოსის ფაბიუსისადმი, რომლითაც ჩვენ ვიგებ, რომ დეციუსის მიერ ქრისტიანთა დევნისას რომში რჩებოდა 46 პრესვიტერი, 7 დიაკვანი, 7 იპოდიაკვანი, 42 აკოლუფა (მორჩილი), 52 შემლოცველი ადამიანი, მკითხველი, მეკარე და 1500-ზე მეტი ქვრივი და ძაბუნი (უძლური) (საეკლესიო ისტორია, VI, 43). ასეთივე სურათი იყო ალექსანდრიაში, დიონისე ალექსანდრიელის წერილის მიხედვით. ქრისტიანთა დევანას მასიური ხასიათი ჰქონდა ოღმოსავლეთის პროვინციებში. მაგალითად, სმირნაში ანამეს მღვდელი პიონიუსი, ეფესოში "Sept Dormants", პერგამოში – ეპისკოპოსი კაიპუსი, ანტიოქიაში – ეპისკოპოსი ბაბილასი. ალექსანდრე იერუსალიმელი გარდაიცვალა ციხეში. კიპრიანემ, გრიგოლი ნეოკესარიელმა (სასწაულმოქმედი), დიონისე ალექსანდრიელმა დევნას გაქცევით დააღწიეს თავი.

ძნელი დასადგენია დეციუსის ცნობილი ედიქტით გამონვეულ მსხვერპლთა რიცხვი, რომელთა შორისაც სამხედრო მოსამსახურებსაც ვხვდებით. მაგალითად, ჯარისკაცი პოლიევქტე მელიტენადან ევფრატზე.

აფრიკასაც შეეხმ იმპერიაში მიმდინარე პროცესები. დიონისე ალექსანდრიელი 17 ადამიანს ასახელებს (ევსები, საეკლესიო ისტორია, VI, 44). ასეთივე რიცხვი მოაქვს ლუკანეს – ცელერანესადმი კართაგენის ეკლესიისათვის მინერილ წერილში. აქვე უნდა აღინიშნოს კიპრიანეს წერილში (წერილი, 6) დაცული ცნობა, რომლითაც ვიგებთ, რომ ახალი მონოთეისტური რელიგიის მიმდევრებისათვის დამახასიათებელი იყო ერთმანეთის სიყვარული, გატანა, რომ ისინი გასაჭირები მყოფ ხალხს მარტო არ ტოვებდნენ და ნახულობდნენ ხოლმე ციხეში, სადაც დაშვებულნი იყვნენ პრესვიტერები და დიაკვნები.

დეციუსის მიერ 250 წ. გამოცემული ედიქტების შესახებ სხვა მოსაზრებაც არსებობს. კერძოდ, რომ ლიბელი, დეციუსის ედიქტი ეხებოდა არა მარტო ქრისტიანებს, არამედ რომის იმპერიაში მცხოვრებ ყველა ხალხს. მაგრამ ეს რომ ასე ყოფილიყო ედიქტი ძირითადად მაინც ქრისტიანებს გულისხმობდა, ვინაიდან სხვა კულტები არ ეწინააღმდეგებოდნენ მსხვერპლშენირვის რიტუალებს, ხოლო ებრაელები, რომელთათვისაც ქრისტიანების გარდა თავიანთ რწმენას შეეძლო ხელი შეეშალა დამორჩილებოდნენ ამ ედიქტს, როგორც ჩანს, ედიქტიდან იყვნენ ამოღებულნი. შესაძლოა ედიქტის მიზანს ქრისტიანების გამოვლენა წარმოადგენდა, რათა კანონიერი მიზეზი მიეღოთ გასწორებოდნენ მათ იმპერატორის ბრძანების შეუსრულებლობისათვის. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ვალერიანეს ედიქტში, აგრძელებდა რა დეციუსის პოლიტიკას, უკვე აღარ არის ბრძანება მსხვერპლშენირვის შესახებ. იგი უფრო შორს მიდის და უბრალოდ ქრისტიანების დასჯას მოითხოვს.

არსებობს აზრი იმის შესახებ, რომ დეციუსის დევნა არ იყო განსაზღვრული, სისტემატური პოლიტიკის შედეგი, რომ იგი ძირითადად გამოწვეული იყო ეგვიპტელი ქურუმების გამოსავლენად, რაც დეციუსის იმპერატორობამდე პერიოდის მოვლენებს ემყარებოდა. 250 წლის ედიქტს წინ უსწრებდა ანტიქრისტიანული აჯანყება ალექსანდრიაში. ცნობილია, რომ ასეთი გამოსვლები მხოლოდ ადგილობრივი ქრისტიანების წინააღმდეგ ტარდებოდა და საზოგადოების რადენიმე ცნობილი წევრის დასჯით მთავრდებოდა. თუ დეციუსმა ჩათვალა, რომ ედიქტი საჭირო იყო გავრცელებულიყო მთელს იმპერიაზე და აიძულებდა კიდეც შეესრულებინათ იგი, დევნის გამომწვევი მიზეზი უფრო ღრმად, მის პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ. დიონისე ალექსანდრიელი (ევსები, საეკლესიო ისტორია, VI, 41) სულაც არ აკავშირებს ალექსანდრიის დარბევას დეციუსის მიერ ქრისტიანების დევნასთან. პირიქით, მისი წერილიდან ნათელია, რომ ქრისტეს მიმდევრების დარბევის შემდეგ, წარმართებმა თავი დაანებეს მათ და ერთმანეთს დაერივნენ. და რომ მხოლოდ დეციუსის მოსვლის შემდეგ, მთელი ალექსანდრიელი ქრისტიანები ელოდებოდნენ დევნის დასაწყისს.

ასეთივე მდგომარეობა იყო კართაგენშიც. კიპრიანე კართაგენიდან წავიდა ჯერ კიდევ ედიქტამდე იქ დაწყებული ანტი-ქრისტიანული გამოსვლების გამო. როგორც ჩანს, სენატის პარტიის მიერ დასმული იმპერატორი უკვე ადრე იყო ცნობილი ქრისტიანთა მიმართ არაკეთილგანწყობით და როდესაც იგი ქვეყნის ერთპიროვნული მმართველი გახდა, ქრისტიანები უკვე ელოდნენ მის მიერ ახალი დევნის დაწყებას. ახალი რელიგიის მტრებმა იგრძნეს რა, რომ მათ უკან ძლიერი საყრდენი იყო, შესაბამისად, საჭიროდ ჩათვალეს ღიად და აქტიურად გამოსულიყვნენ ქრისტიანების წინააღმდეგ. იმპერიაში მეორე მონოთეისტური რელიგიის მიმდევრებზე ნადირობა, რომელიც დეციუსმა დაიწყო, შეწყვეტილ იქნა მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ.

### ვალერიანი (253-260 წწ.)

საიმპერატორო ტახტისათვის ბრძოლამ, რომელიც დეციუსის სიკვდილის შემდეგ მიმდინარეობდა, ქრისტიანებიდან თითქოს გადაიტანა ყურადღება. რამდენიმე წლის მოჩვენებითი სიწყნარე შეჩერებულ იქნა ქრისტეს მიმდევართა ახალი, უფრო სასტიკი დევნით, რომლის ინიციატორადაც ისევ სენატის პარტიის მიერ დასმული იმპერატორი ვალერიანე (253-260 წწ.) გვევლინება, რისი მტკიცების საფუძველსაც მის მიერ ქრისტიანების წინააღმდეგ გამოქვეყნებული ორი ოფიციალური ედიქტი გვაძლევს.

როგორც იმ ისტორიული ფონის შესწავლა გვაფიქრებინებს, რომელიც ედიქტის გამოქვეყნებას წინ უსწრებდა, ამ საკითხში გადამწყვეტ მომენტს ისევ და ისევ ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური სიტუაცია წარმოადგენდა. იმპერია ისევ დამლის საშიშროების წინაშე იმყოფებოდა. ვალერიანემ სიტუაციის განმუხტვა ქვეყნის დეცენტრალიზაციის ჩატარებით გადაწყვიტა. მან იმპერიის დასავლეთი ნაწილი ცენტრით რომში, გალიენუსს (253-268 წწ.) – თავის შვილსა და თანამპერატორს დაუტოვა, თვითონ კი აღმოსავლეთში გაემგზავრა და ანტიოქიაში დასახლდა. ვინაიდან იმპერატორი მათში პოლიტიკურ მონინააღმდეგებს ხედავდა, კვლავ დღის წასრიგში იდგა „ქრისტიანების საშიშროება“. სწორედ ამ მონოთეისტური რელიგიისაგან თავდაცვის მიზნით, 257 წ.

აგვისტოში ვალერიანემ გამოსცა ქრისტიანების წინააღმდეგ მი-  
მართული პირველი ედიქტი, რომელსაც სულ მალე 258 წ. შუა ხა-  
ნებში (აგვისტო) კიდევ უფრო მძიმე მეორე ედიქტი მოჰყვა.

პირველი ედიქტის შექმნასა და გამოქვეყნებაში, როგორც  
ესები კესარიელი გადმოგვცემს, გადამწყვეტი როლი იმპერა-  
ტორის მარჯვენა ხელს, მის მრჩეველს, აღმოსავლური კულტე-  
ბის დიდ თაყვანისმცემელს – მაკრიანუსს ენიჭება. იგი გატა-  
ცებული იყო ეგვიპტური მაგით და ყველანაირად ეხმარებოდა მათ  
მიმდევრებს, რომლებიც თავის მხრივ, კონკურენტს ხედავდნენ  
ქრისტიანებში და შემთხვევას არ უშვებდნენ ხელიდან, რომ მათ  
წინააღმდეგ გამოსულიყვნენ. ალექსანდრიაში არაერთხელ მომ-  
ხდარა ქრისტეს მიმდევართა დარბევა ამ ნიადაგზე. მაკრიანუსი  
ქვეყანაში სწორედ ეგვიპტელი მოგვების ინტერესების დამცვე-  
ლად გვევლინება, როდესაც იგი პირველად ილაშქრებს ქრის-  
ტიანების წინააღმდეგ და ურჩევს იმპერატორს ედიქტის გამო-  
ქვეყნებას. მაგრამ სწორი არ იქნებოდა ვალერიანეს პოლიტიკის  
განხილვისას შევზღუდულიყოვით მხოლოდ მაკრიანუსის როლით  
და იმპერატორზე მისი გავლენით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ,  
მნიშვნელოვან ფაქტორს პროვინციებში არსებული სიტუაცია  
წარმოადგენდა, ვინაიდან ზუსტად რომის პროვინციებში ძალა-  
უფლების მქონენი, კიპრიანეს მოწმობით (წერილი, 65), განსა-  
კუთრებით მოითხოვდნენ ქრისტიანთა დევნას.

257 წ. აგვისტოში გამოქვეყნებული პირველი ედიქტის მი-  
ხედვით, იდევნებოდა ყველა სასულიერო წოდების ქრისტიანი,  
ვინც მსხვებლს არ შენირავდა წარმართ ღმერთებს. სიკვდილის  
შიშით იკრძალებოდა ქრისტეს კულტის ქადაგება და კატაკომ-  
ბებში შეკრება. ედიქტის მიხედვით, ეპისკოპოსებსა და სასულიე-  
რო მოღვაწეებს ეკრძალებოდათ საეკლესიო მსახურება. ერთი  
წლის შემდეგ, 258 წ. აგვისტოში სენატის ინიციატივით, რომლის  
მიმართაც ვალერიანე პასუხისმგებელი იყო, გამოსცა კიდევ  
ერთი წერილი გუბერნატორებისათვის, რომელიც, თავის მხრივ,  
მოქმედების ინსტრუქციას წარმოადგენდა.

მეორე ედიქტი, კიდევ უფრო ამწვავებდა არსებულ კანონს.  
იგი მოითხოვდა დაესაჯათ უმაღლესი ფენების წარმომადგენელი  
ქრისტიანები. ქრისტეს რჯულის აღმსარებელ სენატორებს ერთ-

მეოდათ თავიანთი უფლებები და წოდებები. მათი ქონება კონფისკაციას ექვემდებარებოდა, ხოლო თვითონ ისინი იგზავნებოდნენ მძიმე სამუშაოებზე.

როგორც ვხედავთ, მეორე ედიქტი, ძირითადად მაღალი წოდების ქრისტიანების წინააღმდეგ იყო მიმართული. ნათელია, რომ მათი განადგურებით იმპერატორს ქრისტიანობის ამოძირკვა სურდა, ვინაიდან ისინი პოლიტიკურ მოწინააღმდეგებად მოიაზრებოდნენ. იმპერატორს ესმოდა, რომ ძლიერი რელიგიის არსებობა ძლიერი ორგანიზაციის გარეშე შეუძლებელია. შესაბამისად, ეპრძოდა რა ქრისტანულ ორგანიზაციას, იმავდროულად ეპრძოდა ქრისტიანულ რიელიგიასაც. იმპერატორი ცდილობდა გაენადგურებინა ოპოზიციურად განწყობილი ზედა ფენა. იმავდროულად, სახელმწიფო ხაზინა უნდა შევსილიყო მდიდარი ქრისტიანების ქონების კონფისკაციის ხარჯზე. ეს ორგანიზაცია უნდა გაენადგურებინათ მისი ხელმძღვანელების – კლირების უმაღლესი წარმომადგენლების ჩამოშორებით.

ედიქტები იმპერიაში მთელი სიმკაცრით სრულდებოდა. რომში წამებულ იყო ეპისკოპოსი სიქსტი II და მრავალი დიაკვანი, გარდაცვლილთა შორის ვხვდებით რომის არისტოკრატიის წარმომადგენლებსაც. დასავლეთის პროვინციებშიც საკმაოდ იყვნენ ქრისტიანობისთვის წამებულები. მაგალითად, კასიუსი და ვიქტორენე კლერმონიდან. ესპანეთში 259 წ. იანვარში ეპისკოპოსი ფრუქტუსუსი ტარაგონადან ცოცხლად დაწვეს ორ დიაკვანთან ერთად.

ედიქტების შესრულება განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა აღმოსავლეთის პროვინციებსა და აფრიკაში, სადაც ქრისტიანობა თითქმის წარმმართველ რელიგიას წარმოადგენდა. 258 წ. ხალხის დარბევა წარმოებდა ლამბეზში, წამებულთა შორის ვხვდებით კართაგენის ეპისკოპოს კიპირიანეს. წმინდა კიპირიანეს 258 წ. 14 სექტემბერს თავი მოკვეთეს. 258 წ. 23 მაისს კართაგენში დასჯილ იქნა მრავალი ქრისტიანი. აფრიკაში ხალხის დარბევა გრძელდებოდა 260 წლამდე. ასეთივე მდგომარეობა იყო პალესტინაში, ეგვიპტეში, კაპადოკიასა და აღმოსავლეთის სხვა პროვინციებში.

ვალერიანეს მიერ ჩატარებულმა ქრისტიანების დევნამ უკუშედეგი გამოიღო, მოხდა ის რისიც იმპერატორსა და პროვინ-

ციების მმართველებს ყველაზე მეტად ეშინოდათ. დაიწყო ეკლესიის ცენტრალიზაციის პროცესი. ეკლესიის პოზიციები კი-დევ უფრო გამყარდა. 257-258 წწ. დევნას, შეიძლება ითქვას, მორწმუნები მომზადებულნი შეხვდნენ, ვინაიდან მათთვის იგი უცხო ხილს არ ნარმოადგენდა. დევნას არ გამოუწვევია „დაცე-მულების“ ახალი ტალღის გაჩენა, რისი ერთ-ერთი მიზეზიც, დროის ის მცირე მონაკვეთი იყო, რომლის განმავლობაშიც ქრისტიანთა ორ უდიდეს დევნას ჰქონდა ადგილი.

## გალიენი (253-268 წწ.)

ვალერიანეს შემდგომ იმპერიის ტახტი მის შვილს გალიენუსს დარჩა (253-268 წწ.). იგი ალექსანდრე სევერუსის შემდგომ, რომის ერთ-ერთ პირველ მმართველად გვევლინება, რომელმაც, შეიძლება ითქვას, ეკლესიის მიმართ შეცვალა დამოკიდებულება და ქრისტიანების რელიგიური შემწყნარებლობა გამოაცხადა, როდესაც თავისი მმართველობის დასაწყისში (262 წელს) გამოსცა სპეციალური ედიქტი, ცნობილი როგორც ეგვიპტის საეპისკოპოსოსადმი მიმართვა. მიუხედავად იმისა, რომ ამ დოკუმენტს კონკრეტული ადრესატი ჰყავდა, სავარაუდოა, რომ იგი მაინც მთელ იმპერიაზე ვრცელდებოდა, ვინაიდან ოფიციალურ დოკუმენტს წარმოადგენდა. ედიქტის მიხედვით, იმპერატორი ბრძანებდა აღედგინათ ქრისტიანების სამლოცველოები, სასაფლაოები და საეკლესიო საზოგადოებები. ეპისკოპოსები კი უფლებამოსილნი იყვნენ ოფიციალურად ეხელმძღვანელათ მათთვის, ყოველივე ამის გამო, III ს. II ნახევრის ერთ მონაკვეთს, განსაკუთრებით კი გალიენუსის იმპერატორობის პერიოდს, „ეკლესიაში მცირე სიმშვიდის ხანას“ უწოდებენ.

საინტერესოა, რამ გამოიწვია ქრისტიანობისადმი იმპერატორის ასეთი ლოიალობა. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობდა. პირველი – ქვეყანაში არსებული საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარება. იმპერიის შიგნით არ ცხრებოდნენ პროვინციები, რაც საბოლოოდ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში ადგილობრივი იმპერატორების რიცხვის ზრდით მთავრდებოდა. რაც შეეხება საგარეო ვითარებას – რომი გაწამებული იყო ბარ-

ბაროსების შემოსევებით და გალიენუსს ხელს არ აძლევდა იმპერიაში ამდენი უკმაყოფილოს არსებობა. მეორე მიზეზიც ასევე პოლიტიკური ხასიათისა იყო, როგორადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ პალმირას – სირიის უმდიდრესი კუთხის გაძლიერება, რაც პუბლიუს სეპტიმიუს ოდენატეს სახელთან იყო დაკავშირებული. ქვეყანაში სიმშვიდე როგორც არასოდეს ისე ესაჭიროებოდა რომს. მესამე მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს იმპერატორის ქრისტიანი მეუღლე, რომლის შესახებაც ცნობები უფრო გვიანი საეკლესიო წყაროებიდან მოგვეპოვება.

## ავრელიანი (270-275 წწ.)

„ეკლესიაში მცირე სიმშვიდე“ არ დარღვეულა არც ავრელიანეს (270-275 წწ.) იმპერატორობის პირველ პერიოდში. ავრელიანე იყო პიროვნება, რომელიც საკმაოდ ძლიერ პოლიტიკოსად მოიაზრება. იმპერიის ამ ენერგიულმა მმართველმა შეაჩერა ალანების წინსვლა იტალიაზე, გაანადგურა ტეტრიკუსი, დაიპყრო ეგვიპტე, დაიკავა დარჩენილი სირია და პალმირას სამეფო.<sup>1</sup> რაც შეეხება რომს, მან ქვეყნის დედაქალაქს ახალი – ავრელიანეს კედელი შემოარტყა (merus Aureliani), რომლის ნანგრევები დღემდება შემორჩენილი.<sup>2</sup>

<sup>1</sup> ავრელიანეს განსაკუთრებული დიდება პალმირას სამეფოს დაპყრობამ მოუტანა. ზინობიას (პუბლიუს სეპტიმიუს ოდენატეს ქვერივი) დროინდელი პალმირა გადაჭმიული იყო პალმირას სამხრეთიდან მესოპოტამიადე. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია პალმირას სამეფოში სრული შემწყნარებლობით სარგებლობდა ყოველგვარი რელიგიური მოძღვრება. მთელ რეგიონში ქრისტიანული თემები აყვავებას გახიცდიდნენ. სირიულ ენაზე ითარგმნა ბიბლია, რომელიც „პეშიტას“, ანუ „უბრალოს“ სახელით არის ცნობილი და დღესაც უდიდესი როლი ენიჭება ბიბლიის უძველესი ტექსტის რეკონსტრუქციისათვის. გნოსტიკოსმა ბარდეზანმა უდიდესი კვალი დატოვა ისტორიაში ამ თარგმანის გამო, IV საუკუნის პირველ ნახევარში ედესაში აღმოცენდა სირიული ეფრემის სკოლა. ეს იყო ეგზიტიკური ლიტერატურის დიდი აღმავლობის პერიოდი.

<sup>2</sup> რომის, როგორც ხმელთაშუაზღვისპირეთის იმპერიის რესტავრაცია III საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება, რომელიც გალიენუსის მე-

თავისი მმართველობის დასაწყისში ავრელიანე შესაძლოა წინასწარმეტყველებდა რა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კავშირის მომგებიანობას, ქრისტეს მიმდევრებისადმი საკმაო ლიოალობას იჩენდა. ამ პერიოდში მან გადადგა კიდეც მომგებიანი ნაბიჯი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით, დაეხმარა რა რომის ქრისტიანულ ეკლესიას ერეტიკოს პავლე სამოსატელის წინააღმდეგ ბრძოლაში, როდესაც მისი კავშირი პალმირას დედოფალ ზინობიასთან აშკარა გახდა.

ავრელიანეს დამოკიდებულება ქრისტიანებისადმი უფრო ნათელი გახდა მაშინ, როდესაც საქმე ქვეყნის სიმშვიდეს შეეხო. ამ პერიოდში დაიწყო ხალხის მღელვარება ქვეყნის დედაქალაქსა და პროვინციებში, რომლებიც იმპერატორმა მთელი სისასტიკით ჩაახშო. აქვე უნდა აღინიშნოს მის მიერ გადადგმული ნაბიჯი ქვეყნის საერთო დამონებისაკენ. ზოგიერთი წყაროს მიხედვით (ლაქტანციუსი, ევსები), თავისი მმართველობის ბოლო წელს ავრელიანემ გამოსცა *cruenta edicta* – სისხლიანი ედიქტი, რომელიც ყველა ქრისტიანისაგან ქრისტიანობის უარყოფას და მსხვერპლ-შენირვას მოითხოვდა. ევსები უფრო ფრთხილად საუბრობს ამ საკითხზე. კერძოდ იგი აღნიშნავს, რომ ავრელიანემ შეცვალა ქრისტიანებისადმი დამოკიდებულება, გადაწყვიტა რა გამოეცა ედიქტი, რომელიც მათ წინააღმდეგ იყო მიმართული, მაგრამ ღვთის ნებით იგი გარდაიცვალა. ედიქტი თუ მართლა გამოიცა, იგი გამოიცემოდა ავრელიანეს იმპერატორობის ბოლო წელს, მის გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე.

---

მკვიდრის – კლავდიუს II გოთელს (268-270 წწ.) მიეწერება, რაც მის მნიშვნელოვან სამხედრო წარმატებებთან იყო დაკავშირებული. ავრელიანე (270-275 წწ.), პრობუსი (276-282 წწ.) და დიოკლეტიანე (284-305 წწ.) კლავდიუსის იმპერიის რესტავრატორული პოლიტიკის გამგრძელებლებად გვევლინებიან, რომლებიც ახალ პერიოდს იწყებენ რომის იმპერიაში, რაც გვიანი, ანუ ახალი იმპერიის სახელით არის ცნობილი. ყველა ჩვენ მიერ ჩამოთვლილი იმპერატორი სახელმწიფო რეფორმებით იწყებდა, რომლებმაც, თავის მხრივ, შესაძლებელი გახადეს კლავდიუსის, ავრელიანესა და პრობუსის ბრწყინვალე გამარჯვებები.

ავრელიანე იმავდროულად, შეიძლება ითქვას, ატარებს რელიგიურ რეფორმას. იგი რომის წარმართობისათვის დამახასიათებელ უამრავ ღმერთს აერთიანებს ერთ „უძლეველი მზის კულტში“, რომელსაც, თავის მხრივ, ტენდენცია ჰქონდა მონოთეიზმისაკენ და, რომელიც ქვეყანაში ყველაზე გავრცელებულ ღვთაებას წარმოადგენდა. მან რომში, მარსის მოედანზე, აღმართა კიდეც იმპერიის უმაღლესი ღვთაებისა და მფარველის „უძლეველი მზის“ ("Sol invictus") ტაძარი. პარალელურად ქვეყანაში დაიწყო უძლეველი რომაული ტაძრების აღდგენა, რაც იმპერატორის ახალი პოლიტიკის შედეგს წარმოადგენდა. ყოველივე ეს კი განსაზღვრულ მიზანს ემსახურებოდა – მსოფლიო იმპერიისათვის მოიძებნა ერთიანი რელიგია, მიეცა მისთვის რელიგიური საფუძველი, რითაც ქვეყნის შერყეულ ძალაუფლებას გაამაგრებდა, რაც საბოლოოდ 274 წ. მზის კულტის სახელმწიფო ოფიციალურ კულტად აღიარებით დამთავრდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იმპერატორის განზრახვას რეალიზაცია არ ეწერა. სპარსეთის წინააღმდეგ ომის სანარმოებლად გამგზავრებული ავრელიანე სამხედრო შეთქმულების მსხვერპლი გახდა, რომლის ავტორებადაც სენატის დაჯგუფება მოიაზრება.

## **დიოკლეტიანი (284-305 წწ.)**

ქვეყანაში არსებული სიტუაცია, რომელიც ქრისტიანებს სიმშვიდეს უქადდა და ჯერ კიდევ გალიენუსის დროს დაიწყო, დაახლოებით 40 წელს გაგრძელდა, რასაც საბოლოოდ ქრისტიანთა ყველაზე მძიმე, მანამდე არნახული დევნა მოჰყვა რომის იმპერიაში, რაც იმპერატორების დიოკლეტიანესა (284-305 წწ.) და გალერიუსის (293-311 წწ.) სახელებს უკავშირდება. ამ ორმა იმპერატორმა რამდენიმე ედიქტი გამოსცა ქრისტეს მიმდევრების წინააღმდეგ.

284 წ. რომის იმპერიის ტახტზე ადის გაიუს ვალერიუს ავრელიუს დიოკლეტიანე (284-305 წწ.), დალმაციელი გააზატებული მონის შვილი. კასიუსის სიკვდილის შემდეგ 284 წ. 17 სექტემბერს ქ. ქალკედონში ჯარისკაცებმა იგი იმპერატორად აღიარეს. დაიწყო ე.წ. „დიოკლეტიანეს ერა“ რომის იმპერიის ისტორიაში.

დიოკლეტიანე არ გამოირჩეოდა დიდი სამხედრო ნიჭით. მას განათლებაც საკმაოდ მოკრძალებული ჰქონდა მიღებული, მაგრამ გააჩნდა არაჩვეულებრივი ორგანიზატორული და ადმინისტრაციული ნიჭი, პრაქტიკული ჭკუა და რკინისებური ნებისყოფა. ბუნებით კონსერვატორი იმპერატორი ეჭიდებოდა ძველ წესებსა და იდეებს და მიდრეკილი იყო სქემატურობისაკენ, რაც განსაკუთრებით გამოვლინდა რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც შემდგომში მისი პიროვნების შეფასებისას საბედისწერო ხდება.

დიოკლეტიანე არ განეკუთვნებოდა მეოცნებე იმპერატორთა რიცხვს. იგი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე რჩებოდა დაუდგრომელ ჯარისკაცად და პრაქტიკულ პოლიტიკოსად. იყო სიტყვის კაცი, რაც ყველაზე ნათლად იმპერატორის ტახტის დატოვებაში გამოვლინდა. დიოკლეტიანემ არ უღალატა მიცემულ სიტყვას და 305 წ. 1 მაისს, თავისი იმპერატორობის ოცი წლის-თავის ზეიმის დროს, მოიხსნა საიმპერატორო ვალდებულება. იმავდროულად, იყო რა გარკვეულწილად ამბიციური პიროვნება, მოითხოვდა, რომ იგი ღვთაებრივი თაყვანისცემის საგანი ყოფილიყო.<sup>1</sup> იმპერატორი მთელი სისასტიკით ებრძოდა უცხო რელიგიებს მანიქეველობისა და ქრისტიანობის სახით. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მიზეზი ამ ორი აღმოსავლური რელიგიის დევნისა აბსოლიტურად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.

დიოკლეტიანე ქვეყნის რესტავრატორული პოლიტიკის გამგრძელებელი იყო, რასაც შესანიშნავად ართმევდა თავს. მას საკმაოდ მძიმე ვითარებაში ჩავარდნილი ქვეყანა ერგო. უპირველეს ამოცანას იმპერიის საზღვრების გაძლიერება წარმოადგენდა და მანაც სწორედ აქედან დაიწყო. თავისი იმპერატორობის დასაწყისში წარმატებას მიაღწია დუნაიზე. 290 წ. განშინდა სირია არაბებისაგან. დიოკლეტიანემ გაიმპერატორობისთანავე დაიწყო სახელმწიფო რეფორმების გატარება (ადმინისტრაციული, სამხედრო, საგადასახადო, ფინანსური...), იმპერიის დასავ-

<sup>1</sup> დიოკლეტიანე ატარებდა იოვიუსის (Iovius – იუპიტერიდან წარმოებული) ტიტულს.

ლეთის პრობლემების მოგვარების საკითხი თავის მეგობარ მარკუს ავრელიუსს ვალერიუს მაქსიმიანეს<sup>1</sup> (285-305 წწ.) მიანდო. 285 წელს იგი კეისრად დანიშნა, ხოლო ერთი წლის შემდეგ ავგუსტუსობა უბოძა. შედეგად ქვეყანამ ორი იმპერატორი მიიღო, რის შემდეგაც ყველა ბრძანება ორივეს სახელით გამოდიოდა.

293 წლისათვის ნათელი გახდა, რომ ორ იმპერატორს გაუჭირდებოდა გადაეწყვიტა ქვეყნის საშინაო და საგარეო სირთულეები, რის გამოც თითოეულმა მათგანმა დაინიშნა თანაშემწე (კეისარი). ეს დანიშვნები ჩატარდა ერთსა და იმავე დღეს, 293 წლის 1 მარტს. დიოკლეტიანემ ნიკომედიაში თავის კეისრად დანიშნა გალერიუსი (293-311 წწ.). ხოლო მაქსიმიანემ კონსტანციუს I ქლორუსი (293-306 წწ.). მიუხედავად იმისა, რომ კეისრები მხოლოდ იმპერატორების თანაშემწეები იყვნენ, თითოეული მათგანი სამართავად იმპერიის გარკვეულ ტერიტორიას იღებდა. შესაბამისად, სახელმწიფო ოთხ ნაწილად აღმოჩნდა გაყოფილი. დიოკლეტიანე მართავდა თრაკიას, აზიას, სირიასა და ეგვიპტეს. გალერიუსი ბალკანეთის ნახევარკუნძულს თრაკიის გარდა, მაქსიმიანე იტალიას, ესპანეთსა და აფრიკას, კონსტანციუს I ქლორუსი გალიასა და ბრიტანეთს. ისტორიაში მმართველობის ეს სისტემა „ტეტრარქიის“ (ოთხთა მმართველობა) სახელით შევიდა. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ არც ერთმა იმპერატორმა რომი არ აირჩია თავის სატახტო ქალაქად. დიოკლეტიანე ცხოვრობდა ნიკომედიაში, გალერიუსი სირმიუმში, მაქსიმიანე – მილანში, კონსტანციუს I ქლორუსი კი ტრევირში (ახლანდელი ტრირი).

დიოკლეტიანემ იმპერია ახალი პოლიტიკური პრინციპით დაანაწილა. მან რომის სახელმწიფო დიოცეზებად დაყო (ბერძნული სიტყვისაგან "diocesis" – მმართველობა). სულ 12 დიოცეზი იყო: 1. აღმოსალეთი (ეგვიპტე, კირენაკა, სირია, მესოპოტამია, არაბეთი), 2. პონტო, 3. აზია (მცირე აზია), 4. თრაკია (თრაკია და ქვემო მეზია), 5. მეზია (ქვემო მეზია, აქაია, ეპირი და კრეტა), 6. პანონია და ნორიკი, 7. იტალია (სიცილიითურთ), 8. ვიენა (სამხრეთ

<sup>1</sup> დიოკლეტიანესთან ერთად მაქსიმიანეც ატარებდა დვთაებრიობის ტიტულს – ჰერკულიუსს (Hercilius – ჰერკულესიდან წარმოებული).

გალია), 9. გალია, 10. ბრიტანეთი, 11. ესპანეთი, 12. აფრიკა (კი-რენაიკიდან ატლანტის ოკეანემდე).

ძალაუფლების ასეთმა დაყოფამ პირველ პერიოდში დადებითი შედეგი გამოიღო. დიოკლეტიანე აქტიურად მოქმედებდა, მან ჩაახშო ბაგაუდების აჯანყება მილანში, ბლემიების აჯანყება ეგვიპტეში (296 წ.). შემდეგ დაიწყო ბრძოლა სასანიანთა სპარსეთის წინააღმდეგ, რომელმაც აიღო არმენია და მესოპოტამია. მათთან საბრძოლველად ჯერ გალერიუსი იქნა გაგზავნილი, რომელიც დამარცხდა, მაგრამ შემდგომ დიოკლეტიანეს დახმარებით რომაელებმა დაიკავეს არმენია. სპარსეთთან ზავის დადების შედეგად კი იმპერიამ მესოპოტამიის დიდი ნაწილი ჩაიგდო ხელთ (297 წ.). მანამდე გალერიუსმა იაზიგებთან და კარპებთან ომის შედეგად, გაამაგრა იმპერიის დუნაისპირეთის საზღვრები. მაქსიმიანე წარმატებით იბრძოდა მავრიტანიული ტომების წინააღმდეგ აფრიკაში (296 წ.). კონსტანციუს I ქლორუსმა გაანადგურა კარაუზიის მემკვიდრე ალექტი, წაართვა რა მას გალების ნავსადგური და ბრიტანეთი. ასეთივე წარმატებით მოქმედებდნენ იმპერიის დანარჩენი მმართველებიც. ასე რომ, III საუკუნის ბოლოსათვის თითქმის მთელი იმპერიის ტერიტორიაზე ლიკვიდირებული იყო სეპარატისტული მოძრაობები. იმავდროულად, გამაგრებული იქნა ქვეყნის საზღვრები, რომლებიც კიდევ უფრო გაიზარდა.

დიოკლეტიანეს შორსმჭვრეტელ საშინაო და საგარეო პოლიტიკას წითელ ზოლად გასდევს მისი ქვეყნის რელიგიური საკითხისადმი არასწორი დამოკიდებულება. III ს. რომის იმპერიაში არსებული საერთო რელიგიური სურათი, არც დიოკლეტიანეს მმართველობის დროს შეიცვალა. ქვეყანაში წარმმართველ რელიგიებად ისევ იუდაიზმი და ქრისტიანობა რჩებოდა. რაც შეეხება წარმართულ პანთეონს, აյ მნიშვნელოვან როლს, ისევ აღმოსავლური ლვთაებები თამაშობდნენ. კვლავ არსებობდა იმპერატორის კულტი, რომლის თაყვანისცემა ქვეყნის პოლიტიკურ თუ რელიგიურ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ რომის არისტოკრატია, ძირითადად ერთგული რჩებოდა ტრადიციებისა და თაყვანს სცემდა ძველ რომაულ კულტებს, ქვეყნის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი მაინც ქრისტიანულ რელიგიას ენი-

ჭებოდა. არსებობს მოსაზრება იმპერატორ დიოკლეტიანეს ცოლი-სა და ქალიშვილის ქრისტიანული აღმსარებლობის შესახებ.

როგორც აღვნიშნეთ, დიოკლეტიანეს გადაწყვეტილი ჰქონდა რომის ძველი დიდების აღდგენა, რისი მიღწევაც ერთიანი სახელმწიფო რელიგიის გარეშე შეუძლებელი იყო. გამჭრიაბი, ანალიტიკური გონების მქონე იმპერატორი ამას კარგად ხედავდა და შესაბამისად, არჩევანის წინაშე იდგა – დაბრუნებოდა ძველ, უკვე დრომოქმულ კულტებს, თუ თავისი ხალხისთვის შეეთავაზებინა ახალი რელიგიური სამყარო. ბუნებით კონსერვატორი იმპერატორი, შეიძლება ითქვას, სწორ გათვლას ვერ აკეთებს და აქცენტს მზარდ, საყოველთაოდ მისაღებ ახალ მონოთეისტურ მოძღვრებაზე კი არ აკეთებს, არამედ რომის უძველეს წარმართულ ღვთაებებზე, რომელთა საშუალებითაც იმედოვნებს, რომ გააძლიერებს იმპერიას და განამტკიცებს მის საგარეო პოლიტიკას. ამ შემთხვევაში იმპერატორს გაცნობიერებული არ ჰქონდა ის მომენტი, რომ ძველი რომაული ღვთაებების ბატონობის ხანა კარგა ხანია დასრულდა და მათკენ მობრუნება ისტორიული პროცესის შემობრუნების ტოლფასი იყო. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რელიგიური საკითხი დიოკლეტიანეს პოლიტიკაში ყველაზე სუსტ როლს წარმოადგენდა, რისი შედეგიც სავალალო აღმოჩნდა ქვეყნის სოციალური ცხოვრებისათვის. გაერთიანების მაგივრად მიღებულ იქნა კიდევ უფრო დიდი, მანამდე არნახული დაქსაქსვა, ვინაიდან პროგნოზების ორთოდოქსალურ ქრისტიანობას წელნელა სასახლის კარის არისტოკრატია უპირისპირდება, რაც შეუძლებელია არ ასახულიყო ქვეყნის საშინაო ცხოვრებაზე, რომლის უმნიშვნელოვანეს ფაქტორადაც თვით იმპერატორი გვევლინება.

დიოკლეტიანე ებრძოდა ყოველგვარ ახალ მოვლენას ქვეყნის რელიგიურ ცხოვრებაში. ამ ფონზე არ არის გასაკვირი მისი რეაქცია იმპერიისათვის უცხო რელიგიების, მანიქეველობისა და ქრისტიანობისადმი.

მანიქეველობას საფუძველი რომის იმპერიის მეზობელ ქვეყანაში – სპარსეთში ეყრება III ს. შუა ხანებში. რელიგიის შემქმნელად გვევლინება მანი (215-277 წწ.), რომელიც წამებით მოკლული იქნა სპარსეთის მეფის ბაჰრამ I (სასანიანთა დინასტია)

ბრძანებით 277 წ. მანის სწავლება ჩვენთვის ძირითადად ცნობილია ეგვიპტისა და ჩინეთის, თურქესტანის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მანუსკრიპტების მეშვეობით, რომელთა ნაწილი მოძღვრების შექმნის პერიოდს განეკუთვნება, ხოლო ნაწილი VIII ს-ს. ჩვენამდე მოაღწია არაბი მწერლების თხზულებებმა, რომელთაგან ყველაზე ადრინდელი IX ს. თარიღდება და იმ ქრისტიანი ავტორების შრომებმა, რომლებიც ძირითადად მანის დოქტრინის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. უმნიშვნელოვანეს ძეგლს წარმოადგენს ე.წ. *Acta Archelai*, რომელიც მანიქეველობის შესასწავლერთ-ერთ უძველეს წყაროდ მოიაზრება, ამიტომ ორიოდ სიტყვით შევჩერდებით მასზე.

*Acta Archelai* ჩვენამდე ნაწილობრივ ბერძნულ, ნაწილობრივ ლათინურ ენაზე მოაღწია. მას ძირითადად III ს. ბოლოსა და IV ს. დასაწყისს მიაკუთვნებენ. ა.ლ. კაცი *Acta Archelai*-ს 296-303 წწ. ათარიღებს, თვლის რა მას დიოკლეტიანეს მიერ მანიქევლების წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლის იდეოლოგიურ დოკუმენტად. ჰ. პიუში და ა. ჰარნაკი კი IV ს. მეორე მეოთხედში ნიკეის I მსოფლიო კრების შემდგომ პერიოდში შექმნილ ძეგლად მოიაზრებენ.

*Acta Archelai*-ის მიხედვით, შესაძლებელი ხდება მანის მოძღვრების სოციალური ასპექტის შესწავლა. ჩვენ ნაშრომის შინაარსის გადმოცემისაგან თავს შევიკავებთ. უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ ამ ძეგლში შეიძლება გამოიყოს სამი ძირითადი ნაწილი. 1) სწავლება დუალიზმის შესახებ, 2) კოსმოგონიური მითი და 3) სწავლება სულის შესახებ.

მანის სიკვდილიდან ძალიან მალე მანიქეველობა გავრცელდა საპროკონსულო აფრიკაში (*Africa proconsularis*), საიდანაც III ს. 70-იანი წლების ბოლოს შევიდა რომის იმპერიაში და, როგორც ჩანს, ფართოდ მოიკიდა ფეხი. იგი სინკრეტულ რელიგიას წარმოადგენდა, რომელიც აერთიანებდა ირანულ ზოროასტრიზმს, ქრისტიანობას (მის გნოსტიკურ ფორმებში), ბუდიზმს და გვიანანტიკური ხანის ფილოსოფიურ სწავლებას. მანი თავის წინამორბედად ბუდას, ზარატუშტრას და იესოს თვლიდა. მანიქეველობის საფუძველს სამყაროს დუალისტური გაგება წარმოადგენდა.

მანის მოძღვრება ყველაზე მეტად რომის იმპერიის დაბალ ფენებსა და სოფლის მოსახლეობაში გავრცელდა, განსაკუთრე-

ბით რომის აღმოსავლეთ პროვინციებში. იგი აინტერესებდა განათლებულ ხალხსაც, ვინაიდან შეიცავდა ანტიკური ფილოსოფიის, კერძოდ ნეოპლატონიზმის იდეებსაც, მაგრამ ამ მოძღვრების საიდუმლო მისტიკურმა ცერემონიებმა ქვეყნის დაწინაურებულ ფენებში ფეხი ვერ მოიკიდა.

როგორც ვხედავთ, მანიქეველობა თავისი არსით განსხვავდებოდა რომის იმპერიაში არსებული რელიგიებისაგან. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ იგი იმპერიაში რომის წინააღმდეგ საომარ მოქმედებაში მყოფი ქვეყნიდან შედის, რის გამოც შესაძლოა იმპერატორმა მანიქეველობა თავიდანვე აღიქვა, როგორც ქვეყნისათვის მიუღებელი მოძღვრება, ხოლო მისი მიმდევრები, როგორც იმპერიაში არსებული მეხუთე კოლონა. ჩვენ მიერ გამოთქმულ მოსაზრებას განამტკიცებს მანიქეველების წინააღმდეგ 297 წ. 31 მარტს გამოცემული ედიქტი, რომელიც ორ საინტერესო მომენტს შეიცავდა: 1) რომ მანიქეველობა რომში შეიქრა სპარსეთიდან და 2) რომ იგი მეამბოხეთა სექტაა, რომელმაც ჯერ კიდევ სპარსეთს მიაყენა ბევრი ბოროტება (Cod. Greg. XIV,4). თუ ჩვენ რომის იმპერიაში არსებულ მოვლენათა მსვლელობას თვალს გავადევნებთ, დავინახავთ, რომ იმპერატორ დიოკლეტიანეს მიერ 297 წ. გამოცემული ედიქტი ყოველივე ამის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენდა, ვინაიდან არც ერთი მოაზროვნე ქვეყნის მმართველი არ დაუშვებდა იმპერიისათვის მიუღებელი რელიგიის გავრცელებას თავის სამფლობელოში. შედეგად, მანის მიმდევრები რომში კანონგარეშე გამოცხადდნენ და დაიწყო მათი დევნა. ზემოაღნიშნული ედიქტის მიხედვით, მანის მოძღვრების შესახებ წიგნები უნდა დამწვარიყო. სასულიერო პირნი სასამართლოებს უნდა გადაცემოდნენ და მაღაროებში სამუშაოდ გაეგზავნათ. მათი ქონება კი კონფისკაციას დაექვემდებარებოდა.

მანიქეველობის წინააღმდეგ ილაშქრებდა არა მარტო იმპერია, არამედ ორთოდოქსალური ქრისტიანული ეკლესიაც. მიუხედავად იმისა, რომ მანის მოძღვრება დამოუკიდებელ რელიგიას წარმოადგენდა, ქრისტიანული ეკლესის წარმომადგენლები მას ერესის (მწვალებლობის) სახელით მოიხსენიებდნენ. მხედველობაში გვაქვს ევსები კესარიელის „საეკლესიო ისტო-

რია“ (VII, 31), რაც რიგ მკვლევართ საფუძველს აძლევს ივა-რაუდონ, რომ მანიქეველობა რომის იმპერიაში ქრისტიანული ერესის ფორმით იყო გავრცელებული.<sup>1</sup>

<sup>1</sup> III ს. ბოლოსათვის ქრისტიანულ ეკლესიაში რამდენიმე ერესი არ-სებოდა, რაც ქრისტიანული მოძღვრების ძირითად დოგმატურ საკითხებზე მსჯელობის შედეგს ნარმოადგენდა. ევსები კესარიელის მიხედვით, ერესები იმპერიაში ერთი მეორის მიყოლებით ჩნდებოდა. ფილასტრიუსი თავის თხზულებაში „ერესების შესახებ“ ქრისტიანულ ეკლესიაში 150 ერესს ითვლიდა. ერესებად მოიაზრებოდა ყველა ქრისტიანული რელიგიური სექტა, რომელიც საეკლესიო დოგმის წინააღმდეგ გამოდიოდა. მათ ძირითადად რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში ეყრდნობათ საფუძველი.

ერესულ მიმდინარეობად ითვლებოდა იუდეო-ქრისტიანობა – ადრე-ქრისტიანული მიმდინარეობა, რომელსაც იერუსალიმში ეყრება საფუძველი. ებიონიტები და ნაზარეველები – იუდეო-ქრისტიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების მიმდევრები, თვლიდნენ, რომ ქესია უკვე მოვიდა, მაგრამ იმავდროულად, საჭირო იყო მოსეს კანონების დაცვა. მონტანიზმი – ჩამოყალიბდა მცირე აზიაში მონტანის მიერ II ს., რომელიც თავს მეორედ მოსვლის მაუწყებლად თვლიდა. ქადაგებდა სამყაროს დასასრულს და 1000 წლოვანი სამეფოს დასაწყისს, ასკეტიზმს. მონტანისტები თავს ადრექრისტიანული კავშირების (თემების) ტრადიციების გამგრძელებლებად მოიაზრებდნენ. გნოსტიციზმი – წარმოადგენდა სხვადასხვა გნოსტიკური ჯგუფების, სექტების და ეკლესიების გაერთიანებას. წოვატიანელობა – საფუძველი ეყრება რომში III ს. სახელი ერესის დამარსებლის წოვატიანეს მიხედვით მიიღო. ქრისტიანული ეკლესია ყველანაირად ებრძოდა მას. ადსანიშნავია ის გარემოება, რომ წოვატიანელებს სწავლება არ ჰქონდათ გადმოცემული თავიანთ წიგნებში. ნესტორიანელობა – საფუძველი რომის აღმოსავლეთ პროვინციებში ეყრება. ისინი თვლიდნენ, რომ იესო მაცხოვრისაგან დამოუკიდებლად არსებობდა მისი ადამიანური ბუნება. აქვე უნდა დავასახელოთ მონოფიზიტობა, რომლის მიმდევრებიც აღნიშნავდნენ, რომ იესოს ჰქონდა არა ორი ბუნება – ღვთაებრივი და ადამიანური, არამედ მხოლოდ ერთი – ღვთაებრივი. ხელიასტელობა – მისი მიმდევრები ათასწლეულის ბოლოს ელოდნენ მეორედ მოსვლას, რომლის შემდეგაც დედამიწაზე დამყარდებოდა განცხრომის ათასწლეული. მათ ხელმძღვანელობდა ნეპოტი – ეგვიპტელი ეპისკოპოსი. ეკლესია მთელი ძალით ებრძოდა მას. ცნობილია დიონისე ალექსანდრიელის თავგამოდებული წინააღმდეგობაც, რომელმაც მათ წინააღმდეგ დაწერა „აღთქმის შესახებ“. არიანელობა – საფუძველი IV ს. და-

ევსები ერესს, ამ შემთხვევაში, მანიქეველობის მიმართ ხმარობს მხოლოდ იმის გამო, რომ მას ჩამოყალიბებული რელიგიის სახით არ აღიქვამს. ხედავს რა მანიქეველობაში იმ რელიგიურ სინკრეტიზმს, რომელიც მანის მოძღვრების დედა-აზრშია ჩადებული. ძნელი წარმოსადგენია რომის იმპერიაში მცხოვრებ ხალხს, იმპერატორს და მითუმეტეს ქრისტიანული ეკლესიის წინამძღვრებს ერთმანეთში არეოდათ ქრისტიანობა, რომელსაც უკვე სამსაუკუნოვანი ისტორია გააჩნდა ერთიანი დედაეკლესით, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული რელიგია იყო ქვეყანაში და ახლადშემოსული მანის მოძღვრება, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მრავალი რელიგიის ნაერთს წარმოადგენდა. ამას ემატებოდა ის ფაქტიც, რომ მანიქეველობა ძველი და ახალი აღთქმის პრინციპებთან შეუთანხმებლობას ქადაგებდა და უარყოფდა მოსეს მკაცრ კანონებს, რომლებსაც მდიდრებისას და შეძლებულებისას უწოდებდა. რომ არაფერი ვთქვათ მანის დამოკიდებულებაზე იესო მაცხოვრისადმი. ზოგიერთ თავის ნაშრომში იგი მას ცრუნინასწარმეტყველს უწოდებდა, ზოგგან იესოს ადამიანად მიიჩნევდა, რომლის მეშვეობითაც ლვთაებრივი ქრისტე მოქმედებდა, ზოგგან კი აღნიშნავდა, რომ იესო – ადამიანი საერთოდ არ არსებობდა – იყო მხოლოდ ადამიანის ბუნდოვანი გამოსახულებით არსებული ქრისტეს ლვთაებრივი სული.

---

საწყისში ეყრება, სახელწოდება მისი დამაარსებლის ალექსანდრიიელი პრესვიტერის არიოზისაგან მიიღო, რომელიც აღნიშნავდა, რომ ლვთაებრივ სამებაში არის მხოლოდ მამა ღმერთი, შვილი (იესო) – მამა ღმერთის ქმნილებაა, რომლისგანაც წარმოშვა სული წმინდა. შვილი არ შეიძლება მამის თანასწორი იყოს. იგი მამაზე დაბლა დგას და მხოლოდ მისი მსგავსია. არიოზი გამოდიოდა ეპისკოპოსების, მარხვებისა და მიცვალებულებისათვის ლოცვების წინააღმდეგ. ეს მწვალებლობა ძირითადად გავრცელდა ქალაქის მოსახლეობაში. მის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრად ეგვიპტე იქცა. არიანელობის წინააღმდეგ გამოვიდა ათანასე დიდი, რომელმაც ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრებაზე წმინდა სამების დოგმა შეიმუშავა. არიანელები საბოლოოდ დამარცხდნენ 381 წ. კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებაზე და მრავალი სხვა ერესი.

IV ს. დასაწყისისათვის დიოკლიტიანეს რელიგიური პოლიტიკის სისუსტე სულ უფრო ნათელი ხდებოდა. იმპერატორმა თითქმის 18 წლის განმავლობაში ვერ შეძლო ძველი რომაული ღვთაებების ნინა პლანზე წამოწევა და იმპერიისათვის ერთიანი რელიგიის მიწოდება, რომელიც ქვეყნის იდეოლოგიურ საყრდენად იქცეოდა. ამას დაერთო რომის საგარეო მდგომარეობის დამძიმება, რამაც, თავის მხრივ, ხალხის გაუსაძლისი ყოფა გამოიწვია. მანიქეველების დევნასა და განადგურებას ქვეყნისათვის დადებითი ძვრები არ მოუტანია. IV საუკუნეში სექტათა რაოდენობა არათუ შემცირდა, არამედ ახალი მიმდევრებიც კი გაიჩინა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმავდროულად ადგილი ჰქონდა სასახლისა და პროვინციის არისტოკრატიის ინტერესების შეჯახებას, რის გამოც ორივე მხარე, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც იმპერატორის უახლოეს გარემოცვას წარმოადგენდა, თავისი პოზიციების განსამტკიცებლად მთელი ძალით ცდილობდნენ დიოკლეტიანეზე ზეწოლას. გულხელდაკრეფილნი არც წარმართი ქურუმები ისხდნენ, რომლებსაც კარგად ესმოდათ, რომ იმპერატორი კრიზისიდან გამოსვლას ქმედითი ლონისძიებების გატარებაში ხედავდა და ყველანაირად ცდილობდნენ დარტყმის სიმძიმე მათთვის ყველაზე „საშიშ“ მოძღვრებაზე გადაეტანათ. იცოდნენ რა დიოკლეტიანეს ცრურნმენის შესახებ, კარგად შეძლეს ამ საკითხით ლავირება და საკუთარი ინტერესების დაცვის გამო ქრისტიანულ ეკლესიას მძიმე დარტყმა მიაყენეს, რასაც შედეგად ქრისტიანთა კიდევ ერთი, ყველაზე საშინელი დევნა მოჰყვა რომის იმპერიაში.

მანიქეველების წინააღმდეგ გამოქვეყნებული ედიქტიდან 6 წლის შემდეგ, როდესაც რამდენიმე მაღალი ფუნქციონერისა და კეისარ გალერიუსის წაქეზებით, ხოლო შემდგომ აპოლონის ორაკულთან კონსულტაციის შედეგად, იმპერატორი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჭირო იყო ბოლო მოედო უღმერთობისათვის იმპერიაში და გადამწყვეტი ბრძოლა დაიწყო ქრისტიანობის წინააღმდეგ, რომლისთვისაც ირჩევს სიმბოლური დატვირთვის თარიღს – 23 თებერვალს, ძველი რომაული დღესასწაულის – ტერმინალის დღეს და 303 წ. ქმნის მნიშვნელოვანი რელიგიური დატვირთვის დოკუმენტს, რომელიც მეორე დღეს 303 წ. 24 თე-

ბერვალს იქნა გამოქვეყნებული. მასალის შესასწავლად უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს ევსები კესარიელის „საეკლესიო ისტორია“ და ლაქტანციუსის "De mortibus persecutorum" (მდევნელების სიკვდილის შესახებ).

დიოკლეტიანეს მიერ ქრისტიანთა დევნის გამო რომის ისტორიის ამ მონაკვეთს ისტორიოგრაფიაში „წმინდა მოწამეთა ერა“ ეწოდა.

ედიქტის მიხედვით, ეკლესიები უნდა დანგრეულიყო, საღვთო წიგნები უნდა დამწვარიყო, ხოლო ქრისტიანების ქონება კონფისკაციას დაექვემდებარებოდა. არმიიდან და სახელმწიფო აპარატიდან იდევნებოდა ყველა ვისზეც ეჭვი ჰქონდათ, რომ ქრისტეს რჯულის აღმსარებელი იყო. ამბობდნენ, რომ დიოკლეტიანეს მეუღლე პრისცა და ქალიშვილი ვალერიაც იძულებული იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ მსხვერპლშენირვაში, რათა მათ ქრისტიანობაში არავის შეეტანა ეჭვი. გახურებული დევნის დროს ნიკომედიაში, დიოკლეტიანეს სასახლეში ცეცხლი გაჩნდა, რომელიც ქრისტიანებს დაბრალდათ. ისტორია მეორდებოდა.

დიოკლეტიანეს სისასტიკე ქრისტიანთა მიმართ ამ ედიქტით არ შემოფარგლულა. პირველს კიდევ რამდენიმე უფრო დამამძიმებელი ბრძანება მოჰყვა II და III ედიქტების სახით. II ედიქტის თანახმად, ყველა სასულიერო პირი უნდა დაეჭირათ, ხოლო III ედიქტის მიხედვით, მსხვერპლშენირვაზე ძლიერდებოდა კონტროლი და საპატიმროებიდან თავისუფლდებოდნენ ის ქრისტიანები, ვინც მსხვერპლი შენირეს ღმერთებს (ევსები, საეკლესიო ისტორია, VIII, 6:10), რაც შეეხება დანარჩენ მორნმუნებს, ისინი საშინელ წამებას განიცდიდნენ (ევსები, საეკლესიო ისტორია, VIII, 6:8).

წყაროებიდან ჩვენთვის ცნობილი არ არის ამ ორი დადგენილების ზუსტი თარიღი. მეორე ედიქტს მეცნიერთა უმეტესობა 303 წ. ათარილებს. ხოლო მესამეს მკვლევართა ნაწილი 304 წ. დასაწყისით, ნაწილი კი 303 წ. 17 სექტემბრამდე პერიოდს მიაკუთვნებს. რაც შეეხება მეოთხე ედიქტს, იგი პირველი ედიქტის გამოცემიდან მეორე წელს (Eusebius, Mart. Palest., 3,1) 304 წლის შემოდგომაზე გამოდის, რომელიც მიმართული იყო პალესტინის

გუბერნატორისადმი. „დაე განადგურდეს სიტყვა ქრისტიანი“ – "Nomen Christianorum de leto", აღნიშნული იყო მასში.

ედიქტის შექმნაში დიდი როლი ითამაშა გალერიუსმა, ვინაიდან იმ დროს დიოკლეტიანე ავადმყოფობდა, საიდანაც უკვე ნათლად გამოჩნდა კეისრის (გალერიუსის) დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. ბოლო ედიქტის მიხედვით, როგორც ლაქტანციუსი გადმოგვცემს (Lactance, Mort, Pers., 15,4), ბრუნდებოდა დეციუსის პროცედურები – იმპერიის ყველა მცხოვრებს მსხვერპლი უნდა შეეწირა წარმართი ღვთაებებისათვის. როგორც ვხედავთ, ქრისტიანთა დევნის ორგანიზატორებად რომის აღმოსავლეთ პროვინციების გამგებლები – დიოკლეტიანე და გალერიუსი გვევლინებიან.

ქრისტიანთა დევნის ეს ყველაზე რთული პერიოდი დაახლოებით ცხრა წელს 303-312 წნ. გრძელდებოდა.<sup>1</sup> აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დევნა, რომელიც სამხედროებსა და სამოქალაქო ადმინისტრაციას შეეხო, თავიდან არ ატარებდა ისეთ სასტიკ ხასიათს, მაგრამ დროთა განმავლობაში იგი თანდათან იზრდებოდა და ფართო მასშტაბებს იღებდა.

საყურადღებოა, რომ ქრისტეს მიმდევრების დევნა თავისი ხასიათისა და ინტენსივობის მიხედვით, განსხვავდებოდა რომის იმპერიის სხვადასხვა პროვინციებში. დასავლეთში, რომელსაც დიოკლეტიანეს კოლეგა მაქსიმიანე მართავდა, გამოქვეყნებული იყო მხოლოდ ერთი – პირველი ედიქტი. იტალიაში, ესპანეთში და ჩრდილო აფრიკაში – მაქსიმიანეს სამფლობელოში დევნას ადგილი ჰქონდა, მაგრამ არა ისეთი სასტიკი ფორმით, როგორც აღმოსავლეთის პროვინციებში და ის არ გაგრძელდულა 304 წლის იქით, თუმცა აქაც დაფიქსირებულია ქრისტიანთა წამების შემთხვევები, როლმელთა ზუსტი რიცხვის დადგენა ძნელდება. რომში დაიღუპნენ პეტრე, მარსელინი, სებასტიანი, აგნესი და

<sup>1</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებული თვალსაზრისით, ქრისტიანთა წამება 311 წლამდე გრძელდებოდა, მაგრამ ვითვალისწინებთ რა იმპერიაში შექმნილ სიტუაციას, მივიჩნევთ, რომ ქრისტეს მიმდევართა დევნის დასასრულად შეიძლება ჩაითვალოს 312 წ. 28 ოქტომბერი – კონსტანტინეს მაქსენციუსზე გამარჯვების თარიღი.

სხვ. ასეთივე მდგომარეობა იყო ომოლასა და სირაკუზში. აფრიკაში ცნობილია ხალხის მასების ეგზეკუციის შემთხვევები, სადაც ბევრი ეპისკოპოსი იძულებული იყო წირვა შეეჩერებინა ეკლესიებში, ხოლო წმინდა წიგნები იძულების წესით გადაეცათ დამსჯელთათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი სიკვდილით ისჯებოდნენ, რის ნათელ დადასტურებასაც წარმოადგენს აფრიკის ეპისკოპოსის – ფელიქსის მკვლელობა წმინდა წიგნების გადაცემაზე უარის გამო. ალსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იყო შემთხვევები, როდესაც სასულიერო პირნი სრულიად განსხვავებული ხასიათის წიგნებს აძლევდნენ დამსჯელ რაზმებს, რომლებიც რიგ შემთხვევებში, თვალს ხუჭავდნენ ამ ფაქტებზე.

მაქსიმიანეს მსგავსად იქცევა კონსტანციუს I ქლორუსიც, რომელიც თავის მმართველობის ადგილებში, გალიასა და ბრიტანეთში მხოლოდ პირველ ედიქტს აქვეყნებს.

რაც შეეხება რომის აღმოსავლეთ პროვინციებს, ჩვენთვის ისინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დასავლეთ საქარველოს ტერიტორიის ერთი ნაწილი, კოლხეთის ზღვისპირა ქალაქები (აფსარუნტი, ფაზისი, სებასტოპოლისი, პიტიუნტი) ძვ.წ. 37 წლიდან მოყოლებული ჯერ რომის ვასალური სახელმწიფოს „პოლემონის პონტოს“ (კაპადოკიის პონტოს) შემადგენლობაში იყვნენ შეყვანილნი, ხოლო პოლემონ II სიკვდილისა და ამ უკანასკნელის სამფლობელოების ანექსიის შემდეგ, „პროვინცია პონტოდ“ გადაქცევის შედეგად ახ.წ. 63 წლიდან იმპერიის შემადგენელი ნაწილი გახადეს და დასავლეთ საქართველოს ციხე-სიმაგრეებში ჩააყენეს პონტოელთა გარნიზონები, რომლებიც შემდგომ რომაელმა ლეგიონერებმა შეცვალეს, რის გამოც რომაული ლეგიონები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე რომის სამხედრო-საზღვაო ფლოტის საყრდენ პუნქტს წარმოადგენდნენ, რამაც დაახლოებით სამ საუკუნეს გასტანა. აქ საქმე ბევრად მძიმედ იყო. როგორც იმპერატორი (დიოკლეტიანე), ისე კეიისარი (გალერიუსი) დაუნდობლად ექცეოდნენ ქრისტიანებს. ისინი თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ედიქტების შექმნასა და შესრულების სიმკაცრეში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიოკლეტიანეს ერთ-ერთი წამქე-

ზებელი პირველი ედიქტის გამოცემაში სწორედ გალერიუსი იყო, რომელიც მეოთხე ედიქტის თანაავტორადაც გვევლინება.

დიოკლეტიანეს მმართველობის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე – ეგვიპტეში, პალესტინაში, სირიაში, პონტოში, ქრისტიანთა ყველაზე ძლიერი დევნის ფაქტებია დაფიქსირებული, რომელთაც არნახული სისასტიკე ახლდა თან. ასე მაგალითად, 303 წლის 23 აპრილს, პარასკევ დღეს იქნა დასჯილი გიორგი კაპადოკიელი. ნიშანდობლივია რომ ქრისტიანობამიღებული რომაელი ლეგიონერები მთელი მესამე საუკუნის მანძილზე განიცდიდნენ დევნას. მაგალითად, დეციუსის პერიოდში ეგვიპტეში, გალერიუსის იმპერატორობისას იუდეაში, მაგრამ დიოკლეტიანესა და მაქსიმიანეს მმართველობისას ისინი ყველაზე დიდი პოლიტიკური ტერორის ქვეშ იმყოფებოდნენ. თეოლოგების მიერ აღიარებული ამ დევნის ერთადერთი მიზეზი, არის ის, რომ არმიაში უკვე აღარ შეეძლოთ განეხორციელებინათ რელიგიური სინკრეტიზმი, რომელიც აუცილებელი იყო დისციპლინისათვის. ქრისტიანთა ღმერთი არ აღიარებდა წარმართულ რიტუალებს. იმპერატორს სურდა აეკრძალა ის მომთხოვნი მორალი, რომელიც ჯარისკაცებს აგრძნობინებდა განსხვავებას მათ და წარმართებს, ქრისტეს აღმსარებლებსა და იმპერატორის კულტის თაყვანისმცემლებს შორის. არ არის გამორიცხული, რომ ეკლესის მამები და ძველი ქრისტიანობის აპოლოგეტები შესაძლოა აჭარბებდნენ, როდესაც აღიარებდნენ არმიაში ერეტიკოსების სიმცირეს.

ქრისტიანების წინააღმდეგ დაწყებული რეპრესიები გრძელდებოდა. დევნისაგან არც არაბეთი და მესოპოტამია იყო დაცული. ჩვენ ამ რეგიონებს კარგად ვიცნობთ წმინდა წიგნების მეშვეობით, რომელებშიც დაწვრილებით არის აღწერილი ქრისტეს მიმდევართა წამების ფაქტები.

ქრისტიანთა დევნა-შევიწროება მიმდინარეობდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებშიც, რაც არქეოლოგიური გათხრებითაც დასტურდება. ამ მხრივ, მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს ძველი პიტიუნტის ტერიტორიაზე, სამაროვნის ძირითადი თხრილის ცენტრალურ ნაწილში, წრიული ნაგებობის კედლის ნაწილში აღმოჩენილი ადგილობრივი ქვიშა-ქვის მონო-

ლითისაგან დამზადებული სტელა, რომელსაც ძირი მოტეხილი ჰქონდა. მისი შერჩენილი მაქსიმალური სიგრძე 73,7სმ. სიგანე 30სმ. მონოლითის ზედა ნაწილზე ამოჭრილია ოთხუთხა 2,5სმ. სიღრმის ფოსო 13,4სმ X 7სმ ზომისა, რომელშიც თავის მხრივ, თავისებური ბუდეა გაკეთებული 11 X 4,5სმ. რკინის ჯვრის ჩა-სადგმელი. რკინისავე ჯვარი ნაწილობრივ არის შემორჩენილი. ჯვრიანი ბუდე საგულდაგულოდ დაუფარავთ დარიანი 0,7სმ. სისქის კრამიტის ნაჭრისაგან გამოჭრილი სპეციალური 13სმ X 7სმ ზომის სარკველით, რომელიც კირხსნარით გამოულესავთ. ადგი-ლობრივ ქრისტიანებს ჯვრის, ქრისტიანული სიმბოლოს, რაც თავისი იდეით დაკავშირებული იყო ქრისტეს მოწამეობრივ სიკვ-დილთან, უცხო თვალისაგან, წარმართებისაგან დამალვა სურ-დათ. როგორც გ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, შესაძლებელია თა-ვის დროზე სტელა ფარული ქრისტიანის სამარხზე იყო აღმარ-თული, მოგვიანებით კი, როგორც საამშენებლო მასალა, მოწვდა უცნობი დანიშნულების მხარეს ნაგებობის წრიულ კედელში, ისე რომ მშენებლისათვის მისი საიდუმლო არც კი გამხდარა ცნობილი. გ. ლორთქიფანიძე სტელას მილანის 313 წლის ედიქ-ტამდე დიოკლეტიანეს იმპერატორობის პერიოდით ათარიღებს. ჩვენი აზრით, სტელაში ჩადებული ჯვრის არქაულობიდან და იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ სამაროვანი უკვე III ს. ინტენ-სიურად იყო დასახლებული, რომელზეც ყოველი მეხუთე სამარ-ხი ქრისტიანებს ეკუთვნოდათ, და რომ ამავე საუკუნის შუა ხანებში ქრისტიანები არანაკლებ დევნასა და შევიწროვებას გა-ნიცდიდნენ, სტელა შესაძლებელია III ს. შუა ხანებით – დეციუ-სისა (249-251 წწ.) და ვალერიანეს (253-260 წწ.) იმპერატორობის პერიოდით დათარიღდეს.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ 303-304 წწ. გამოქვეყნე-ბული ედიქტების შედეგად, გამონვეულ დევნას დიდი წინა-აღმდეგობა ხვდებოდა მორწმუნეთა მხრიდან. მაგრამ იყო ე.წ. „გადაცემის“, „ჩაბარების“ (ლათინური – "traditio") ფაქტები, რო-მელმაც, თავის მხრივ, „ჩამბარებლების“ წინააღმდეგ მიმარ-თული მოძრაობა წარმოშვა, რამაც საბოლოოდ დონატისტების დიდი სქიზმის (ბერძნული – σχίσμα, განხეთქილება) სახე მიიღო.

## რომის იმპერია ახ.წ. IV ს. დასაცილებელი და ძრისფიანები

305 წლის 1 მაისს დიოკლეტიანე და მაქსიმიანე გადადგნენ. ახალი კეისრების დანიშვნა დიოკლეტიანემ გალერიუსს მიანდო, რომელმაც დასავლეთის კეისრად ფლავიუს ვალერიუს სევერუსი (305-307 წწ.), ხოლო აღმოსავლეთისად ვალერიუს მაქსიმინე დაზა (305-313 წწ.) დანიშნა, რითაც, თავის მხრივ, უკმაყოფილონი იყვნენ, როგორც მაქსიმიანე, ისე კონსტანციუს I ქლორუსი, ვინაიდან მათ შვილებს მაქსენციუსს და კონსტანტინეს გვერდი აუარეს. თუ ამ ფაქტს იმასაც დავუმატებთ, რომ მაქსიმიანე თვითონ იყო უკმაყოფილო თავისი ნახევრადიძულებითი გადადგომით, სახეზე გვექნება ტეტრარქის სწრაფი მსხვრევის ყველა პირობა.

306 წლის 25 ივლისს, ავგუსტუსის ტიტულის მიღებიდან მეცამეტე თვეს, ბრიტანეთის კალედონიაში შოტლანდიელი ტომების ჰიკტების წინააღმდეგ საბრძოლველად წასული კონსტანციუს I ქლორუსი ებორაკუმში (Eboracum, Eburacum – იორკი) გარდაიცვალა. ჯარმა ავგუსტუსად და იმპერატორად მაშინვე მისი შვილი პირველი ცოლი ელენესაგან – კონსტანტინე გამოაცხადა. გალერიუსი იძულებული იყო კოსტანტინე ჯერ კეისრად, ხოლო შემდეგ ავგუსტუსად ელიარებინა. თითქმის იმავდროულად ბრძოლაში მაქსიმიანე ჩაება, რომელმაც გადაწყვიტა გამოეყენებინა რომში სევერუსების მიმართ არსებული უკმაყოფილება და კეისრობის კანდიდატად თავისი შვილი მაქსენციუსი წამოაყენა. იგი იმ დროისათვის უკვე გალერიუსის სიძე იყო.

მაქსენციუსმა ისარგებლა რა რომის სენატის, რომში მდგარი პრეტორიანელებისა და რომაელი არისტოკრატების უკმაყოფილებით, აჯანყება დაიწყო. პრეტორიანელებმა მოკლეს რომის პრეფექტი და იმპერატორად მაქსენციუსი გამოაცხადეს. შვილის წაყლობით მაქსიმიანე კვლავ სახელმწიფო სათავეში მოექცა, გამოაცხადა რა თავი ავგუსტუსად, რის შედეგსაც იმპერიის სათავეში მყოფი ექვსი ხელმწიფე – გალერიუსი, მაქსიმიანე, მაქსიმინე დაზა, კონსტანტინე, სევერუსი და მაქსენციუსი წარმოადგენდა.

დაიწყო ხანგრძლივი ბრძოლა, რომლის დროსაც სევერუსმა, მაქსიმიანესა და მაქსენციუსის დახმარებით თავი მოიკლა (307 წ. თებერვალი). გალერიუსმა მის ადგილზე ვალერიუს ლიციანუს

ლიცინიუსი (308-324 წწ.) დანიშნა, მიანდო რა ილირიის მართვა, სულ მალე მაქსიმინე დაზა (305-313 წწ.) თავს ავგუსტუსად აცხა-დებს, რასაც გალერიუსი იძულებული იყო დათანხმებოდა. ასე რომ 308 წლისათვის იმპერიაში ოთხი კანონიერი ავგუსტუსი იყო – გალერიუსი, კონსტანტინე, ლიცინიუსი და მაქსიმინე დაზა, რომელთაც ემატებათ არაკანონიერი კეისარი რომში – მაქ-სენციუსი და უზურპატორი აფრიკაში – ლიციუს დომიციუს ალექსანდრე (308-311 წწ.). იგი თავის მხრივ, მაქსენციუსს ედა-ვებოდა ძალაუფლებას.

311 წლისათვის გალერიუსი მიხვდა, რომ ავგუსტუსებს შორის უფროსი ლიცინიუსი დარჩა. 312 მაქსენციუსმა აფრიკელი უზურპატორის ლიკვიდაცია მოახდინა, შეეკრა რა მაქსიმინე დაზას ლიცინიუსისა და კოსტანტინეს ნინააღმდეგ. რაც შეეხება კონსტანტინეს, იგი 312 წლამდე თითქმის არ იღებდა სამოქა-ლაქო მმში მონაწილეობას და დიდ ყურადღებას უთმობდა არმიის გაწვრთნას, რაც იტალიაში, პოს ხეობაში, მისი შექრის დროს მაქსენციუსის არმიის განადგურების მიზეზი ხდება. შემ-დეგ კონსტანტინე რომში გაემგზავრა და დედაქალაქის მახლობ-ლად მაქსენციუსი კიდევ ერთხელ დაამარცხა. გაქცეული მაქ-სენციუსი მდ. ტიბრში დაიხრჩო 312 წ. 28 ოქტომბერს.

მაქსენციუსის დამარცხების შემდეგ კონსტანტინე დიდი ზეი-მით შევიდა რომში და მაქსენციუსის სამფლობელოები (იტალია, აფრიკა და ესპანეთი), თავისას (გალია და ბრიტანეთი) შეუერთა. იმავე წელს, კონსტანტინესა და ლიცინიუსის მიღანში შეხვედრის შემგომ, ხელმონერილ იქნა მილანის ცნობილი ედიქტი.

ქვეყანაში არსებული ასეთი არამყარი პოლიტიკური სიტუა-ცია, რომლის დროსაც მთელი დატვირთვა ხალხის მასებზე მო-დიოდა, რა თქმა უნდა, გავლენას იქონიებდა იმპერიაში არსებულ რელიგიურ მდგომარეობაზე, რომლის ერთ-ერთ უმნიშვნელო-ვანეს საკითხს იმპერიასა და ქრისტეს რჯულის აღმსარებელ ხალხს შორის ურთიერთობა წარმოადგენდა.

კვლავ სხვადასხვა მდგომარეობაში აღმოჩნდა აღმოსავლეთ და დასავლეთ პროვინციები, რასაც ავგუსტუსების პიროვ-ნებებთან ერთად პროვინციებში არსებული პოლიტიკური სი-ტუაცია განაპირობებდა. თუმცა ქრისტიანთა დევნა დასავლეთ

პროვინციებშიც გრძელდებოდა (გალია, ბრიტანეთი, ესპანეთი), რომელთაც ყველაზე მეტად შეეხო ავგუსტუსების ბრძოლა პირველობისათვის. 305 წლის ბოლომდე იგი აქ მაინც შესუსტებულ ხასიათს ატარებდა და ახლოს ვერ მიღიოდა აღმოსავლეთის პროვინციებში არსებულ სიტუაციასთან. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ წყაროებში ქრისტიანთა დევნის შემთხვევები აქ 308, 309 და 310 წლებშიც ფიქსირდება, რის მიზეზსაც უფრო პოლიტიკური საკითხი წარმოადგენდა და არა მათი რელიგიური კუთვნილება. ამის ნათელ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს ჩრდილო აფრიკა, სადაც ქრისტეს მიმდევართა დევნა-შევიწროვების ავტორად უზურპატორი დომიციუს ალექსანდრე (308-311 წწ.) გვევლინება. სწორედ ამის გამო, აქ ქრისტიანთა დევნის დასასრულად მისი სიკვდილის თარიღია მიჩნეული.

აღმოსავლეთში პირიქით, პოლიტიკური სიტუაციის სტაბილურობა მმართველებს საშუალებას აძლევდა მეტი ყურადღება დაეთმოთ რელიგიური საკითხისათვის და გაეგრძელებინათ ქრისტეს მიმდევართა დევნა. გალერიუსი აგრძელებს არც თუ დიდი ხნის წინ დაწერილი ეფიქტების გამოქვეყნებას. შედეგად, აქ ქრისტიანთა დაჭერისა და წამების შემთხვევები გრძელდება, რასაც მისი მემკვიდრის მაქსიმინე დაზას პიროვნება ემატება, რომელიც კიდევ უფრო ენერგიულად ახორციელებს ქრისტიანთა დევნას.

გალერიუსი ჯერ კიდევ კეისრობის პერიოდიდან მოყოლებული ისეთივე სისასტიკით ექცეოდა ქრისტიანებს, როგორც თავის დროზე დიოკლეტიანე. ცნობილია მეზიაში, მაკედონიაში, დალმაციაში, პანონიაში მომხდარი ქრისტიანთა მასობრივი წამების შემთხვევები. ქრისტიანების, ამ მონოთეისტური რელიგიის მიმდევრების აქტიური დევნა იმპერიაში 311 წლამდე გრძელდებოდა. აღმოსავლეთის იმ პროვინციებში, რომლებიც ჩაბარებული ჰქონდა მაქსიმინე დაზას, შეიძლება ითქვას, გაძლიერდა კიდეც ქრისტიანთა დევნა, რის მიზეზადაც მაქსიმინე დაზას რელიგიური ფანატიზმი გვევლინება, რომელმაც, ამ საკითხში, თავის ბიძას საგრძნობლად გადააჭარბა. ამის ნათელ მაგალითს ჯერ კიდევ 306 წ. მაქსიმინე დაზას მიერ ყველა ქალაქის მაგისტრატისადმი გაგზავნილი წერილები წარმოადგენს, რომლებშიც იგი მითითებებს იძლეოდა იმის თაობაზე, რომ საჭირო იყო

ყველა მცხოვრებს აუცილებლად შეეწირა მსხვერპლი ღმერთებისათვის. იმ ქრისტიანებს, რომლებიც უარს იტყოდნენ ბრძანების დამორჩილებაზე კლავდნენ. უფრო ხშირად მაინც ადამიანთა წამების და დამახინჯების შემთხვევებია დაფიქსირებული, რაც მაქსიმინე დაზას საბრძანებლოში კარგა ხანს გრძელდებოდა.

311 წლის აპრილის ბოლოსათვის ქრისტიანების შესახებ აზრი ეცვლება მის ერთ-ერთ უპირველეს მტერს გალერიუსს, რომელიც იყო რა სერიოზულად ავად უცნობი, მომაკვდინებელი სენით და ხედავდა რა მოახლოებულ აღსასრულს, გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე, 311 წლის 30 აპრილს აქვეყნებს მეორე მონითერისტური რელიგიის შენყალების საგანგებო ედიქტს, რომლის ტექსტი ჩაწერილი ლაქტანციუსის მიერ, თავის ბერძნული თარგმანით შემონახულია ევსები კესარიელის „საეკლესიო ისტორიაში“ (VIII, 17).

ედიქტი გამოქვეყნებული იყო ოთხი იმპერატორის – გალერიუსის, კონსტანტინეს, ლიცინიუსისა და მაქსიმინე დაზას სახელით. მიუხედავად მისა, რომ მაქსიმინე დაზა ჩვენამდე მოღწეულ ტექსტში არ ფიქსირდება, მაინც სავარაუდოა, რომ მისი ხელმოწერა იქნებოდა, როგორც იმპერიის ერთ-ერთი თანაგამგებლისა.

ეს დოკუმენტი იწყება იმ ფაქტის აღიარებით, რომ ქრისტიანთა დევნა სამართლიანი იყო. „ქრისტიანებმა დაიმსახურეს დასჯა, რადგან უარი თქვეს წინაპართა კულტებზე, მაგრამ ვინაიდან უძლურნი ვართ აღმოვფხრათ მათი სიჯიუტე – იძულებულნი ვართ დავუთმოთ“ – აღნიშნულია ბრძანებაში.

ედიქტი ქრისტეს მიმდევრებს თავიანთი კულტის თაყვანის-ცემისა და შეკრებების აღდგენის ნებას აძლევდა იმ შემთხვევაში თუკი იგი ქვეყნის სიმშვიდეს არ დაარღვევდა – დაე, იყვნენ ქრისტიანები და აშენებდნენ თავშეყრის ადგილებს, რათა მათ არაფერი გააკეთონ საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ (VIII, 17) – ჩაწერილია ბრძანებაში. ეს ტოლერანტული ედიქტი სიცოცხლეს უნარჩუნებდა და იტანდა მათ (ქრისტიანებს) როგორც აუცილებელ ბოროტებას.

ბრძანების შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მის შემდგენელს, ხედავდა რა ქრისტიანობისათვის დამახასიათებელ პროზელიტიზმს, აღელვებდა ის ფაქტი, რომ ქრის-

ტეს მიმდევრებს პროპაგანდა არ გაეწიათ საკუთარი რელი-  
გიისათვის. როგორც ედიქტიდან ჩანს, გალერიუსისათვის ამ  
ბრძანების გამოცემა იძულებით ნაბიჯს ნარმოადგენდა და არა  
ქრისტიანებისათვის რაიმე უფლებების მიცემის სურვილს, რა-  
საც მისი ცხოვრებაც ადასტურებს. გალერიუსს არ უყვარდა ახა-  
ლი ღმერთი და მისი მიმდევრები. მომაკვდინებელი სენის შეყ-  
რაშიც კი იგი ქრისტიანთა ღმერთს ადანაშაულებდა.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ედიქტი გალერიუსმა კონს-  
ტანტინეს გავლენით შეადგინა. რამდენად ჩაერია ამ საკითხში  
კონსტანტინე ძნელი სათქმელია, მაგრამ არც ამ ფაქტის გამო-  
რიცხვა შეიძლება, ვინაიდან არსებული ოთხი იმპერატორიდან  
სწორედ კონსტანტინე იყო ქრისტიანების მიმართ ლოიალურად  
განწყობილი. გალერიუსის მიერ 311 წელს გამოცემული ედიქტი  
ნამდვილად იძულებით ხასიათს ატარებს, რომელიც, შედგენი-  
ლია რაღაც აუხსნელი, შეუცნობელი შიშის ქვეშ მყოფი ადა-  
მიანის მერ, რაზეც ბრძანების ბოლო ნაწილი მიგვანიშნებს, რო-  
მელშიც გალერიუსი ქრისტიანებისაგან მოითხოვს შეთხოვონ  
თავიანთ ღმერთს მისი ჯანმრთელობა და რესპუბლიკის კეთილ-  
დღეობა (ევსები, საეკლესიო ისტორია, VIII, 17), რაც თავისთავად  
ქრისტეს აღიარების ტოლფასია.

ამ ბრძანების ისტორიული მნიშვნელობა ფასდაუდებელია,  
ვინაიდან იგი სახელმწიფოს მიერ ქრისტიანების შერიგებისათ-  
ვის გადადგმულ პირველ ნაბიჯად გვევლინება, რომელიც შეიძ-  
ლება აღქმულ იქნას, როგორც სახელმწიფოსა და ქრისტიანულ  
ეკლესიას შორის დადებულ პირველ ოფიციალურ შეთანხმებად,  
რაც საბოლოოდ ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრებაზე და-  
გვირგვინდა 325 წ.

311 წლის ედიქტის გამოქვეყნების შემდგომ რომის იმპერიის  
თითების მთელ ტერიტორიაზე ქრისტიანების დევნა შეჩერდა, გარ-  
და მაქსიმინე დაზას სამბრძანებლო ოლქებისა, სადაც ავგუსტუსმა  
(მაქსიმინე დაზა) მისი გამოქვეყნება საჭიროდ არ ჩათვალა.

გალერიუსის სიკვდილის შემდეგ, 311 წ. 5 მაისს, იმპერიის  
აღმოსავლეთი ნაწილი შუაზე გაიყვეს მაქსიმინე დაზამ და  
ლიცინიუსმა. პირველს ერგო აზიური პროვინციები და ეგვიპტე.  
მეორეს – ბალკანეთი და დუნაისპირეთი. შეთანხმება გარეგნუ-

ლად თითქოს მშვიდობიან იერს ატარებდა, მაგრამ სინამდვი-ლეში ორივე მრძანებელს ერთმანეთთან საომრად სამხედრო ძალები ჰყავდა გამაგრებული ბოსფორსა და ჰელესპონტზე. მაქ-სიმინე დაზას – აზიდან, ლიცინიუსს – ევროპიდან.

მაქსიმინე დაზამ 311 წლის შემოდგომიდან (ნოემბერი) კვლავ აქტიურად გააგრძელა ქრისტიანთა დევნა. აკრძალა მათი სასაფ-ლაოებზე (სარკოფაგებზე), ეკლესიებში შეკრება. განახლდა ქრისტიანთა წამებაც. უცნობია სადამდე გასტანდა მისი ასეთი თავზეხელადებული საქციელი, რომ არა კვლავ პოლიტიკური სიტუაცია, რომელიც, შეიძლება ითქვას, მხსნელად მოევლინა ქრისტეს მიმდევრებს. მალე იგი მაქსიმინე დაზას საწინააღმდე-გოდ შეიცვალა, რაც კონსტანტინესა და ლიცინიუსის დაახლოე-ბამ გამოიწვია. ლიცინიუსი შეუერთდა კონსტანტინეს და კავში-რის განსამტკიცებლად ცოლად მისი და კონსტანცია შეირთო.

მაქსიმინე დაზას მიერ ქრისტიანთა დევნა სავარაუდოდ 312 წ. 28 ოქტომბრამდე, მაქსენციუსის – მისი მოკავშირის გარდაცვა-ლებამდე გაგრძელდა. შემდეგ, მან შეაფასა რა ქვეყანაში არსე-ბული სიტუაცია, მიხვდა, რომ ორი ავგუსტუსის – კონსტანტი-ნესა და ლიცინიუსის პირისპირ მარტო აღმოჩნდა (ისინი ამ მო-მენტისათვის მოკავშირები იყვნენ), იძულებული იყო თავის სამბრძანებლოშიც გამოექვეყნებინა 311 წლის ედიქტი და ფორ-მარულად მაინც დაეწებებინა თავი მეორე მონოთეისტური რე-ლიგის მიმდევრებისათვის.

## კონსტანტინე I დიდი (306-337 წწ.) და ერთსთიანობა ნიკეის 325 წ. I მსოფლიო საეკლესიო კრებამდე

ეს თოთხმეტწლიანი მონაკვეთი 311-325 წწ. განსაკუთრებით საინტერესო პერიოდს წარმოადგენს რომის ისტორიაში, რომლის დროსაც ქრისტიანობა დევნილი რელიგიიდან არა მარტო თანა-სწორუფლებიანი რელიგიის რანგში ავიდა, არამედ გაბატონე-ბული ადგილიც დაიკავა, რაშიც გადამწყვეტი როლი რომის იმპერატორ კონსტანტინეს ენიჭება, მართლაც უდიდეს პიროვ-ნებას, რომელმაც თავისი თანმიმდევრული პოლიტიკით შედარე-ბით უმტკივნეულოდ მოახერხა ეს.

კონსტანტინე იყო რა ბუნებით რელიგიური (ევსები კესარიელი მას თავისი დედის ელენეს გაქრისტიანებასაც კი მიაწერს – Vita Constantini, III, 13), სიფრთხილეს იჩენს და მხოლოდ სიცოცხლის ბოლოს ინათლება. მას კარგად ესმოდა, რომ იგი იმ ქვეყნის იმპერატორი იყო, რომელიც სამ კონსტინენტზე იყო გადაჭიმული, რომელშიც უამრავი წარმართული კულტი არსებობდა და პირველი მონოთეისტური რელიგიის მიმდევრები ცხოვრობდნენ. კონსტანტინეს სურვილიც რომ ჰქონოდა, მხოლოდ ქრისტიანთა იმპერატორი ვერ იქნებოდა. იგი ცალკეულ კულტებზე და რელიგიებზე მაღლა იდგა, თუმცა კი მისი ცხოვრება სულიერი მოქცევიდან 312 წ. 27. X. მოყოლებული ამ პირველი მსოფლიო მონოთეისტური რელიგიის გაძლიერებისა და გავრცელებისათვის ბრძოლას წარმოადგენდა, რაც წალად წარმოჩინდა კონსტანტინესა და იმ პერიოდში მისი მოკავშირის ლიცინიუსის მიერ შედგენილ მილანის ედიქტში 313 წ., რომელიც გალერიუსის ედიქტისაგან არა მარტო დატვირთვით, არამედ საერთო ხასიათითაც განსხვავდებოდა.

უპირველესად აღნიშნავთ, რომ ედიქტის ორიგინალი ჩვენამდე მოღწეული არ არის. იგი არ გვხვდება არც Codex Theodosianus-ში (438 წ.).<sup>1</sup> ბრძანება შემორჩენილია მხოლოდ ლაქტანციუსის თხზულებაში "De mortibus persecutorum" და ევსები კესარიელის მიერ ლათინურიდან ბერძნულად თარგმნილ დოკუმენტებში, რომლებიც მოთავსებულნი არიან „საეკლესიო ისტორიის“ X წიგნში, როგორც სამპერატორო დადგენილების ასლები. აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ მილანის ედიქტის გამოქვეყნებამდე ერთი წლით ადრე 312 წ. მაქსენციუსზე გამარჯვების წელს, კონსტანტინე აქვეყნებს ედიქტს, რომელიც ბოლოს უღებს ქრისტიანთა დევნას და ანიჭებს მათ ღვთისმსახურების უფლებას. ეს დოკუმენტი სამწუხაროდ შემორჩენილი არ არის.

<sup>1</sup> პირველად კოდექსების წიგნი ე.წ. Codex Gregorianus, რომელიც ადრეანედან მოყოლებული ყველა კანონს (კონსტიტუციებს) შეიცავდა, შედგენილ იქნა დიოკლეტიანეს პერიოდში 294 წ. მეორე კოდექსი ე.წ. Codex Hermogenianus კი კონსტანტინეს იმპერატორობის დროს 314 წ.

ჩვენ არ შევუდგებით დაწვრილებით მიღანის ედიქტის ტექსტის გადმოცემას, უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ იგი შეიძლება ორ ნაწილად გაიყოს. პირველი, რომელშიც რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლებაზეა საუბარი. კერძოდ, რომ ამიერიდან თითოეულს შეეძლო იმ რელიგიის მიმდევარი ყოფილიყო, რომლისაც სურდა და რომ ეს თავისუფლება შეუზღუდავი იქნებოდა (Liberam aqute), სპობდნენ რა ყველა მანამდე არსებულ შეზღუდვას და მეორე, რომელიც ქრისტიანების ქონებრივ, საზოგადოებრივ, კერძო თუ პირად უფლებებზე მოგვითხრობს. ქრისტეს მიმდევრებს უბრუნდებოდათ მათი დევნის დროს წართმეული ქონება, ეკლესიები, სასაფლაოები. კერძო პირებს კი, რომელთაც სახელმწიფომ თავის დროზე აჩუქა ეკლესიების ქონება, უსასყიდლოდ უნდა დაებრუნებინათ იგი. სახელმწიფო, თავის მხრივ, იმედს იძლეოდა, თუ წარმართების მოთხოვნა სამართლიანი იქნებოდა, ხაზინა მათ ზარალს აუნაზღაურებდა.

313 წლის მიღანის ედიქტის შექმნისა და მნიშვნელობის შესახებ, რომლის მიხედვითაც ქრისტიანული სარწმუნოება სხვათა თანაბარ უფლებებში დგებოდა და სახელმწიფოს განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდა, განსხვავებული აზრი არსებობს, თუმცა ერთი შეხედვით, იგი თითქოს ყველასათვის ნათელი უნდა იყოს. ზოგიერთი მკვლევარი ამ ბრძანების შეფასებისას მოვლენებს წინ უსწრებს და მისი გამოქვეყნების თარიღს რომის იმპერიაში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოქვეყნების თარიღად მიიჩნევს. ზოგი კი ამ ედიქტის გამოქვეყნებას პოტენციური მონოთეიზმის მოსვლის ტოლფასად აღიქვამს.

ძნელი წარმოსადგენია კონსტანტინეს ქრისტიანთა ყველაზე სასტიკი დევნის დასასრულიდან სულ ცოტა ხანში, ნიადაგის მომზადების გარეშე, ქრისტიანობა ქვეყანაში გაბატონებულ რელიგიად გამოეცხადებინა, ვინაიდან, როგორც ცნობილია, ამ მონოთეისტური რელიგიის მიმდევრების დევნის ერთ-ერთ მიზეზს იმპერიის მოსახლეობის იმ ნაწილის განწყობა წარმოადგენდა, რომელთაც ქრისტიანების მიმართ რიგ შემთხვევებში, შემორჩენილი ჰქონდათ სიძულვილი. პირველი ქრისტიანი იმპერატორის სიძლიერე სწორედ მის მიერ სიტუაციის სწორ გათვლასა და უბადლო ანალიზში მდგომარეობდა.

ჩვენ დავადგინეთ, მივცეთ ქრისტიანებსა და სხვა რელი-  
გიური მრნამსის მატარებელთ თავისუფლად აღიარონ ის რელი-  
გია, რომელსაც ისინი ანიჭებენ უპირატესობას. ამიერიდან ჩვენ,  
ქრისტანებს უფლებას ვაძლევთ დაიცვან თავიანთი მრნამსი –  
აღნიშნულია ედიქტში. კონსტანტინე და ლიცინიუსი ბრძანებაში  
რამდენჯერმე იმეორებენ ერთსა და იმავე აზრს, რომ ისინი  
ჩუქნიან ქრისტიანებს და ყველა სხვა რელიგიური აღმსარებ-  
ლობის ხალხს თავისუფლებას. ტექსტში არსად არ არის საუბარი  
იმის შესახებ, რომ ქრისტიანობა სხვა რელიგიებზე მაღლა იდგა  
და უპირატესობა ენიჭებოდა. იმპერატორები ედიქტით ღიად  
აცხადებდნენ, რომ ამიერიდან თითოეულს მიეცემოდა უფლება  
იმ რელიგიის მიმდევარი ყოფილიყო, რომლისაც სურდა და რომ  
ეს თავისუფლება შეუზღუდავი იქნებოდა.

ცნობილია, რომ სახელმწიფოში რელიგია ნაციონალობის  
გამოვლენის ერთ-ერთ თვალსაჩინო სახეს წარმოადგენდა. თი-  
თოეულ ქვეყანას საკუთარ კანონებთან ერთად საკუთარი ღვთა-  
ებებიც გააჩნდა, რომლის უარყოფაც შეუძლებელი იყო მოქა-  
ლაქეობის უარყოფის გარეშე. იკრძალებოდა უცხო რელიგიების  
დაშვებაც. მანამ, სანამ ადგილობრივი რელიგიების სახელმწი-  
ფოები არსებობდნენ, არც ერთ სახელმწიფო მმართველს არ  
მოსვლია აზრად გამოეყენებინა რელიგიური შემწყნარებლობის  
კანონი. თვით უდიდესი მოაზროვნებიც კი ამის სასტიკი წი-  
ნააღმდეგნი იყვნენ. მაგალითად პლატონი – გავიხსენოთ მისი  
ე.წ. Sophronistere (საპურობილე) და ციცერონი – ერთ-ერთი ყვე-  
ლაზე თავისუფალი პიროვნება, რომელიც აღნიშნავდა, რომ არა-  
ვის ჰქონდა უფლება ყოლოდა ცალ-ცალკე ღმერთები, ეღია-  
რებინა შერეული კულტები, თუ სახელმწიფო არ მიიღებდა მათ.

თვით რომშიც, სადაც ყველა წარმართი კულტი მისაღები  
იყო და ერთი შეხედვით არ ებრძოდნენ მონოთეისტურ რელი-  
გიებსაც კი (ამის სხვადასხვა მიზეზები არსებობდა), რელიგიური  
თანასწორობის იდეა წარმოუდგენელი ფუფუნება იყო (ამ შემთხ-  
ვევაში საუბარი გვაქვს სწორედ თანასწორუფლებიანობაზე და  
არა სახელმწიფოში რომელიმე რელიგიის დაშვებაზე). თვით ისე-  
თი ტოლერანტი იმპერატორი, როგორიც ალექსანდრე სევერუსი

იყო და ქრისტიანების მიმართ გარკვეულ სიმპათიასაც კი ამჟღავნებდა, რელიგიურ თანასწორუფლებიანობაზე არ საუბრობს.

თუ 311 წლის გალერიუსის ბრძანება ძირითადად ქრისტიანების დევნის შეწყვეტისაკენ იყო მიმართული, 313 წლის მიღანის ედიქტის ქრისტიანობა უკვე სხვა რელიგიების რანგში აჰყავდა და არა უმეტეს ამისა. როგორც აღვნიშნეთ, მიღანის ედიქტის მიხედვით, რომის იმპერიაში პირველად იქნა ოფიციალურად აღიარებული რელიგიური თავისუფლება.

ჩვენ ამ ბრძანების ისტორიულ და რელიგიურ მნიშვნელობას ნამდვილად არ ვაყენებთ ჩრდილს, მაგრამ, ჩვენი აზრით, იგი შეიძლება აღქმულ იქნეს იმ ერთ-ერთ ოფიციალურ დოკუმენტად, წარმართობიდან ქრისტიანობაზე გადასვლის ერთ-ერთ შემაერთებელ რგოლად, რომელსაც კონსტანტინე თანმიმდევრული პოლიტიკით ახორციელებდა ამ წლებში (311-325 წწ.) – გალერიუსის ედიქტიდან მოყოლებული ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრებამდე. შესაბამისად, შეცდომა იქნებოდა მიღანის ედიქტის ცალკე, დამოუკიდებლად განხილვა მის გამოქვეყნებამდე და გამოქვეყნების შემგომ მომხდარი მოვლენების გაანალიზების გარეშე.

კონსტანტინე დიდმა მიღანის ედიქტით პირველად გაიღაშქრა არსებული კანონების წინააღმდეგ და ყველა ერთ რანგში დააყენა, რითაც საფუძველი ჩაუყარა მონოთეისტური სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, რაზეც მის მიერ შემდგომში გადადგმული ნაბიჯები მეტყველებენ. პირველი რასაც იგი აკეთებს არის ის, რომ ქრისტიანულ თემებს, კლირებს და საეკლესიო ნაგებობებს მთელ რიგ შეღავათებს აძლევს. Codex Theodosianus (XVI, 2, 1:7) ვიგებთ, რომ 313 წ. კონსტანტინე კლირებს ათავისუფლებს დეკურიონატის სიმძიმისაგან. 315 წ. ბრძანებით, რომლითაც მტკიცდება საიმპერატორო დომენის (resprivatae) გათავისუფლება სახაზინო გადასახადისაგან. მის თანაბრად აყენებს ეკლესიებს ecclesial catholical საეკლესიო საოჯახო სამღვდელოების საწინააღმდეგოდ. 319 წ. კლირის წევრებს ყველა გადასახადიდან ათავისუფლებს. იმავე 319 წ. ეპისკოპოსებს ენიჭებათ იურისპრუდენცია სამოქალაქო საქმეებში, რის შედეგადაც ყველა ქრისტიანს შეეძლო თავისი საქმის გადატანა ეპისკოპოსის სა-

სამართლოში, ჩვეულობრივი სასამართლო ინსტანციის გვერდის ავლით. 319 წელსცე აკრძალულ იქნა მონათა გათავისუფლების ახალი ფორმა ეკლესიაში ეპისკოპოსის წინაშე და ქრისტიანული რელიგიიდან გამომდინარე, კვირა – „ღვთის დღე“ რომში ოფიციალური „დასვენების დღედ“ გამოცხადდა. იმავე წელს ეკლესიებს განსაკუთრებული უფლება მიეცათ შეეძინათ ანდერძით დამტკიცებული ქონება. 323 წ. ბრძანებით კი აიკრძალა ქრისტიანებისათვის წარმართულ რიტუალებში მონაწილეობის ძალდატანება. თუ აქამდე ეკლესიები თავად ქრისტიანთა შეწირულობათა ხარჯით იგებოდა, 324 წლის შემდეგ კონსტანტინე ეკლესიების აშენებას სამეფო ხაზინის სახსრებით აკანონებს. ასე რომ, მხოლოდ ამ ღონისძიებების გატარების შემდგომ შეგვიძლია ქრისტიანთა პრივილეგირებულ და გაბატონებულ მდგომარეობაზე საუბარი, რასაც შედეგად 325 წლის ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრება მოჰყვა.

## დასკვნა

პირველი საუკუნიდან მოყოლებული სახელმწიფო ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებამდე, ქრისტიანობის ისტორია რამდენიმე პერიოდად შეგვიძლია დავყოთ. პირველი ეტაპი მოიცავს 30-125 წ. ეს არის პერიოდი ქრისტიანობის სწრაფი გავრცელებისა და ქრისტიანული თემების პროგრესული ემანსიპაციისა იუდაიზმთან მიმართებაში, რომლის ნიალშიც იგი აღმოცენდა. მეორე ეტაპი გრძელდება 125-250 წწ., რომლის დროსაც ხდება ეკლესიების ერთიან დედაეკლესიასთან შეერთება. ეს არის პირველი დიდი ერესების (გნოსტიციზმი, მარკიონელობა, მონტანიზმი და სხვ.) აღმოცენების ეპოქა, როდესაც ეპისკოპოსების, რწმენის კონფესიების, ბიბლიის კანონები წესდება. მესამე ეტაპი მოიცავს 250-325 წწ., რომელიც ქრისტიანობის უბრალო ტრანსფორმაციით ხასიათდება. ამ პერიოდს ემთხვევა ქრისტიანების საშინელი დევნა იმპერიაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა III ს. მეორე ნახევარსა და IV ს. დასაწყისში.

რომის იმპერიაში პირველი ქრისტიანული თემების აღმოცენება იქსო მაცხოვარსა და ქრისტეს მოციქულთა მისიონერულ საქმიანობას უკავშირდება, რომლებიც ძირითადად იუდეურ მოსახლეობაში ქადაგებენ. იერუსალიმის კრების შემდგომ, ქრისტიანული თემები წარმართებშიც იწყებენ აღმოცენებას.

I-III სს. ქრისტიანობა რომის აღმოსავლეთ პროვინციებში იკიდებს ფეხს. დასავლეთ პროვინციებში, განსაკუთრებით მის შიდა რეგიონებში მოგვიანებით შედის.

ქრისტიანობა წარმატებით სარგებლობდა, როგორც რომის იმპერიის დედაქალაქის (სადაც მესამე საეკუნის შუა ხანებშიც კი ქრისტიანული თემი ბერძნული იყო და რომის პირველი ეპისკოპოსებიც ბერძნები იყვნენ), ისე მისი აღმოსავლეთის პროვინციების მოსახლეობას შორის. ქრისტეს მიმდევრები დიდი რაოდენო-

ბით იყვნენ ზღვის პირას განლაგებულ ქალაქებშიც. მებრძოლი მესიანიზმის ნგრევამ ხელი შეუწყო ქრისტიანობის გავრცელებას, რამაც მოვლენები დააჩქარა და ამ მონოთეისტურმა რელიგიაში რომის თითქმის ყველა პროვინციაში მოიკიდა ფეხი. ასე რომ III ს. ბოლოსა და IV ს. დასაწყისისათვის ეს მოძღვრება რომის იმპერიაში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ რელიგიას წარმოადგენდა.

პირველი საუკუნიდან მოყოლებული ქრისტიანობის სახელმწიფო ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებამდე რომის იმპერიაში ქრისტიანთა დევნის რაოდენობა ათით განისაზღვრება და ათ იმპერატორს მიეწერება, თუმცა რომში ამ დროს ქრისტიანთა გაცილებით ბევრ დარბევას ჰქონდა ადგილი. ქრისტიანობის ამკრძალავი სპეციალური კანონი იმპერიაში I-II სს. არ არსებობდა, უბრალოდ, პროვინციის მმართველებს უფლება ჰქონდათ მიცემული საკუთარი შეხედულებების მიხედვით ემოქმედათ.

რომი III საუკუნეში შეიძლება ითქვას, მიხვდა, რომ ქრისტიანული ეკლესია სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა და სახელმწიფოში სახელმწიფოს წარმოადგენდა, რაც იმპერიის მამების აზრით, ქვეყნის ძლიერებას არყევდა. რომს უნდა ემოქმედა და არც აყოვნებდა. 202 წ. სეპტიმიუს სევერუსის კანონით, აიკრძალა ქრისტიანობასა და იუდაიზმზე გადასვლა.

ამ მონოთეისტური რელიგიის მიმდევრების მდგომარეობა განსაკუთრებით დამძიმდა მესამე საუკუნის შუა ხანებიდან, როდესაც უკვე იმპერატორთა ოფიციალური ბრძანებით ხდებოდა ქრისტიანების დევნა სახელმწიფოს მიერ (დეციუსის 249-250 წწ. ედიქტი, ვალერიანეს 257 წ. VIII – 258 წ. VIII 2 ედიქტი და დიოკლეტიანეს მიერ 303-304 წწ. გამოცემული 4 ედიქტი).

ქრისტიანობის ისტორიაში განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს 311-325 წწ., როდესაც იგი დევნილი რელიგიიდან არა მარტო თანასწორუფლებიანი რელიგიის რანგში ავიდა, არამედ გაბატონებული ადგილი დაიკავა რომის იმპერიაში, რაშიც გადამწყვეტი როლი იმპერატორ კონსტანტინე I ენიჭება, რომელმაც თავისი თანამიმდევრული პოლიტიკით შედარებით უმტკივნეულოდ მოახერხა ეს.

## რომის იმპერატორთა ნუსხა

ოქტავიანე ავგუსტუსი – ძ.წ. 27-ახ.წ. 14 (Caesar Augustus)  
ტიბერიუსი – 14-37 წწ. (Ti.Caesar Augustus)  
კალიგულა – 37-41 წწ. (C. Caesar Augustus Germanicus)  
კლავდიუსი (I) – 41-54 წწ. (Ti. Claudius Caesar Augustus Germanicus)  
ნერონი – 54-68 წწ. (Nero Claudius Caesar Augustus Germanicus)  
გალბა – 68-69 წწ. (Ser.Sulpicius Galba Caesar Augustus)  
ოფონი – 69 წ. (M. Otho Caesar Augustus)  
ვიტელიუსი – 69 წ. (A. Vitellius Augustus imp. Germanicus)  
ვესპასიანე – 69-79 წწ. (Caesar Vespasianus Augustus)  
ტიტუსი – 71-81 წწ. (71-79 წწ. ვესპასიანეს თანამოსაყდრე, Caesar Titus Vespasianus Augustus)  
დომიციანე I – 81-96 წწ. (Domitianus Caesar Augustus)  
ნერვა – 96-98 წწ. (Caesar Nerva Augustus)  
ტრაიანე – 98-117 წწ. (Caesar Nerva Traianus Augustus)  
ადრიანე – 117-138 წწ. (Caesar Traianus Hadrianus Augustus)  
ანტონინუს პიუსი – 138-161 წწ. (Caesar T. Aelius Hadrianus Antoninus Augustus Pius)  
მარკუს ავრელიუსი – 161-180 წწ. (Caesar M. Aurelius Antoninus Augustus)  
ლუციუს ვერუსი – 161-169 წწ. (Caesar L. Aurelius Verus Augustus)  
კომოდუსი – 176-192 წწ. (176-180 წწ. მარკუს ავრელიუსის თანამოსაყდრე, Caesar L. Aelius Aurelius Commodus Augustus)  
პერტინაქსი – 193 წ. (Caesar P.Helvius Pertinax Augustus)  
დიდიუს იულიანე – 193 წ. (Caesar M. Didius Severus Iulianus Augustus)  
სეპტიმიუს სევერუსი – 193-211 წწ. (Caesar L. Septimius Severus Pertinax Augustus)

კლოდიუს ალბინუსი – 193-197 წწ. (193-197 წწ. სეპტიმიუს სევერუსის თანამოსაყდრე Caesar D. Clodius Septimius Albinus Augustus, ძალაუფლებას ედავებოდა სეპტიმიუს სევერუსს)

პესცენიუს ნიგერი – 193-194 წწ. (Caesar C. Pescennius Niger Iustus Augustus, ძალაუფლებას ედავებოდა სეპტიმიუს სევერუსს)

კარაკალა – 198-217 წწ. (198-211 წწ. სეპტიმიუს სევერუსის თანამოსაყდრე, Caesar M. Aurelius (Severus) Antoninus Augustus (Caracallus, Caracala))

გეტა – 209-212 წწ. (209-211 წწ. სეპტიმიუს სევერუსის თანამოსაყდრე, 211-212 წწ. კარაკალას თანამოსაყდრე, Caesar P. Septimius Geta Augustus)

მაკრინუსი – 217-218 წწ. (Caesar M. Opellius Macrinus Augustus)

ელაგაბალუსი – 218-222 წწ. (Caesar M. Aurelius Antoninus Augustus)

ალექსანდრე სევერუსი – 222-235 წწ. (Caesare M. Aurelius Severus Alexander Augustus)

მაქსიმინე თრაკიელი – 235-238 წწ. (Caesar C. Iulius Verus Maximinus Augustus)

გორდიანე (I) – 238 წ. (Caesar M. Antoninus Gordianus Sempronianus Romanus Africanus Augustus)

გორდიანე (II) – 238 წ. (Caesar M. Antoninus Gordianus Sempronianus Romanus Africanus Augustus)

პუპიენუსი – 238 წ. (Caesar M. Clodius Pupienus Maximus Augustus)

ბალბინუსი – 238 წ. (Caesar D. Caelius Balbinus Augustus)

გორდიანე (III) – 238-244 წწ. (Caesar M. Antoninus Gordianus Augustus)

ფილიპე I არაბი (უფროსი) – 244-249 წწ. (Caesar M. Iulius Philippus Augustus)

ფილიპე II (უმცროსი) – 244-249 წწ. (მამის ფილიპე I არაბის თანამოსაყდრე Caesar M. Iulius Philippus Augustus)

ურანიუსი – 248-253 წწ. (L. Iulius Aurelius Sulpicius Uranius Antoninus)

მარინ პაკატიანე – 248 წ. (Caesar Tiberius Claudius Marinus Pacatianus Augustus)

იოტაპიანუსი – 249 წ. (Caesar Marcus Flavius Ru(fus?) Jatapianus Augustus)

დეციუსი I – 249-251 წწ. (Caesar C. Messius Quintus Traianus Decius Augustus)

დეციუს II (უმცროსი) – 250-251 წწ. (Caesar C. Herrenius Etruscus Messius Decius Augustus)

პოსტილიანუსი – 250-251 წწ. (Caesar C. Valens Hostilianus Messius Quintus Augustus)

ტრებონიანუს გალი – 251-253 წწ. (Caesar C. Vibius Trebonianus Gallus Augustus)

ვოლუზიანუს გალი – 251-253 წწ. (Caesar C. Vibius Afinius Gallus Veldumnianus Volusianus Augustus)

ემილიანუსი – 253 წ. (Caesar M. Aemilius Aemilianus Augustus)

ვალერიანე – 253-260 წწ. (Caesar P. Licinius Valerianus Augustus)

გალიენუსი 253-268 წწ. (Caesar P. Licinius Egnatius Gallienus Augustus)

პოსტუმუსი – 258-268 წწ. (იმპერატორად გამოცხადებული იყო გალიაში, Caesar M. Cassianius Latinuss Postumus Augustus, ძალაუფლებას ედავებოდა გალიენუსს)

ვიქტორიონუსი – 268-270 წწ. (Casear M.Piavonius Victorius Augustus)

მაკრიანუსი – 260 წ. (Macrianus Titus Fulvius Junius)

რეგალიანე – 261 წ.

ავრეოლი – 267-268 წწ. (მანიუს აცილიუს ავრეოლი)

ლელიანუსი – 268 წ. (Caesar Caius Ulpius Cornelius Laelianus Augustus)

მარიუსი – 268 წ. (Caesar Marcus Aurelius Marius Augustus, იმპერიას მართავდა სამი დღე)

ტეტრიკუსი – 270-273 წწ. (Caesar C. Pius Esuvius Tetricus Augustus)

კლავდიუსი II – 268-270 წწ. (Casear M. Aurelius Claudius Augustus)

კვინტილიუსი – 270 წ. (Caesar M. Aurelius Claudius Quintillius Augustus)

ავრელიანე – 270-275 წწ. (Caesar L. Domitius Aurelianus Augustus)

დომიციანე II 270-275 წწ. (Domitianus)

ვაბალატი – 270-271 წწ. იმპერატორი კეისარ ლუციუს იულიუს ავრელიუს სეპტიმიუს ვაბალატ ამენოდორ ავგუს-

ტუსი. გალიენუსის მიერ ოფიციალურად აღიარებული აღმოსავლეთის მმართველი. ზენობიას და ოდინატეს შვილი, Lucius Iulius Septimius Vaballatus Aphenodorus).

ტაციტუსი – 275-276 წწ. (Caesar M. Claudius Tacitus Augustus)

ფლორიანუსი – 276 წ. (Caesar M. Annianus Florianus Augustus)

პრობუსი – 276-282 წწ. (Caesar M. Aurelius Probus Augustus)

სატურნინუსი – 280 წ. (გაიუს იულიუს სატურნინი, Saturninus Iulius)

კარუსი – 282-283 წწ. (Caesar M. Aurelius Carus Augustus)

იულიანე I – 283 წ. (Caesar M. Aurelius Julianus Augustus, ძალა-  
უფლებას ედავებოდა კარინუსს)

კარინუს I – 283-285 წწ. (Caesar M. Aurelius Carinus Augustus)

ნუმერიანე – 283-284 წწ. (Caesar C. Aurelius Numerius Numerianus  
Augustus)

დიოკლეტიანე – 284-305 წწ. (Caesar C. Aurelius Valerius Diocletianus Augustus)

მაქსიმიანე – 285-305 წწ. (Caesar M. Aurelius Valerius Maximianus Augustus)

კონსტანტიუს I ქლორუსი – 293-306 წწ. (Caesar M. (C) Flavius Valerius Constantius Augustus)

გალერიუსი – 293-311 წწ. (Caesar C. Galerius Valerius Maximianus Augustus)

კარაუზიუსი (ბრიტანეთში) – 286-293 წწ. (Caesar M. Aurelius Maus Augustus, ძალაუფლებას ედავებოდა კონსტანტიუსს)

ალექტუსი – 293-296 წწ. (C. Allectus Augustus)

დომიციანე – 296-297 წწ. (Imperator Caesar Lucius Domitius Domitianus Augustus).

აქილუსი – 297-298 წწ. (Aurelius Achilleus).

ფლავიუს სევერუსი – 305-307 წწ. (Caesar Flavius Valerius Severus Augustus)

მაქსიმინე დაზა – 305-313 წწ. (Caesar Galerius Valerius Maximinus Augustus)

მაქსენტიუსი – 306-312 წწ. (Caesar M. Aurelius Valerius Maxentius Augustus)

ალექსანდრე (აფრიკაში) – 308-311 წწ. (Caesar L. Domitius Alexander Augustus, ძალაუფლებას ედავებოდა მაქსენციუსს)  
ლიცინიუსი – 308-324 წწ. (Caesar Valerius Licinianus Licinius Augustus)  
კონსტანტინე (I) დიდი – 306-337 წწ. (Caesar C. Flavius Valerius Constantinus Augustus)  
ვალენტინე – 314 წ. (Caesar Aurelius Valerius Valens Augustus).  
კონსტანტინე II – 317-340 წწ. (Caesar Flavius Claudius Constantinus (iunior) Augustus)  
მარტინიანუსი – 323 წ (Caesar Sextus Marcius Martinianus Augustus).  
კონსტანტი – 333-350 წწ. (Caesar Flavius Iulius Constans Augustus)  
კონსტანტიუს (II) – 324-361 წწ. (Caesar Iulius Constantius Augustus)  
ნეპოტიანე – 350 წ. (Caesar Flavius Iulius Popilius Nepotianus Constantinus Augustus).  
ვეტრანიონე – 350 წ.  
მაგნენციუსი – 350-353 წწ. (Caesar Flavius Magnentius Maximus Augustus, ძალაუფლებას ედავებოდა კონსტანტის, ხოლო მისი სივრცილის შემდეგ კონსტანტიუსს)  
სილვანუსი – 355 წ. (Silvanus)  
იულიანე (II) განდგომილი – 355-363 წწ. (Caesar Claudio Iulianus Augustus)  
იოვიანე – 363-364 წწ. (Caesar Flavius Iovianus Augustus)  
ვალენტინიანე (I) – 364-375 წწ. (Caesar Flavius Valentinianus Augustus)  
ვალენტინიანე (II უმცროსი) – 375-392 წწ. (Caesar Flavius Valentinianus (iunior) Augustus)  
მაგნუს მაქსიმიანე – 383-388 წწ. (Caesar Magnus Maximus Augustus)  
ფლავიუს ვიქტორი – 384-388 წწ. (Caesar Flavius Victor Augustus)  
ევგენიუსი – 392-394 წწ. (Caesar Flavius Eugenius Augustus)  
თეოდოსი (I) დიდი – 379-395 წწ. (Caesar Flavius Theodosius Augustus)

## გამოყენებული ლიტერატურა

1. გოილაძე ვ., ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბ., 1991.
2. ლორთქიფანიძე გ., ბიჭვინთის ნაქალაქარი, თბ., 1991.
3. მშვილდაძე მ., მილანის ედიქტის ანალიზის საკითხისათვის (თანამედროვე ისტორიოგრაფიის ფონზე), კრებ.: კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, XI, თსუ, თბ., 2002, გვ. 80-90.
4. მშვილდაძე მ., პირველი ქრისტიანები რომის იმპერიაში, ქრისტიანობა: წარსული, აწმყო, მომავალი (საერთაშორისო სიმპოზიუმზე წაკითხულ მოხსენებათა მოკლე შინაარსები), თბ., გამომც., „მემატიანე“, 2000, გვ. 60 (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე).
5. მშვილდაძე მ., ქრისტიანების მდგომარეობა რომის იმპერიაში III ს. I ნახევარში, კრებ.: კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, X, თსუ, თბ., 2001, გვ. 96-102.
6. მშვილდაძე მ., დიოკლეტიანეს რელიგიური პოლიტიკა (IV ს. და-საწყისი), კრებ.: „მესხეთი“ (საისტორიო კრებული), IV, თბილისი-ახალციხე, თსუ გამომც., 2001, გვ. 29-35.
7. პატარიძე ლ., თარგმანი, ევსები კესარიელი – კონსტანტინე დიდის წერილები აღმოსავლეთის ეპარქიებს (ნაწყვეტიები კონსტანტინე დიდის ცხოვრებიდან), „მნათობი“, თბ., 1991, 7, გვ. 155-160.
8. სანიკიძე ლ., რომის იმპერია, თბ., 1984.
9. ჯაფარიძე ა., საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ოთხ ტომად, I, თბ., 1996.
10. Болотов В. В., Введение в церковную историю, т. I, М., 1994.
11. Болотов В. В., Лекции по истории древней церкви, т. II, М., 1994.
12. Буассье Г., Подение языщества, Исследование последней религиозной борьбы на Западе в четвёртом веке, М., 1892.
13. Буассье Г., Римская религия от времён Августа до Антонинов, М., 1914.
14. Виппер Р. Ю., Рим и раннее христианство, М., 1954.
15. Георгий Св. Великомученик, в энциклопедии Брахгауз-Ефрон, т.15.
16. Гидулянов П .В., Восточные патриархи в период четырёх первых вселенских соборов, Ярославль, 1908.

17. Гидулянов П. В., Митрополиты в первые три века христианства, М., 1905.
18. Голубцова Н. И., У истоках христианской церкви, М., 1967.
19. Донини А., У истоков христианства (от зарождения до Юстиниана), М., 1989.
20. Кац А. Л., Манихейство в Римской империи по данным "Acta Archelai", ВДИ, 1955, №3, с.168-179.
21. Левинская И., Деяния апостолов на фоне еврейской диаспоры, Санкт-Петербург, 2000.
22. Машкин Н. А., История Древнего Рима, ОГИЗ, 1947.
23. Моммзен Т., История Рима, т. I-III, М., 1936-1941.
24. Моммзен Т., История Рима, т. V, М., 1949.
25. Поснов М. Э., История христианской церкви до распада церкви 1054, Брюсель, 1964.
26. Ранович А. Б., Очерки по истории древнееврейской религии, М., 1937.
27. Ранович А. Б., Первоисточники по истории раннего христианства, М., 1933.
28. Свенцицкая И. С., От общины к Церкви, М., 1985.
29. Свенцицкая И. С., Тайные писания первых христиан, М., 1980.
30. Штаерман Е. М., Гонения на христиан в III в., ВДИ, 1940, № 2, с.96-105.
31. Bernardi J., *Les Premiers siècles de l'église*, Paris, 1987.
32. Berciu I., Petolescu C.C., *Les cultes orientaux dans la Dacia Mérionale*, Leiden, Brill, 1976, *Dacia*, 1977, XXI, p. 390-391, G. Popilian.
33. Bertrand F., Demarolle J. M., *L'Empire romain de 192 à 337 après J.-C.*, Paris, 1998.
34. Christol M., *L'Empire romain du III-e siècle*, Histoire politique 192-325 après j.-C., Paris, 1997.
35. Christol M., *L'État romain et la crise de l'Empire (253-268)*, IH, 44, 1982, p.156-163.
36. Debord P., *Aspects sociaux et économiques de la vie religieuse dans l'Anatolie greco-romaine*, EPROER, 88, Leiden, Brill, 1982.
37. Harnack A., *Die Mission und Ausbreitung des Christentums in den ersten drei Jahrhunderten*, Leipzig, 1924.
38. Harnack A., *Überlieferung und der Bestand der altkirchlichen Literatur*, Leipzig, 1895.
39. *Histoire de l'Eglise depuis les origines jusque' à nos jour*, Publ. sous la dir. de A. Fliche et V. Martin, Paris, 1934-1964, 21 vol.
40. *Histoire des religions*, t. II, Paris, 1972.
41. *Histoire du Christianisme: des origines à nos jours*, sous la dir. de J. M. Mayeur, C. et L. Pietri, A. Vaches... 2. *Naissance d'une chrétienté: 250-*

- 430, sous la responsabilité de Charles et Luce Pietri, avec la collabor. de J. Viarne, L. Brottier, A. Chauvet, Y. Puval, Paris, 1995.
42. Knipfing J. H., The Libeli of Decius Persecution, dans H. Th.R. 16, 1923, p. 345-359.
43. Lane Fox R., Païens et chrétiens, La religion et la vie religieuse dans l'Empire romain de la mort de Commode au concile de Nicée, trad. R. Alimi, M. Montabrut et E. Pailler, Toulouse. Presses Universitaires du Mirail, 1997.
44. Laporte J., La Bible et les origines chrétiennes, Paris, 1996.
45. Lewis N., La Mémoire des Sables. La vie en Égypte sous la domination romaine. Préface et traduction de Pierre Chuvin, Paris, 1988.
46. Luderitz G., What is the Politeuma? Studie in Early Jewish Epigraphy, Leiden, New York, Köln, 1994.
47. Martin J.-P., Pouvoir et religions de l'avènement de Septime Sévère au concile de Nicée (193-325 ap. J.-C.), Paris, 1998.
48. Meyers Eric M., Les Rabin et les premiers chrétien, Archéologie et Histoire, Paris, 1984.
49. Moreau J., La Persécutions du Christianisme dans l'Empire roman, Paris, 1956.
50. Prigent P., L'Art des premiers chrétiens : L'héritage culturel et la foi nouvelle, Paris, 1995.
51. Reinach S., Cultes, Mythes et Religions, Paris, 1996.
52. Simon M., La Civilisation de l' Antiquité et le Christianisme, Paris, 1972.
53. Sotomayor M., La Iglesia en la España romana, Historia de la Iglesia en España, Madrid, 1979.
54. Taylor J., Why were the Disciples First called "Christians" at Antioch? (Achs 11 : 26), RB, 101 : 1, 1994, p.75-94.
55. Ubiña J. F., Doctrine rituel et hiérarchie dans les premières communautés Chrétiennes d'Hispania, DHA, 17, 1, 1991, p. 401-422.

**გამოყენებული ინტერნეტ-გვერდების მისამართები**

[www.photobucket.com](http://www.photobucket.com)

[www.sarmata.livejournal.com](http://www.sarmata.livejournal.com)

[www.wikipedia.org](http://www.wikipedia.org)

[www.krugosvet.ru](http://www.krugosvet.ru)

[www.uer.varvar.ru](http://www.uer.varvar.ru)

[www.byzantium.ru](http://www.byzantium.ru)

## პირთა სახელმძის საქიეპელი

### პ

აბრამი, 78  
ადრიანე, 32, 63, 66, 67, 68, 123,  
137  
ავგუსტინე, 28, 43, 52  
ავრელიანე, 51, 93, 94, 95, 125,  
138  
ათანასე, 37, 55, 103  
ათანასე ალექსანდრიელი, 37  
ათანასე დიდი, 103  
ალექსანდრე  
    ალექსანდრიელი, 37  
ალექსანდრე  
    იერუსალიმელი, 87  
ალექსანდრე სევერუსი, 18, 75,  
77, 78, 79, 92, 118, 124, 138  
ამონიუს საკა, 9  
ამონიუსი, 28  
ანტონ დიდი, 28  
ანტონინუსები, 42, 44, 63, 68  
აპოლონ ტიანელი, 18, 78  
არიოზი, 103  
არისტოტელე, 30  
არწობიუსი, 43

### ბ

ბაალი, 77, 78  
ბარ-კოხბა, 32, 67  
ბარნაბა, 21

### ბასილიდი, 86

ბაჰრამ I, 99  
ბოლოტოვი ვ., 15

### გ

გაიუსი, 19, 38, 95, 126  
გალერიუსი, 95, 97, 98, 104, 106,  
107, 108, 110, 111, 112, 113,  
114, 116, 119, 126  
გალიენუსი, 89, 92, 93, 95, 125,  
138  
გიორგი კაპადოკიელი, 108  
გოლუბცოვა ნ. ი., 15, 58  
გრაკხუსები, 72  
გრეგუარი გ., 14

### დ

დაგრო გ., 14  
დეციუსი, 51, 82, 83, 84, 85, 87,  
88, 89, 106, 108, 122, 125, 138  
დომიციანე, 45, 51, 52, 62, 64,  
80, 123, 125, 126, 137  
დომიცილა, 13, 62  
დონინი, 49, 62  
დიოკლეტიანე, 11, 27, 45, 46,  
51, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100,  
101, 104, 105, 106, 107, 108,  
110, 112, 116, 122, 126, 128,  
138

- დიონისე ალექსანდრიელი, 81,  
84, 87, 88, 102
- დიონისე კორინთელი, 38
- დიონ კასიუსი, 53, 82
- დიონ ქრიზოსტომუსი  
(ოქროპირი), 64
- დრევსი, 59
- 3**
- ევსები კესარიელი, 10, 27, 30,  
37, 39, 66, 67, 68, 70, 74, 78,  
79, 87, 90, 101, 102, 105, 113,  
116, 128
- ელენე, 116
- ერმა, 11
- ეფრემი, 93
- 3**
- ვალერიანე, 51, 82, 88, 89, 90,  
91, 92, 109, 122, 125, 138
- ვიპერი რ., 59
- ვიტიუს ეპიგაფუსი, 71
- 4**
- ზარატუშტრა, 100
- ზინობია, 93
- 0**
- იაკობი, 21, 26, 32
- იგნასი, 66
- იესო, 7, 12, 21, 23, 29, 30, 53, 74,  
75, 100, 102, 103, 121
- ილარიონ დიდი, 28
- ილარიონი, 28
- იოანე, 6, 25
- იოვიუსი, 96
- იოსებ ფლავიუსი, 61, 72
- ირინეოსი, 8, 12, 38, 43, 44, 45,  
64, 73
- იროდიონი, 38
- ისიდა, 57, 84
- იულია დომნა, 19, 78
- იულია მამეა, 77, 78
- იულია მესა, 78
- იულია სემია, 78
- იუპიტერ კაპიტოლიუმი, 32, 62
- იუსტინე, 6, 7, 70
- იუსტოსი, 21
- 3**
- კაპუსი, 87
- კალიგულა, 19, 123
- კარაკალა, 75, 77, 124
- კასიუსი, 91, 95
- კაცი ა. ლ., 15
- კიბელა, 84
- კიპრიანე, 9, 43, 44, 45, 84, 85,  
87, 89, 90, 91
- კლავდიუსები, 13, 17, 18, 54, 63
- კლავდიუსი, 19, 24, 37, 53, 94,  
123, 125
- კლიმენტი, 8, 9, 11, 20, 36, 38,  
39, 40, 62, 76
- კლიმენტი ალექსანდრიელი, 8,  
9, 20, 36, 76
- კლიმენტი რომაელი, 39
- კომოდუსი, 63, 74, 123, 138
- კონსტანტინე, 10, 46, 48, 78, 79,  
106, 110, 111, 113, 114, 115,  
116, 117, 118, 119, 122, 127,  
128, 138
- კონსტანცა, 115
- კონსტანციუს I ქლორუსი, 45,  
97, 98, 107, 110, 126
- კორნელიუსი, 39, 87
- კუბლანოვი ლ., 16

## Բ

- լայքիանցույսօ, 11, 43, 53, 62,  
80, 94, 105, 106, 113, 116  
լուզուա գրութօնլա, 19  
լուզոնսկասօ օ., 15  
լուցոնույսօ, 111, 114, 115, 116,  
118, 127  
լուցույս գոմիցույս  
ալեյլսանդրը, 111  
լուզա, 15, 33, 53  
լուզուանց, 13, 30, 34, 87  
լուսթո ჰ., 14, 57  
լուցույս ցըზարո, 19

## Ճ

- ճատը, 6  
ճակարո, 32  
ճայրուանյսօ, 90  
ճայրունո, 76  
ճանո, 99, 100, 101, 103  
ճարկոթո, 6, 21, 36  
ճարկոյս ավրելույսօ, 7, 41, 51,  
63, 68, 69, 73, 74, 82, 83, 97,  
123, 138  
ճարսելոնո, 106  
ճարցուա, 74  
ճայլսենցույսօ, 110, 111, 115, 126  
ճայլսոմոնց, 97, 98, 106, 107,  
108, 110, 126  
ճայլսոմոնց, 51, 55, 79, 80, 110,  
111, 112, 113, 114, 115, 124,  
126, 138  
ճայլսոմոնց დაზա, 55, 110, 111,  
112, 113, 114, 115, 126  
ճայլսոմոնց თրայույլո, 51, 79,  
80, 124, 138  
ճայլսոմոյսօ, 87  
ճաբեռարո, 18, 19, 22, 23, 26, 78

մետուց ռլոմիցույլո, 28

մելոթոնո, 52, 71

մոտրօ, 5, 47, 84

մոնույս ტոմինույսօ, 42

մոնույս ցոյնդանյսօ, 67

մոմթօնո თ., 57, 58

մորեգոն ჰ., 14

մորո ჟ., 14

մոսյ, 21, 78, 87, 102, 103

## Զ

նամցանո, 41

նեპոթո, 102

ներզա, 63, 64, 123

ներոնօ, 19, 38, 39, 40, 51, 52,  
58, 59, 60, 61, 70, 80, 123, 137

նոյութորյ კալուսթյ, 38

## Ռ

ռորոցենյ, 9, 10, 11, 12, 20, 76, 78

ռռոթույսօ, 53

ռռցյուսօ, 18, 78

## Ց

չացլյ, 6, 11, 21, 22, 24, 25, 26,  
28, 29, 33, 37, 38, 39, 40, 43,  
60, 83, 94

չացլյ սամոսագյլո, 83, 94

չաեմօ, 28

չերպեցուա, 42, 76

չեցրյ, 21, 26, 29, 38, 39, 60, 106

չոյշօ ჰ., 100

չլագոնօ, 37, 118

չլոնույսօ, 14, 64, 65

չլոնույս უմցրոսօ, 13, 63, 64,  
65, 73

չլոնույս უգրոսօ, 64

չլուգիարէյ, 64

პოლემონ II, 107  
პოლიევქტე, 87  
პონტიკუსი, 71  
პოპია საპინა, 61  
პორფირიოსი, 13, 18  
პოსნოვი მ., 15, 20, 55  
პრისცა, 105  
პრობუსი, 94, 126  
პროკლე, 77  
პტოლემაიოსები, 35  
პუბლიუს სეპტიმიუს  
ოდენატე, 93

## რ

რანოვიჩი ა. ბ., 15, 64  
რეიცენშტეინი რ., 57, 58  
რენანი ე., 15

## ს

სებასტიანი, 106  
სელევკ I, 29  
სეპტიმიუს სევერუსი, 37, 42,  
51, 75, 76, 77, 78, 122, 123,  
124, 138  
სერაპისი, 79, 84  
სევერუსი, 76, 77, 79, 110, 124, 126  
სვეტონიუსი, 14, 37, 53, 54, 59, 60  
სვენციცკაია ი., 15  
სილა, 24  
სიმეონ მეტაფრასტი, 38  
სიმეონი, 66  
სიმონი მ., 14  
სიქსტი II, 91  
სკაპულა, 76  
სპანციანუსი, 76  
სტეფანე, 51

## ტ

ტატიანე, 7  
ტაციტუსი, 13, 37, 39, 59, 64, 82,  
126  
ტერტიულიანე, 8, 9, 40, 41, 42,  
43, 44, 52, 53, 60, 64, 71, 74,  
77  
ტეტრიკუსი, 93, 125  
ტიბერიუსი, 19, 57, 72, 123  
ტიმოთე, 33  
ტოკარევი ს., 16  
ტრიანენე, 39, 51, 52, 63, 64, 65,  
66, 73, 123, 137

## ფ

ფაბიენი, 86  
ფილასტრიუსი, 102  
ფილიპე არაბი, 81, 138  
ფელისიტე, 42  
ფილოსტრატე, 13  
ფლავიუს ვალერიუს  
სევერუსი, 110  
ფრუქტულისუსი, 91

## გ

შტაერმანი ე. მ., 15  
შუვენი პ., 14

## გ

ცელსუსი, 9, 13, 56  
ციცერონი, 11, 118

## ჰ

ჰარნაკი ა., 14, 48, 100  
ჰელიოგაბალი, 77  
ჰელიოგაბალუსი, 75, 77, 124  
ჰერკულიუსი, 97

## გეოგრაფიული სახელების საქითხები

### ა

აზია, 30, 31, 33, 34, 35, 66, 68,  
69, 70, 73, 97, 115  
ათენი, 33  
ალექსანდრია, 29, 30, 31, 35, 36,  
37, 48, 76, 81, 87, 88, 90, 136  
ანდალუზია, 47  
ანკირა, 34  
ანტალია, 33  
ანტიოქია, 19, 29, 30, 31, 33, 34,  
37, 39, 48, 54, 66, 87, 89, 136  
არაბეთი, 35, 48, 49, 97, 108  
არლი, 45  
ასონი, 33  
ასტორგა, 86  
აფრიკა, 41, 42, 43, 48, 58, 74, 76,  
84, 91, 97, 98, 107, 111, 127  
აქაია, 97  
აქსიოპოლისი, 46  
აღმოსავლეთ პროვინციები,  
23, 28, 47, 86, 101, 102, 106,  
107, 121

### ბ

ბალკანეთი, 46, 97, 114  
ბელგია, 48, 49  
ბერეა, 33  
ბითვინია, 25, 49, 64, 66  
ბულგარეთი, 46

### გ

გადაური, 41  
გალატია, 33, 35  
გალია, 41, 42, 44, 45, 48, 49, 70,  
71, 72, 86, 98, 111, 112, 125,  
136  
გალილეა, 40  
გამარტა, 41  
გერმანია, 47, 48

### დ

დალმაცია, 41, 48, 49, 112  
დამასკო, 54  
დარდანელი, 48  
დასავლეთ პროვინციები, 29,  
40, 86, 111, 121, 136  
დინოგეტია, 46  
დობრუჯა, 46  
დუნაა, 46, 47, 49, 68, 80, 83, 96  
დუნაის ოლქები, 47  
დუნაისპირეთი, 46, 98, 114  
დუროსტორუმი, 46

### ჰ

ებორაკუმი, 110  
ეგეოსის ზღვა, 37, 46, 49  
ეგეოსის ზღვის კუნძულები,  
46, 49  
ეგვიპტე, 13, 28, 30, 35, 36, 37,  
48, 69, 91, 93, 97, 98, 103, 108,  
114

- ედესა, 48, 49, 93  
 ევფრატი, 49, 68, 87  
 ელვირი, 43, 44, 47  
 ეპირი, 49, 97  
 ესპანეთი, 40, 41, 43, 44, 47, 48,  
     49, 69, 86, 91, 98, 106, 111,  
     112, 136  
 ეფესო, 23, 33, 35, 87
- 3**
- ვენა, 49  
 ვიენი, 8, 70, 71, 72  
 ვინდობონი (ვენა), 49
- თ**
- თებე, 48  
 თესალია, 48  
 თესალონიკე, 33  
 თიატირა, 23  
 თრაკია, 97
- ი**
- იერუსალიმი, 21, 22, 26, 29, 32,  
     33, 54, 62, 66, 85, 102, 121,  
     136  
 იკონია, 33  
 იორდანე, 28  
 იორკი, 45, 110  
 ირლანდია, 49  
 ისავრია, 35  
 ისრაელი, 32  
 იტალია, 47, 48, 49, 69, 86, 93,  
     97, 106, 111  
 იუდეა, 19, 24, 32, 72, 108
- პ**
- კალედონია, 110  
 კაპადოკია, 34, 35, 76, 79, 107
- კართაგენი, 41, 42, 43, 72, 76,  
     85, 86, 87, 91  
 კავკასიონი, 49  
 კელესირია, 48  
 კესარია, 32, 33  
 კვიპროსი, 33, 48, 54  
 კილიკია, 35  
 კირენაიკა, 49, 97  
 კლერმონი, 91  
 კონსტანტინოპოლი, 30, 31, 103  
 კონტინენტური საბერძნეთი,  
     46  
 კორინთო, 33  
 კრეტა, 97
- ლ**
- ლამანში, 45  
 ლამბეზი, 91  
 ლაოდიკია, 23  
 ლიბანი, 49  
 ლიმოჟი, 45  
 ლინკოლნი, 45  
 ლიონი, 8, 45, 70, 71, 72, 73, 75  
 ლისტრა, 33  
 ლუგუნდუნუმი, 72, 73  
 ლუქსორი, 12
- ბ**
- მავრიტანია, 42, 43, 48, 49, 76  
 მაკედონია, 48, 49, 112  
 მარსელი, 44  
 მეზია, 48, 49, 97, 112  
 მესოპოტამია, 35, 48, 49, 93, 97,  
     98, 108  
 მილანი, 46, 97, 98, 111, 116, 117,  
     119, 128  
 მილეტი, 33  
 მილიტენე, 33

მცირე აზია, 23, 25, 30, 33, 34, 35, 46, 48, 49, 58, 70, 97, 102

## 6

ნარბონი, 45, 72

ნიკეა, 4, 31, 34, 37, 46, 100, 103, 114, 115, 119, 120, 137

ნეოკესარია, 31, 34

ნიკომედია, 97, 105

ნილოსი, 35

ნორიკი, 49, 97

ნუმიდია, 43, 48

## 3

პალესტინა, 5, 13, 19, 28, 32, 33, 35, 40, 48, 49, 75, 91, 105, 108

პალმირა, 83, 93, 94

პანონია, 48, 49, 97, 112

პარიზი, 16, 45

პატარა, 20, 33, 63

პერგამო, 23

პისიდის ანტიოქია, 33

პიტიუნტი, 107, 108

პო, 107, 111

პოლემონის პონტო, 35, 107

პონტო, 30, 34, 49, 79, 97, 107, 108, 136

პონტო-კაპადოკია, 34, 136

პტოლემაიდა, 33

## რ

რაინი, 41, 45, 49

რეიმისი, 45

როდოსი, 33

რომი, 4, 5, 7, 10, 11, 13, 14, 15,

17, 18, 19, 20, 22, 23, 24, 29,

30, 33, 37, 38, 39, 40, 41, 42,

43, 44, 46, 47, 48, 49, 51, 52,

53, 54, 55, 56, 57, 58, 60, 62, 63, 64, 66, 67, 68, 71, 72, 74, 75, 77, 78, 79, 80, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 97, 98, 99, 100, 101, 102, 103, 104, 105, 106, 107, 110, 111, 114, 115, 117, 119, 120, 121, 122, 123, 128, 136, 137

რონა, 45, 72

## ს

საბერძნეთი, 24, 33, 35, 86

სამარია, 51

საპროკონსულო აფრიკა, 42, 48, 100

სარდი, 23, 71

საქართველო, 19, 20, 30

სებასტოპოლისი, 107

სეკვანების პროვინცია, 73

სემიტური აღმოსავლეთი, 35

სირაკუზი, 107

სირია, 28, 35, 49, 93, 96, 97, 108

სირია-პალესტინა, 28

სირმიუმი, 97

სიცილია, 49

სმირნა, 87

სომხეთი, 20, 48

სპარსეთი, 20, 30, 95, 98, 99, 101

## ტ

ტვიროსი, 33

ტომისი, 46

ტრანსიორდანული

რეგიონი, 35

ტრევირი, 97

ტრიპოლიტანია, 48

ტრირი, 45, 97

ტროა, 33, 60

ტულუზა, 45

ტური, 45

### ფ

ფაზისი, 107

ფილადელფოსი, 13

ფილიპე, 33, 81, 84, 124, 137

ფილიპოპოლისი, 31

ფინიკია, 35, 48, 54

ფრიგია, 33, 49, 71

### ქ

ქალკედონი, 95

ქერსონესი, 39

### ყ

ყირიმი, 39, 49

### ბ

შავიზლვისპირეთი, 49, 107, 108

შოტლანდია, 46

### ჩ

ჩინეთი, 100

ჩრდილო აფრიკა, 41, 42, 43, 44,  
76, 106, 112, 136

### ე


ხენობოსკიონი, 12

ხმელთაშუაზღვისპირეთი, 33,  
44, 93, 136

### ჰ

ჰელესპონტი, 115

ჰიბერნია, 49



რომისი იმპერია



იესო ქრისტეს გამოსახულება დომიცილას კატაკომბებიდან.  
III-IV საუკუნეების მიჯნა



იესო ქრისტეს მონოგრამა




პრისცილას კატაკომბები (რომი). ახ.წ. II ს. დასაწყისი




იესო და მოციქულები დომიცილას კატაკომბებიდან (რომი). III ს. ბოლო. 300 წელი



კეთილი მწყემსის გამოსახულება კალისტას კატაკომბებიდან  
(რომი). II-III სს. მიჯნა



კეთილი მწყემსის გამოსახულება პრისცილას კატაკომბებიდან  
(რომი). III ს.




იესო ქრისტეს გამოსახულება წმ. პეტრესთან, წმ. პავლესთან  
და წამებულებთან ერთად რომაული კატაკომბებიდან. III ს.



ღვთისმშობელი ყრმით. გამოსახულება პრისცილას  
კატაკომბებიდან. ახ. წ. II ს.


მიცვალებულის დაკრძალვა კატაკომბებში




კატაკომბების მშენებლობა



რომაული კატაკომბები



რომის კატაკომბები





კეთილი მწყემსის გამოსახულება რომაული კატაკომბებიდან




იესო და სამარიტელი. ფრესკა ვია ლატინას კატაკომბებიდან




წმინდა პეტრესა და მარცელინას კატაკომბები.  
მარცხნივ ადამი და ევა. მარჯვნივ ორანტა. III ს.



წმინდა სებასტიანეს კატაკომბები



ადრექრისტიანული სიმბოლოები



იესო ქრისტეს მონოგრამები

## შინაარსი

შესავალი .....	5
თავი 1. ქრისტიანობის გავრცელება ახ.წ. I-III სა. ....	17
ადრეული ქრისტიანობა .....	17
ანტიოქია .....	29
იერუსალიმი .....	32
სმელთაშუაზღვისპირეთი .....	33
პონტო-კაპადოკია .....	34
ალექსანდრია .....	35
რომი .....	37
რომის იმპერიის დასავლეთ პროვინციები .....	40
ა) ჩრდილო აფრიკა .....	41
ბ) ესპანეთი .....	43
გ) გალია .....	44
სხვა მიწები .....	45
ქრისტიანთა პროცენტული შემადგენლობა .....	47
თავი 2. ქრისტიანობა 30-250 წწ. ....	51
ქრისტიანთა დევნის რაოდენობა .....	51
ქრისტიანთა დევნის მიზეზები .....	54
ნერონი (54-68 წწ.) .....	58
დომიციანე (81-96 წწ.) .....	62
ტრაიანე (98-117 წწ.) .....	63
ადრიანე (117-138 წწ.) .....	66
ანტონინუს პიუსი (138-161 წწ.) .....	67

მარკუს ავრელიუსი (161-180 წწ.) .....	68
კომოდუსი (180-192 წწ.) .....	74
სეპტიმიუს სევერუსი (193-211 წწ.) .....	75
ალექსანდრე სევერუსი (222-235 წწ.) .....	77
მაქსიმინე თრაკიილი (235-238 წწ.) .....	79
ფილიპე არაბი (244-249 წწ.) .....	81
<b>თავი 3. ქრისტიანობა 250-325 წწ. ....</b>	<b>82</b>
დეციუსი (249-251 წწ.) .....	82
ვალერიანე (253-260 წწ.) .....	89
გალიენუსი (253-268 წწ.) .....	92
ავრელიანე (270-275 წწ.) .....	93
დიოკლეტიანე (284-305 წწ.) .....	95
რომის იმპერია ახ.წ. IV ს. დასაწყისში და ქრისტიანები .....	110
კონსტანტინე I დიდი (306-337 წწ.) და ქრისტიანობა	
ნიკეის 325 წ. I მსოფლიო საეკლესიო კრებამდე .....	115
დასკვნა .....	121
რომის იმპერატორთა ნუსხა .....	123
გამოყენებული ლიტერატურა .....	128
პირთა სახელების საძიებელი .....	131
გეოგრაფიული სახელების საძიებელი .....	135

გამომცემლობის რედაქტორი	მაია ეჯიბია
გარეკანის დიზაინი	თინათინ ჩირინაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა	ნინო ვაჩერიშვილი

0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14  
14 I. Chavchavadze Ave., Tbilisi, 0128  
[www.press.tsu.ge](http://www.press.tsu.ge) 995(32) 25 14 32